საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (375)
14 - 20 დეკემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



3 დონალდ ტრამპი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს აკრიტიკებს


ZEIT ONLINE
"Wir verstehen die Angst Russlands nicht"

8 პრემიერმინისტრის მოულოდნელი გულახდილობა: საქართველოს ნატოში შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

«საქართველო რუსეთთან კონფრონტაციაში პაიკივით უნდა იქნას გამოყენებული, და თუ საჭიროა — შეწირული» 11





«როდესაც ამერიკის სალჩოს რამდენიმე თანამშრომელს უშიშროების სამინისტროს მოწმობებით სარგებლობა აუკრძალეს, ისეთი ამბავი ამიტეხეს, რომ თბილისიდან ბვირაბის გათხრა ვალიარე...» 7

«ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა, ამის გამოსასწორებლად საჭიროა პატრიოტი ადამიანი» 6

«ქართველი ერი მალე დაკარგავს იდენტობასაც და შაგრენის ტყავივით დამცრობილ ტერიტორიასაც»



«ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში აგენტები რომ არ ჰყავდეს ჩასმული, ეგეთი სახელმწიფო არ არსებობს»

«საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეები არ ჰყავს»



«იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, საქართველოში გამოჩნდებიან სალი ძალები, რომლებიც ამ ურთულეს დროებაში მოახერხებენ ძირეული ცვლილებების განხორციელებას»

«ესენი სხვას როგორ უნდა უწოდებდნენ აგენტებს, როცა თვითონ თვალებში შესციცინებენ დასავლელ ცისფერ კომისრებს?!» 10

«აურზაურის მიზეზი რუსეთის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების დაუფლების სურვილია»

«დიდი უსამართლობაა, მსოფლიო რესურსების 40% მხოლოდ რუსეთს რომ ეკუთვნის» 9

## საქართველოს ბედი აზიაში წყდება 5

«თუ ტრამპის ადმინისტრაცია ჩინეთთან კონფრონტაციის გზას დაადგება, ეს აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კრემლის პოზიციების გაძლიერებას პოსტსაბჭოთა სივრცეში»

MADE IN CHINA

## ნარკოტიკები, ბენზინი და «ქართული ოცნება» 4





ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 1 იანვრიდან ყველაზე იაფფასიანი სიგარეტის ფასი 3 ლარი იქნება



**ახალი წლიდან საქართველოში სიგარეტი გაძვირდება. მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით.** როგორც თამბაქოს იმპორტიორები და ადგილობრივი მწარმოებლები აცხადებენ, სიგარეტზე აქციზის ამ ნიშნულით მატება მათთვის სრულიად მოულოდნელია და მთავრობის ადმინისტრაციას ან ეკონომიკურ გუნდს ბიზნესთან კონსულტაცია არ გაუვლია. მათივე განმარტებით, როდესაც საქმე ეხება აქციზის 60 თეთრით მატებას, ამავე დროს იზრდება ადვალური გადასახადიც, ვინაიდან იგი სწორედ ფასის მიხედვით განისაზღვრება. ამ დროისთვის ბაზარზე 1 კოლოფი ფილტრიანი სიგარეტის ფასი დაახლოებით 1,50—2,00 ლარია, 1 იანვრიდან კი ამას უკვე ემატება აქციზის გადასახადი, ადვალური გადასახადი, ინფლაციის მაჩვენებელი და ეროვნული ვალუტის გაუფასურება. შესაბამისად, იმპორტიორები ამბობენ, რომ 1 კოლოფი სიგარეტის მინიმალური ფასი დაახლოებით 3 ლარი იქნება.



## საქართველოს საპატრიარქო: მუცლადღებულ ყრმათა მოწყვეტის ცოდვით დამძიმებული დედები ტაძარს ააგებენ

**დედებს, რომლებსაც მუცლადღებულ ყრმათა მოწყვეტის დანაშაული აწუხებთ, გაუჩნდათ სურვილი, სინანულის გამოსახატავად ააგონ ტაძარი ყოვლადწმიდა სამების სახელზე. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.**

ამ მიზნით საქართველოს საპატრიარქოში ტაძრის მაშენებელთა სამუშაო ჯგუფი შეიკრიბა. როგორც საპატრიარქოს ინფორმაციაშია აღნიშნული, ისინი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და დაწყებული საქმის წარმატებით განხორციელება უსურვა. ეკლესია ხუდადოვის ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე აიგება.

## საქართველოს პრემიერმინისტრის მრჩევლად თედო ჯაფარიძე დაინიშნა



**საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი თედო ჯაფარიძე საქართველოს პრემიერმინისტრის მრჩევლად დაინიშნა.**

პერმიერმინისტრის შესაბამისი ბრძანება საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. თედო ჯაფარიძე პრემიერის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში იქნება.



## პურის ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის 19 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა

**სურსათის ეროვნული სააგენტო პურის ეტიკეტირების კონტროლსააქტიურებს. ამ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. როგორც სააგენტო განმარტავს, სავალდებულოა, ეტიკეტზე დატანილი იყოს სრულყოფილი ინფორმაცია ინგრედიენტებისა და საკვები დანამატების შესახებ.**

„სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს პურის უვნებლობის, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის სავალდებულო მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. აღინიშნა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო პურის უვნებლობასა და ეტიკეტირების წესის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ააქტიურებს. სავალდებულოა, ეტიკეტზე დატანილი იყოს სრულყოფილი ინფორმაცია ინგრედიენტებისა და საკვები დანამატების შესახებ“, — აცხადებენ სააგენტოში. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის — **ზურაბ ჩეკურაშვილის** თქმით, პირველადი მოხმარების სურსათის მიმართ საზოგადოების ინტერესი მაღალია, ამდენად, მნიშვნელოვანია, მომხმარებელს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია.

## სახელმწიფოსგან გულუხვად დაფინანსებული პარტიები

**კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მქონე 20 პარტიამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება უკვე მიიღო. ყველაზე მეტი თანხა კი „ქართული ოცნების“ შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას“ ერგო. ბევრი ვაი-ვიშის, პროვოკაციისა და სკანდალის მიუხედავად, ისინი მაინც შევიდნენ პარლამენტში.**



პარტიების დაფინანსების შესახებ განკარგულება ცესკოს თავმჯდომარემ 22 ნოემბერს გამოსცა. საბიუჯეტო დაფინანსების მიმღებ პარტიებს დაემატა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსთან“ ბლოკში შემავალი პარტიები. ცესკოს თავმჯდომარის — **თამარ ჟვანიას** განკარგულებით, სახელმწიფოსგან დაფინანსდებიან შემდეგი პარტიები:

* **„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“** — წლიური დაფინანსება 536 572 ლარი;
* **საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია** — 598 698 ლარი;
* **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“** — 2 082 238 ლარი;
* **„თავისუფალი დემოკრატები“** — 512 196 ლარი;
* **საქართველოს ლეიბორისტული პარტია** — 472 812 ლარი;
* **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** — 1 122 526 ლარი;
* **„ევროპული საქართველო“** — 895 726 ლარი;
* **„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“** — 997 037 ლარი;
* **„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“** — 744 008 ლარი და სხვ.

20 პარტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯამში 9 739 296 ლარს (ყოველთვიური დაფინანსება საერთო ჯამში — 811 608 ლარი) მიიღებს. სახელმწიფომ დააფინანსა ისეთი პარტიები, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. მაგალითად, პარტია „ევროპული საქართველო“. ეს პარტია არჩევნების შემდეგ, როგორც კვალიფიციური სუბიექტი (არჩევნებში მონაწილეობდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად შექმნილი ბლოკით), ჩვენი გადასახადებიდან მიიღებს 895 726 ლარს (ყოველთვიური დაფინანსება — 74 644 ლარი); მსგავსი პრინციპით დააფინანსა სახელმწიფომ სხვა პოლიტიკური პარტიებიც.

## ელენე თევდორაძე: ჟვანიას ექსპერტიზაში მონაწილე კიდევ ერთი ექსპერტი მოკლეს



**შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარისა და ზურაბ ჟვანიას მეგობრის — ელენე თევდორაძის განცხადებით, ყოფილი პრემიერმინისტრის დაღუპვის საქმეში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. დეტალებზე მან გადაცემა „360 გრადუსში“ ისაუბრა.**

თევდორაძის თქმით, **ზურაბ ჟვანიას** ექსპერტიზაზე **ჩაჩუასთან** ერთად კიდევ ერთი ახალგაზრდა ექსპერტი მუშაობდა, რომელიც ექსპერტიზის დასრულების შემდეგ პრეზიდენტის რეზიდენციაში გადაიყვანეს. ეს ადამიანი მოხვდა იმ განყოფილებაში, რომელიც შეწყალების კომისიისთვის მასალას ამზადებდა.

**„ამ ბიჭს ერთხელ ვკითხე, რომ მისი რეზიდენციაში დასაქმება იყო თუ არა დაწინაურება. მან მითხრა, რომ ეს მისი საქმე არ იყო, მაგრამ მაინც გადმოიყვანეს. დაახლოებით ორ კვირაში შევიტყვე, რომ ეს ბიჭი მოკლეს, ხოლო ვინც მოკლა, მან თავი მოიკლა. მაქვს კითხვა: რატომ მოხდა ამ ბიჭის, რომელიც ესწრებოდა ზურაბ ჟვანიას ექსპერტიზას, ასე სწრაფად გადაყვანა პრეზიდენტის რეზიდენციაში?!“** — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის — **რაულ უსუპოვის** გარდაცვალების საქმეზე ექსპერტ ლევან ჩაჩუას წინააღმდეგ პროკურატურის სარჩელი წარმოებაში არ მიიღო.

## ტრანსპორტში გადახდის ახალი სისტემა ამოქმედდება

**საზოგადოებრივ ტრანსპორტში 2017 წლიდან გადახდის ახალი სისტემა ამოქმედდება, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძემ, რომელმაც საცობების პრობლემის მოსაგვარებლად საზოგადოებას 5-მიმართულებიანი გეგმა წარუდგინა.**

„გადახდის სისტემა, რომელიც დღეს მოქმედებს და მეტროს, ავტობუსს, საბაგიროსა და სამარშუტო ტაქსებს მოიცავს, გვინდა, უფრო თანამედროვე და მოსახერხებელი გახდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქალაქო სატრანსპორტო საშუალებებში საფასურის გადახდა ყველა ბანკის ბარათით იქნება შესაძლებელი. ამას გარდა, ახალი სისტემა უფრო მეტი ფუნქციის მქონე იქნება და მოქალაქეების მგზავრობასთან დაკავშირებულ სრულ სურათს შექმნის.



ამასთანავე, უცხოელ ვიზიტორებს მგზავრობის საფასურის გადახდა სხვა ქვეყნის ბანკის ბარათებითაც შეეძლებათ“, — განმაცხადა **ირაკლი ლექვინაძემ.**

5-მიმართულებიანი გეგმის მიხედვით, რომელიც 2 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს, მერიას დაწყებული აქვს ჩანაცვლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მარტის ბოლომდე 143 ერთეული ახალი ავტობუსი შემოვა. ამ მიმართულებაში ასევე შედის მეტრო და საბაგირო ხაზები. მნიშვნელოვანია ასევე რეგულაციები, რომლებიც დასუფთავებისა და დისტრიბუციის მანქანებს შეეხება. მერია მხარს უჭერს საგზაო უსაფრთხოების იმ სტრატეგიას, რომელიც ეხება მარჯვენასაჭიან ავტომობილებს და ტექდათვალიერებას. გეგმა შეეხება ახალ შუქნიშნებსაც, შეიქმნება საცობის აპლიკაცია. კერძოდ, მობილურ ტელეფონში იქნება აპლიკაცია, რომლის მიხედვითაც მძღოლი ნახავს, თუ რა მიმართულებით არის გადატვირთული მოძრაობა და დაგეგმავს ალტერნატიულ მარშრუტს.





## იტალიის მთავრობას ახალი მინისტრთა კაბინეტი ჰყავს

**პრემიერმა პაოლო ჯენტილონიმ ფიცი უკვე დადო.** ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელსაც აქამდე **ჯენტილონი** ხელმძღვანელობდა, სათავეში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **ანჯელინო ალფანო** ჩაუდგა. არ შეცვლილა ეკონომიკის, ჯანდაცვისა და იუსტიციის მინისტრები. მთავრობის ინაუგირაციის შემდეგ, რამდენიმე დღეში ახალ კაბინეტს ნდობის ვოტუმი პარლამენტმა უნდა გამოუცხადოს.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დონალდ ტრამპი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს აკრიტიკებს

**დონალდ ტრამპის უკმაყოფილება უწყების მიერ გამოქვეყნებულმა დასკვნამ გამოიწვია, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთს არჩევნებში ტრამპის გამარჯვება სურდა, რისთვისაც რუსმა ჰაკერებმა დემოკრატიული პარტიის ოფისზე კიბერთავდასხმები განახორციელეს.**



განცხადება არჩეულმა პრეზიდენტმა ტელეკომპანია „ფოქს ნიუსთან“ გააკეთა. მას დაზვერვის სამსახურის დასკვნის არ სჯერა. ტრამპის მტკიცებით, არჩევნებში რუსეთის ჩარევის ფაქტს **ჰილარი კლინტონის** მარცხის გასამართლებლად იყენებენ.

„ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიას დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია გამოეხმაურა. „ასეთი ბრალდებებით გამოდიან ისინი, ვინც ამტკიცებდა, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. არჩევნები, დიდი ხანია, დონალდ ტრამპის გამარჯვებით დამთავრდა და მოვიდა დრო, ამერიკა ისევ დიადი ქვეყანა გავხადოთ“, — ნათქვამია განცხადებაში. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ტრამპს საარჩევნო კამპანიაში რუსეთი უწევდა დახმარებას, რაზეც დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს უტყუარი ინფორმაცია აქვს.

დემოკრატებისა და რესპუბლიკელებისგან შემდგარი ამერიკელი სენატორების ჯგუფი აშშ-ის არჩეულ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს მოუწოდებს, რუსეთის მიმართ უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავოს, — იუწყება სააგენტო Reuters. „რუსეთის აგრესიისა და რუსეთის მხრიდან უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უარყოფის ფონზე, ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ აშშ-ს, გაზარდოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა უკრაინისთვის“, — ნათქვამია წერილში, რომლის ინიციატორი ილინოისის შტატის სენატორი **რიჩარდ დურბინი** და ოჰაიოს რესპუბლიკელი სენატორი **რობ პორტმანი** არიან. წერილს ხელს 12 რესპუბლიკელი და 15 დემოკრატი სენატორი აწერს.



# გაეროს ახალი გენერალური მდივანი ჰყავს

**ანტონიუ გუტერეშმა ფიცი 71-ე გენერალურ ასამბლეაზე დადო. ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას 5 წლით ჩაუდგება სათავეში.**

ფიცის დადების ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას გუტერეშმა არა ცალკეული ქვეყნების, არამედ ორგანიზაციის ინტერესების დაცვის გაეროსადმი ნდობის დაბრუნების პირობა დადო. გუტერეში გაეროს მე-9 გენერალურ მდივნად 13 ოქტომბერს აირჩიეს. მოვალეობის შესრულებას ის 2017 წლის პირველი იანვრიდან შეუდგება.

# ეშტონ კარტერი: აშშ-ის დაპირება — დაიცვას ისრაელი ურყევი რჩება



**„ჩვენ ერთად ვიბატონებთ ცაში“, — განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა ისრაელის საჰაერო ძალების ნევატიმის ავიაბაზაზე ისრაელისთვის მეხუთე თაობის F-35-ის ტიპის გამანადგურებელის გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას.**

ეშტონ კარტერის განცხადებით, „არ არსებობს ისრაელსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის უკეთესი სიმბოლო, ვიდრე F-35-ია. მისი განმარტებით, ის ბევრი საფრთხე, რომლის წინაშე ისრაელი სხვადასხვა მხრიდან ყოველდღიურად დგას, მიზეზია იმისა, რატომ აქვთ აშშ-სა და ისრაელს ასეთი მჭიდრო კავშირები.

„აშშ განაგრძობს ისრაელის უზრუნველყოფას ყველაზე თანამედროვე სამხედრო შესაძლებლობებით, მათ შორის, უფრო მეტი F-35-ებით, რაც გააძლიერებს ისრაელის თავდაცვის ხარისხს. რეგიონში არეულობის გათვალისწინებით, აშშ ახლა უფრო თავდადებულია, ვიდრე ოდესმე, ისრაელის უსაფრთხოების საკითხისადმი და აშშ-ის დაპირება — დაიცვას ისრაელი ურყევი რჩება“, — აღნიშნა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა.

მისი თქმით, ისრაელი რეგიონში ერთადერთი მეგობარია, რომელმაც F-35 მიიღო. ეს კი ამერიკისა და ისრაელის საჰაერო ძალებს დაეხმარება უფრო მჭიდრო და ეფექტიან ურთიერთქმედებაში.



# თურქეთში გლოვის დღე გამოცხადდა

**სტამბოლში 10 დეკემბერს მომხდარ აფეთქებებს 38 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულია 170-მდე. ოფიციალური ინფორმაციით, ერთი აფეთქება დანაღმულმა მანქანამ გამოიწვია, მეორე კი — თვითმკვლელმა ტერორისტმა. აფეთქებების სამიზნე პოლიცია იყო.**

„ბი-ბი-სის“ ცნობით, დაკავებულია ათი ადამიანი. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ დაჯგუფებას არ დაუკისრებია. თურქეთში გასული წლის განმავლობაში მომხდარ ხშირ ტერაქტებზე პასუხისმგებელი, როგორც წესი, ქურთი მებრძოლები ან ე.წ. ისლამური სახელმწიფო იყო. სამიზნედ პოლიციასა და უსაფრთხოების ძალებს კი, ძირითადად, ქურთული შეიარაღებული დაჯგუფებები არჩევდნენ. აფეთქებები შაბათ საღამოს, ბეშიქთაშის სტადიონზე მოხდა. მატჩი ორ თურქულ საფეხბურთო კლუბს — „ბეშიქთაშსა“ და „ბურსასპორს“ შორის რამდენიმე საათის დასრულებული იყო.

„თურქეთმა სტამბოლის ტერაქტები ობიექტურად უნდა გამოიძიოს, ისე, როგორ ეს სამართლებრივ სახელმწიფოს შეეფერება“, — ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა.

სტამბოლის ტერაქტების შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ მასშტაბური რეიდები დაიწყო. ბოლო 24 საათის განმავლობაში სპეცოპერაციები ქვეყნის 4 პროვინციაში ჩატარდა. დაკავებულია 100-მდე ადამიანი. ისინი პროქურთული ხალხთა დემოკრატიის პარტიის წევრები არიან. დაკავებულთა შორის რამდენიმე პარტიული მაღალჩინოსანიცაა.

# ევროპარლამენტის გეგმებში უკრაინის ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვა არ შედის




**ევროპარლამენტმა უკრაინისთვის ე.წ. ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხის განხილვა გადადო. ამის თაობაზე უკრაინული ტელეარხი „112“ იუწყება.**

გავრცელებული ინფორმაციით, საკითხის განხილვა 1 თებერვლისთვის გადაიდო. აქამდე ევროპარლამენტის დღის წესრიგში საქართველოსა და უკრაინის ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვის სავარაუდო თარიღად 18 იანვარი იყო მითითებული, თუმცა უკრაინის საკითხმა თებერვლისთვის გადაიწია. საქართველოს საკითხის განხილვის სავარაუდო თარიღად კი კვლავ 18 იანვარი დარჩა.

„ევროკავშირმა უკრაინისთვის ფინანსური და სამხედრო დახმარების გაწევის ვალდებულება არ უნდა დაიკისროს“, — ამ ინიციატივით ბრიუსელს ნიდერლანდების პრემიერმინისტრმა მიმართა. **მარკ რიუტეს** თქმით, ჰოლანდიურმა მხარემ უკრაინასთან დაკავშირებით სპეციალური დოკუმენტი მოამზადა, რომელსაც განსახილველად ევროპის საბჭოს სხდომაზე გაიტანს. სხდომა ბრიუსელში 15-16 დეკემბერს გაიმართება.

# ახალ ზელანდიას ახალი პრემიერი ჰყავს

**ახალი ზელანდიის პრემიერმინისტრი გახდა ვიცეპრემიერი ბილ ინგლიში.** მმართველმა ნაციონალურმა პარტიამ **ინგლიშის** კანდიდატურა ოფიციალურად დაამტკიცა. ყოფილმა პრემიერმინისტრმა **ჯონ კიმ**, რომელიც პოსტს რვა წლის განმავლობაში იკავებდა, გასულ კვირას მოულოდნელად გადადგომის შესახებ განაცხადა. მთავრობის მეთაურმა გადადგომის მიზეზად ოჯახური მდგომარეობა დაასახელა.





# ერდოღანი ერთპიროვნული მმართველობისთვის ემზადება

**თურქეთის პრეზიდენტს უფლებამოსილებას გაუზრდიან. საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტს მმართველი პარტია პარლამენტს უახლოეს ხანებში წარუდგენს.**

ინიციატივა თურქეთის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გამოცხადებას ითვალისწინებს. ოპოზიცია კანონპროექტის წინააღმდეგ გამოდის და აცხადებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილების შემთხვევაში ხელისუფლება მთლიანად ერთი ადამიანის ხელში აღმოჩნდება, რაც დემოკრატიას თურქეთში საბოლოოდ დაასამარებს.

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ ეტაპზე ხელისუფლებას პოლიტიკურ პარტიებს შორის სერიოზული ოპონენტი, სამწუხაროდ, არ ჰყავს. არასაპარლამენტო ოპოზიცია კოლაფსშია, „პატრიოტთა ალიანსი“ ეკონომიკაზე, როგორც წესი, ძალიან ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლება. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ამ პარტიის შიგნით განვითარებულ კრიზისულ პროცესებს თავი რომ დავანებოთ, მას, საკუთარი მხარდამჭერების გარდა, ტრადიციულად არავინ უსმენს. თანაც, ნაციონალების „მთავარი სპიკერი“ ეკონომიკის საკითხებში რომან გოცირიძეა, „კუპონიზაციის მამა“, იგივე „ალ კუპონე“, რაც ისედაც რთულ სიტუაციას კლოუნადის ელფერს სძენს.**

# ნარკოტიკები, ბენზინი და «ქართული ოცნება»

**მთავრობა და საზოგადოება ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ. ამის მთავარი მიზეზი კრიზისია, რომელმაც არჩევნების შემდეგ ოპოზიციური პარტიების უმეტესობა მოიცვა. რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ სიტუაციამ ქვეყანას?**




**მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ უარყო გასულ კვირას გავრცელებული ცნობები გიორგი კვირიკაშვილისა და დიმიტრი ქუმსიშვილის დაპირისპირების თაობაზე, ეს არასაკმარისად სწრაფად და დამაჯერებლად გააკეთა, შესაძლოა, იმიტომ, რომ საუბარი ხელისუფლების შიგნით «გუნდებსა» და «ჯგუფებზე» ამ შემთხვევაში ხელს აძლევს. ის არა მხოლოდ ქმნის პოლიტიკური შოუსთვის აუცილებელ ინტრიგას, არამედ ტოვებს ერთ-ერთი მხარის «განტევების ვაცად» გადაქცევის შესაძლებლობას, ამზადებს ნიადაგს საკადრო გადაადგილებებისთვის და ა.შ.**

## რასაც დათესავ, იმას მოიმკი

10 დეკემბერს ორი საპროტესტო აქცია გაიმართა. მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წარმომადგენლებმა რუსთაველის გამზირის გადაკეტვა სცადეს და ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოითხოვეს. საუბარია სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის „პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ და ანალოგიური (45-ე) მუხლის გაუქმებაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. აქცია, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა ახალგაზრდა იყო, არც ისე მრავალრიცხოვანი გახლდათ, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი ამ მოთხოვნას უარყოფითად ან დიდი სიფრთხილით ეკიდება. ამასთანავე, აქციაში სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ (გოგა ხაჩიძე და სხვები) და ეს, შესაძლოა, დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა იმ მოქალაქეებისთვისაც კი, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის იდეას იზიარებენ.

აქციის არცთუ დიდი მასშტაბი არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა არ არსებობს. კანონი შეიძლება იყოს მკაცრი ან ლიბერალური, მაგრამ ის, ნებისმიერ შემთხვევაში, 100%-ით უნდა მუშაობდეს. დღეს კი სიტუაცია განსხვავებულია — საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ სამართალდამცავები მსუბუქი ნარკოტიკების მომხმარებელთა უმრავლესობას არაფერს უშავებენ, ნაწილს აშანტაჟებენ, ერთეულებს კი იჭერენ, ხოლო ის, რაც ამ სფეროში ხდება, შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოლიციური „ბესპრედელი“, რომელსაც შერჩევითი სამართლის დამკვიდრებამდე მივყავართ.

სწორედ ეს არის საზოგადოების უკმაყოფილების მთავარი მიზეზი; პროტესტის ორგანიზატორები ცდილობენ, ის ნარკომოხმარების აკრძალვის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად წარმოაჩინონ, მაგრამ ეს განსხვავებული პოზიციები და ემოციებია. ზოგს შეიძლება გაუჩნდეს პროტესტი იმის გამო, რომ ათი ნარკომანიდან ერთს იჭერენ და პოზიცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბოს — „ან ყველა დაიჭირონ, ან ყველას თავი დაანებონ“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის მოხმარების დეკრიმინალიზაციის და, მით უმეტეს, ლეგალიზაციის მომხრეა. თუმცა რეალურად დღეს დეკრიმინალიზაციის მოთხოვნა ერთადერთი მკაფიო პოზიციაა აღწერილი პრობლემის მიმართ — ლიბერალებისგან განსხვავებით, კონსერვატიულ ძალებს ვითარების გამოსწორების გეგმა არ წარმოუდგენიათ. ეს, ალბათ, მათი შეცდომა იყო, რადგან საქმე არა აბსტრაქტულ პრობლემას, არამედ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ უამრავ ოჯახს ეხება.

ტელემაყურებლების გარკვეული ნაწილი, როდესაც რუსთაველზე პოლიციელებისა და დემონსტრანტების დაპირისპირება იხილა, შესაძლოა, ქვეცნობიერად დემონსტრანტების მხარეს დადგა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ლოზუნგებს არ იზიარებდა, რადგან სწორედ ამ მიმართულებით გვიბიძგებს სააკაშვილის მმართველობის წლებში მიღებული მძიმე გამოცდილება და ეროვნული ფსიქოლოგიის ზოგიერთი თავისებურება. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს აინტერესებდა აქციის ორგანიზატორებს ყველაზე მეტად, თუმცა მთავრობა მსგავს ეპიზოდებში წაგებული მხოლოდ ამის გამო როდი რჩება. მთავარია, რომ მან პრობლემურ საკითხზე ოპონენტების მიმართ სრულყოფილი და საზოგადოებისთვის მისაღები პოზიცია არ ჩამოაყალიბა და, თუ არ სურს, რომ ქულების დაკარგვა განაგრძოს, ეს უახლოეს მომავალში უნდა გააკეთოს. ისეთი ზოგადი განცხადებები, როგორიც გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ** გააკეთა („საჭიროა საქართველოს კანონმდებლობის გარკვეული გადახედვა, თუ რა მიმართულებით, ამას უკვე განხილვები გადაწყვეტს“) აშკარად არასაკმარისია.

## რაში ხარჯავენ ამდენს?

კიდევ ერთი საპროტესტო აქცია შაბათს ავტოდილერებმა და ავტომფლობელებმა გამართეს. მათ ნავთობპროდუქტებზე აქციზის განაკვეთის ზრდა და გარკვეული კატეგორიების ავტომობილების განბაჟების გაძვირება გააპროტესტეს. უზარმაზარ მიტინგებს მიჩვეულ თბილისში ამ აქციას ფურორი ნამდვილად არ მოუხდენია, მაგრამ აქ საგულისხმოა სხვა რამ — ქართველებს ძალიან იშვიათად გამოაქვთ წინა პლანზე ეკონომიკური ლოზუნგები და მათი გამოყენება რეალური პრობლემისა და უკმაყოფილების არსებობაზე მიუთითებს.

მთავრობა აქციზს, სავარაუდოდ, იმიტომ ზრდის, რომ მოგების გადასახადის გაუქმების (რეინვესტირების შემთხვევაში; საუბარია ე.წ. ესტონურ მოდელზე) შედეგად წარმოქმნილი დანაკარგები აანაზღაუროს. საუბარია დაახლოებით ნახევარ მილიარდ ლარზე – ხელისუფლებამ, უბრალოდ, ვერ მოახერხა ხარჯების შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უწყებების გაბერილი შტატების შემთხვევაში ეს შესაძლებელი იყო. მაგალითად, სასჯელაღსრულების სამინისტროს ბოლო საშტატო ნუსხის მიხედვით, იქ 88 მრჩეველი (თითოეული თვეში 1200 ლარს იღებს) და 42 კონსულტანტი (1120 ლარი) მოღვაწეობს. საქართველოს გაღატაკებული მოსახლეობა „ბიუჯეტის წურბელების“ უზარმაზარ, გაუმაძღარ არმიას არჩენს.

იმის ნაცვლად, პატიოსნად აეხსნა მოსახლეობისთვის, რომ დამატებითი შემოსავლების მობილიზება სჭირდება, მთავრობამ დაიწყო საუბარი (ძველი და მარჯვენასაჭიანი ავტომობილების განბაჟების შემთხვევაში) იმაზე, რომ ავტოპარკის განახლება და ეკოლოგიის გაჯანსაღება აინტერესებს, ხოლო აქციზების შემთხვევაში არ დაუკავშირა გაძვირება „ესტონური რეფორმით“ გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურების აუცილებლობას — თუ ამ ნაბიჯის მიზანი ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობაა, საწვავის გაძვირება ეკონომიკას თრგუნავს და ხელს უწყობს მცირე ბიზნესმენების გაკოტრებას და მოსახლეობის შემდგომ გაღატაკებას. ამიტომ ზოგიერთ ფენას, შესაძლოა, ერჩივნა, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო და არ მომხდარიყო შეძლებულთა წახალისება ღარიბთა ხარჯზე.

ამ ეტაპზე ხელისუფლებას პოლიტიკურ პარტიებს შორის სერიოზული ოპონენტი, სამწუხაროდ, არ ჰყავს. არასაპარლამენტო ოპოზიცია კოლაფსშია, „პატრიოტთა ალიანსი“ ეკონომიკაზე, როგორც წესი, ძალიან ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლება. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ამ პარტიის შიგნით განვითარებულ კრიზისულ პროცესებს თავი რომ დავანებოთ, მას, საკუთარი მხარდამჭერების გარდა, ტრადიციულად არავინ უსმენს. თანაც, ნაციონალების „მთავარი სპიკერი“ ეკონომიკის საკითხებში **რომან გოცირიძეა**, „კუპონიზაციის მამა“, იგივე „ალ კუპონე“, რაც ისედაც რთულ სიტუაციას კლოუნადის ელფერს სძენს.

ამგვარად, საზოგადოების უდიდეს ნაწილს მისი შეშფოთების გამხმოვანებელი არ ჰყავს, რაც იძულებულს ხდის, პროტესტი ეკონომიკურ პრობლემებზე თვითონ გამოხატოს, სოციალურ ქსელში იქნება ეს თუ ქუჩაში. ამ პროცესის გაგრძელება ბუნებრივად მიგვიყვანს დაპირისპირებამდე „საზოგადოება მთავრობის წინააღმდეგ“, რაც ხელისუფლებისთვის აპრიორი წამგებიანია. მას აღარ აქვს შესაძლებლობა, მოქალაქეთა ნეგატიური ემოციები სხვისკენ, მაგალითად, „ნაციონალი საბოტაჟნიკებისკენ“ მიმართოს ან თქვას, რომ პარლამენტში სასურველი კანონპროექტის გატანა არ შეუძლია, რადგან არჩევნების შემდეგ ბურთიც და მოედანიც მას დარჩა. ამიტომ ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, თავი აარიდოს სიტუაციას, როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს მთავრობასთან დაპირისპირებულად იგრძნობს და ამისთვის გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს.

## დაყავი და იბატონე

თუ ახლო მომავალში „ქართულ ოცნებას“ თანაბარი შესაძლებლობების მქონე პოლიტიკური ოპონენტები არ გამოუჩნდება, ქვეყანა, სავარაუდოდ, ისევ „ფაქტობრივი ერთპარტიულობის“ გზას დაადგება. ასეთ ვითარებაში მმართველ პარტიას (პოლიტოლოგები ქრესტომათიულ მაგალითად მექსიკის „ინსტიტუციურ-რევოლუციურ პარტიას“ განიხილავენ) არ რჩება სხვა, გარდა იმისა, რომ მთელი პოლიტიკა „შეისრუტოს“ და პარტიების ბრძოლა საკუთარი ფრაქციების შიდაპარტიული ბრძოლით ჩაანაცვლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის, უბრალოდ, ვერ ახსნის, რა იწვევს მდგომარეობის გაუარესებას, გაღიზიანებული მოსახლეობის პირისპირ დარჩება და ხელისუფლებას აუცილებლად დაკარგავს, თუნდაც მისი შენარჩუნებისთვის ყველაზე ხისტი მეთოდები გამოიყენოს და კრახის გადავადება მოახერხოს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ უარყო გასულ კვირას გავრცელებული ცნობები **გიორგი კვირიკაშვილისა** და **დიმიტრი ქუმსიშვილის** დაპირისპირების თაობაზე, ეს არასაკმარისად სწრაფად და დამაჯერებლად გააკეთა, შესაძლოა, იმიტომ, რომ საუბარი ხელისუფლების შიგნით „გუნდებსა“ და „ჯგუფებზე“ ამ შემთხვევაში ხელს აძლევს. ის არა მხოლოდ ქმნის პოლიტიკური შოუსთვის აუცილებელ ინტრიგას, არამედ ტოვებს ერთ-ერთი მხარის „განტევების ვაცად“ გადაქცევის შესაძლებლობას, ამზადებს ნიადაგს საკადრო გადაადგილებებისთვის და ა.შ. მოკლედ, მაშინაც კი, როდესაც დაპირისპირება რეალურად არ არსებობს, საუბარი მასზე შეიძლება ხელისუფლებისთვის სასარგებლო გამოდგეს. გამორიცხული არ არის, რომ მალე გაჩნდეს ახალი სიუჟეტი „რეფორმატორებისა“ და „რეტროგრადების“ ბრძოლაზე პარტიასა და პარლამენტში, როგორც ეს „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის პერიოდში მოხდა. ეს „ფაქტობრივი ერთპარტიულობის“ პირობებში აპრობირებული სქემაა, რომელიც აბნევს მოსახლეობას, ხელს უშლის, დაუპირისპირდეს ხელისუფლებას მთლიანობაში და უბიძგებს, იმედები მის წიაღში აღმოცენებულ ერთ-ერთ ფრაქციას დაუკავშიროს.

მთავარი, ალბათ, ის არის, მიიღებს თუ არა საზოგადოება თამაშის ამ წესებს, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა საუკუნის დასაწყისში, როდესაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სიმპათია „რეფორმატორთა ჯგუფის“ მიმართ არაადამიანური რეჟიმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა შეიქნა. შესაძლებელია თუ არა, რომ „ფაქტობრივი ერთპარტიულობის“ პირობებში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესები განვითარდეს? საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი ახალი რეალობა დღის წესრიგში გაცილებით სერიოზულ გამოწვევებს აყენებს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

**ლუკა ნემსაძე**

თუ ტრამპის ადმინისტრაცია ჩინეთთან კონფრონტაციის გზას დაადგება, ეს აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კრემლის პოზიციების გაძლიერებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამასთანავე, საქართველოს შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება — ვაშინგტონის ტრადიციული დასაყრდენი რეგიონში — თურქეთი სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას ავლენს, ბოლო პერიოდში პრეზიდენტ ერდოღანის პოლიტიკა აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს ხშირად ეწინააღმდეგება, ამიტომ იმის ალბათობა, რომ აშშ საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდას სერიოზულ წინააღმდეგობას არ ან ვერ გაუწევს, იზრდება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ბედი აზიაში წყდება

**დონალდ ტრამპის ინაუგურაციამდე საკმაო დრო რჩება, თუმცა მან სხვა ქვეყნების ლიდერებსა და დიპლომატებს უკვე არაერთი თავსატეხი შესთავაზა. როგორ შეცვლის ახალი ადმინისტრაცია აშშ-ის საგარეო პოლიტიკას და რა გავლენას იქონიებს ეს საქართველოს მდგომარეობაზე?**

## ტრამპი ჩინეთის წინააღმდეგ

დღეს თითქმის ყველა ექსპერტი დარწმუნებულია, რომ **ტრამპის** მთავარი სამიზნე ჩინეთი იქნება. მისი პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო იდეა აშშ-ის ინდუსტრიული გაძლიერებაა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ამერიკის მრეწველობაში დაახლოებით 5 მილიონი სამუშაო ადგილი დაიკარგა, რადგან კომპანიებმა წარმოება აზიაში, უწინარესად, ჩინეთში, გადაიტანეს. არჩევნებამდე ტრამპი ამბობდა, რომ ჩინურ საქონელზე საბაჟო გადასახადს 45%-მდე გაზრდის, რაც მკვეთრად შეამცირებს მის შემოდინებას აშშ-ში, ხოლო ჩინეთს მასშტაბური კრიზისის საფრთხის წინაშე დააყენებს. ასეთი მკვეთრი ნაბიჯი ეკონომიკური ომის გამოცხადების ტოლფასია, თუმცა დონალდ ტრამპი მის დაწყებაში პეკინს ადანაშაულებს და მიუთითებს, რომ მან თავისი ვალუტის მიზანმიმართული დევალვაციით ხელი შეუწყო ექსპორტის არაბუნებრივ ზრდას.

ამასთანავე, ტრამპი ამბობს, რომ გაუმართლებლად მაღალ საბაჟო გადასახადებს თვითონ ჩინელები იყენებენ. როდესაც სამი წლის წინათ პეკინში მივიდნენ დასკვნამდე, რომ აშშ-დან და იაპონიიდან ზოგიერთი სახეობის პროდუქციის, მაგალითად, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შემოტანა ეროვნული მრეწველობის განვითარებას აფერხებს, მასზე 8-10-პროცენტიანი გადასახადი დააწესეს, ერთ წელიწადში კი 42%-მდე გაზარდეს.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპმა ტაივანის პრეზიდენტ **ცაი ინვენთან** სატელეფონო საუბარი გამართა, მაშინ, როდესაც აშშ ჩინეთის ერთიანობას 1979 წლიდან აღიარებს და, შესაბამისად, ტაივანთან მხოლოდ არაოფიციალური კავშირები აქვს. პეკინმა ეს გააპროტესტა, მაგრამ ისე, რომ აშშ-ის მომავალ პრეზიდენტს მანევრის შესაძლებლობა დაუტოვა, თუმცა მან ორიოდე დღეში (4 დეკემბერს) ჩინეთის ეკონომიკურ პოლიტიკას და მის სამხედრო ღონისძიებებს სადავო კუნძულების რაიონში კრიტიკული კომენტარების სერია მიუძღვნა „ტვიტერში“. აშკარაა, რომ ტრამპის ქცევა გამომწვევია.

პეკინმა ამ შემთხვევაშიც ასიმეტრიული პასუხი ამჯობინა პირდაპირ კონფრონტაციას. მან გაეროს უშიშროების საბჭოში დასავლურ რეზოლუციას სირიაში (ალეპოში) შექმნილი სიტუაციის თაობაზე რუსეთთან ერთად ვეტო დაადო; ადრე მსგავს სიტუაციებში ჩინეთი ერთმნიშვნელოვანი პოზიციის გამოხატვისგან თავს იკავებდა. ეს დასავლეთის წარმომადგენელთათვის ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ბრიტანეთისა და ჩინეთის ელჩებს შორის სერიოზული სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

მაგრამ ტრამპის ყველაზე რადიკალური ნაბიჯი, სავარაუდოდ, „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის“ ხელშეკრულებაზე უარის თქმა იქნება. ამ პროცესში 12 ქვეყანა მონაწილეობს: ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ, ბრუნეი, ვიეტნამი, იაპონია, კანადა, მალაიზია, მექსიკა, პერუ, სინგაპური და ჩილე. ხელშეკრულება მონაწილე ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, პროდუქციასა და მომსახურებაზე საბაჟო გადასახადების უმეტესობის გაუქმებას ან შემცირებას ითვალისწინებს. აშშ-ის როლი ამ გაერთიანებაში შეიძლება შევადაროთ გერმანიის როლს ევროკავშირში — ის დომინირებას, პოლიტიკის ფორმირებას განსაზღვრავს, თუმცა ამისთვის გარკვეული საფასურის გადახდა უწევს.

ტრამპმა ამ შეთანხმებას „პოტენციური კატასტროფა“ უწოდა და დასძინა, რომ მისი ადმინისტრაცია სავაჭრო შეთანხმებებს სხვა სახელმწიფოებთან მხოლოდ ორმხრივ ფორმატში დადებს. ამის შემდეგ იაპონიის, ვიეტნამისა და რიგი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აშშ-ის მონაწილეობის გარეშე „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა“ აზრს კარგავს. ამის შემდეგ რეგიონში გაცილებით აქტუალურია ალტერნატიული პროექტი — „მრავალმხრივი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობა“, რომელსაც ჩინეთი ლობირებს. ეს ძალიან საინტერესო ეპიზოდია, რადგან ამ შემთხვევაში აშშ-ის ტაქტიკური და სტრატეგიული ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.




**თუ «ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის» ქვეყნებს რუკაზე განსხვავებული ფერით აღვნიშნავთ, ვნახავთ, რომ ის წყნარ ოკეანეს აშშ-ისთვის გიგანტურ «მარე ნოსტრუმად» («ჩვენს ზღვად») გადააქცევს. ამ ტერმინს რომის იმპერიაში ხმელთაშუა ზღვის მიმართ იყენებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთელი სანაპირო ზოლი რომის მფლობელობაში გადავიდა. ხოლო იქ, სადაც არის «რომი», უნდა იყოს «კართაგენიც» და მის როლს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ისთვის ჩინეთი ასრულებს. «ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის» შეთანხმება სწორედ ჩინეთის იზოლირებას ახდენს**

## ამბიციების ოკეანე

თუ „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის“ ქვეყნებს რუკაზე განსხვავებული ფერით აღვნიშნავთ, ვნახავთ, რომ ის წყნარ ოკეანეს აშშ-ისთვის გიგანტურ „მარე ნოსტრუმად“ („ჩვენს ზღვად“) გადააქცევს. ამ ტერმინს რომის იმპერიაში ხმელთაშუა ზღვის მიმართ იყენებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთელი სანაპირო ზოლი რომის მფლობელობაში გადავიდა. ხოლო იქ, სადაც არის „რომი“, უნდა იყოს „კართაგენიც“ და მის როლს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ისთვის ჩინეთი ასრულებს. „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის“ შეთანხმება სწორედ ჩინეთის იზოლირებას ახდენს.

აშშ ამ რეგიონში სრული ჰეგემონიისკენ საუკუნეზე მეტ ხანს მიდიოდა. ადმირალ **პერის** ულტიმატუმი იაპონიას 1853-ში, ფილიპინებისა და ჰავაის კუნძულების შემოერთება 1898-ში, ე.წ. დიდი თეთრი ფლოტის მიერ ძალის დემონსტრირება 1907-ში, ეკონომიკური ექსპანსია რევოლუციამდელ ჩინეთში, უმძიმესი ომი იაპონიასთან, კორეის ომი, უსისხლო, მაგრამ უაღრესად დაძაბული ჭიდილი აზიიდან ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების განსადევნად, ახალი, ამჯერად სავაჭრო ომი იაპონიასთან, ვიეტნამის ომი, „ცივი ომი“... თითოულ ეტაპზე აშშ ჰეგემონიას რამდენიმე ნაბიჯით უახლოვდებოდა (ზოგიერთ შემთხვევაში — შორდებოდა). „ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის“ შეთანხმება მრავალწლიანი ძალისხმევის, გრძელვადიანი სტრატეგიული გათვლების ნაყოფია. ამ დროს მოდის დონალდ ტრამპი და ამბობს, რომ, უბრალო ამერიკელების ინტერესებიდან გამომდინარე, აპირებს, ყოველივე ეს გააუქმოს. ეს დაახლოებით იგივეა, რუზველტს 1941-ში იზოლაციონისტებისთვის რომ დაეჯერებინა და იაპონიისთვის შესაძლებლობა მიეცა, „აღმოსავლეთ აზიის თანააყვავების სფეროს“ პროექტი შეუფერხებლად განეხორციელებინა, როგორც ეს შეიძლება ჩინური „მრავალმხრივი რეგიონული ეკონომიკური პარტნიორობით“ მოხდეს. მაშინ, ისევე როგორც დღეს, პირველ ადგილზე სწორედ ეკონომიკა იდგა, თანაც რეგიონში არსებობდა მესამე მნიშვნელოვანი მოთამაშე — ბრიტანეთის იმპერია (დღეს „მესამეს“ როლთან ყველაზე ახლო იაპონიაა).

მისცემს თუ არა ამერიკული ისტებლიშმენტი შესაძლებლობას დონალდ ტრამპს, გრძელვადიანი სტრატეგია ისტორიის სანაგვეზე მოისროლოს? დაუჭერენ თუ არა მას მხარს რესპუბლიკელი კანონმდებლები სრული შემადგენლობით? ექნება თუ არა ადგილი „ჩუმ საბოტაჟს“ სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონსა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში? დღეს ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

ტრამპის მკვეთრმა ნაბიჯებმა შეიძლება ძალიან საინტერესო სიტუაცია შექმნას: თუ ის, ერთი მხრივ, ნაწილობრივ დახურავს აშშ-ის ბაზარს ჩინური და, საზოგადოდ, აზიური საქონლისთვის და, მეორე მხრივ, ხელს არ შეუშლის პეკინს ინტეგრაციული პროექტების რეალიზებაში. გამორიცხული არ არის, რომ ჩინეთი ამ შემთხვევაში „გადაყლაპავს უფრო მეტს, ვიდრე შეუძლია მოინელოს“. აქ ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ისტორიული ფაქტი, რომელსაც განხილულ თემასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ საკმაოდ საგულისხმოა — 1941-ში იაპონელებმა უზარმაზარი, უმდიდრესი ტერიტორიები დაიპყრეს, მაგრამ მათი სატრანსპორტო ფლოტი არასაკმარისად დიდი იყო იმისთვის, რომ იქიდან რესურსები გაეტანათ. მაგალითად, მალაიზიიდან (იმხანდ ბრიტანული მალაია) ყოველწლიურად სტრატეგიული რესურსების 15-20% თუ გაჰქონდათ. ომის დასკვნით ეტაპზე ეს მაჩვენებელი თითქმის განულდა, რადგან ამერიკულმა წყალქვეშა ნავებმა იაპონურ სატრანსპორტო ფლოტს მუსრი გაავლეს.

შეძლებს თუ არა ჩინეთი, სრულად გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რომლებიც რეგიონში ამერიკელთა სავარაუდო უკანდახევის შემდეგ შეიქმნება? მოახერხებს თუ არა სხვა ქვეყნებთან, უპირველესად კი იაპონიასთან, საერთო ენის გამონახვას ახალი ეკონომიკური გაერთიანების ფარგლებში?

## ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!

აღწერილი მოვლენები, ერთი შეხედვით, საქართველოსგან შორს ვითარდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ცვლილებები აშშ-ჩინეთის ურთიერთობაში გავლენას მსოფლიოზე იქონიებს. თუ მათ შორის სერიოზული დაპირისპირება დაიწყება, რუსეთის გადაქცევა მოკავშირედ ორივესთვის პრიორიტეტული იქნება.

ამ სამკუთხედში ურთიერთობების მნიშვნელობა ვაშინგტონმა ვიეტნამის ომის პერიოდში გაიგო, როდესაც მისი პოზიციები რეგიონში შეირყა. **ჰენრი კისინჯერმა** იმხანად ჩინეთთან ურთიეთობების „გადატვირთვის“ სტრატეგია შეიმუშავა და პეკინი, სოციალისტური ორიენტაციის მიუხედავად, „ცივ ომში“ ფაქტობრივად, ვაშინგტონის ფარულ მოკავშირედ აქცია. ჩინეთმა, მას შემდეგ, რაც მის ძლიერება მკვეთრად გაიზარდა, ჯერ **ბილ კლინტონის** პრეზიდენტობის პერიოდში (1998-ში), შემდეგ კი **ობამას** პრეზიდენტობის დასაწყისში უარყო „დიდი ტანდემის“ შექმნის იდეა, რომელიც, აგრეთვე, ჰენრი კისინჯერს ეკუთვნოდა. სწორედ ამ დროს ვაშინგტონმა დაიწყო ზრუნვა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე (ობამას „გადატვირთვა“), რომლის შემდეგაც კრემლის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში გაიზარდა, ხოლო „ფერადი რევოლუციების აღლუმი“ დროებით შეწყდა. შემდეგ, როდესაც ჩინური ეკონომიკის ზრდის ტემპებმა იკლო, ხოლო ურთიერთობა ვაშინგტონსა და პეკინს შორის დასტაბილურდა, ობამას ადმინისტრაციამ აიღო კურსი „ახალ ცივ ომზე“ რუსეთთან. მთლიანობაში პროცესი ქანქარის მოძრაობას ჰგავს და ყველასათვის ცხადია — თუ ორი მხარე მესამის წინააღმდეგ სტრატეგიულ ალიანსს შექმნის, ის დამარცხდება.

თუ ტრამპის ადმინისტრაცია ჩინეთთან კონფრონტაციის გზას დაადგება, ეს აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებისკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კრემლის პოზიციების გაძლიერებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამასთანავე, საქართველოს შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება — ვაშინგტონის ტრადიციული დასაყრდენი რეგიონში — თურქეთი სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას ავლენს, ბოლო პერიოდში პრეზიდენტ **ერდოღანის** პოლიტიკა აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს ხშირად ეწინააღმდეგება, ამიტომ იმის ალბათობა, რომ აშშ საქართველოში რუსეთის გავლენის ზრდას სერიოზულ წინააღმდეგობას არ ან ვერ გაუწევს, იზრდება.

ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები ჩინეთს და მის ურთიერთობას აშშ-თან ტრადიციულად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. შესაძლოა, მოვიდა დრო, ეს დამოკიდებულება შეიცვალოს, რადგან გამორიცხული არ არის, საქართველოს ბედი XXI საუკუნეში სწორედ აზიაში განვითარებულმა პროცესებმა განსაზღვროს.

**ლუკა ნემსაძე**

## საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვიდრე საქართველოში იქნებიან ისეთი პრეზიდენტები, როგორიც იყო ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან შეკრული შევარდნაძე, იმაზე უარესად „შეკრული“ სააკაშვილი, აგრეთვე, ივანიშვილი, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩახუტებულია დასავლეთის ფინანსურ წრეებთან, ივანიშვილის მიერ მოთრეული არასამთავრობოების წარმომადგენლები და პრემიერი, რომელსაც განათლება ამერიკაში აქვს მიღებული, ჩვენი საშველი არ იქნება“.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში (№46, 7-13 ნოემბერი, 2016წ.) დაიბეჭდა ვრცელი მასალა სათაურით „დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს“, რომელშიც აღწერილია დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოში, იმ ქვეყნის, რომელიც საქართველოს არასოდეს სწყალობდა.**
**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, დიდი ხანია, ეჭვქვეშ დგას და ჩვენი ქვეყნის მმართველები გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებენ, ზემოხსენებულმა დოკუმენტურმა მასალამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.**
**„საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო ბრძოლის საკითხების დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მუდმივად ყოფნა არის დიდი ბრიტანეთის მიერ შეტანილი წვლილი ნატოსა და საქართველოს ურთიერთობის პროცესში, რომელიც რეგულირდება ნატოს უელსის სამიტზე მიღწეული შეთანხმებებით. ეს წარმომადგენელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს ეხმარება შედეგიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფაში, აგრეთვე, სამთავრობოთაშორისი ინფორმაციის გაცვლის სისტემის გამართვაში. ის მჭიდროდ თანამშრომლობს სტრატეგიული განვითარების საკითხების ჩვენს მრჩეველთან“, — წერია ბრიტანელების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში, თუმცა იგივე ბრიტანელები ამბობენ: „ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძველი აქტიურად მოქმედი და კომპეტენტური სპეცსამსახურების ყოლაა, რომლებიც გარედან ნებისმიერ ჩარევას საკადრის პასუხს გასცემენ“...**
**„არსებობს ორი პროფესია და სტრუქტურა, რომლებშიც უცხო ქვეყნის ჩარევა არ შეიძლება — სპეცსამსახურები და დიპლომატია“, — ამბობენ რესპონდენტები, რომლებსაც ვესაუბრეთ.**

# ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა, ამის გამოსასწორებლად საჭიროა პატრიოტი ადამიანი



### «ქართველი ერი მალე დაკარგავს იდენტობასაც და შაგრენის ტყავივით დამცრობილ ტერიტორიასაც»

**ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე:**

— გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მიმდინარე წლის 7-13 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ „დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს“ კიდევ ერთხელ განმიახლა დარდი ჩვენი ბედკრული სამშობლოს სავალალო მდგომარეობაზე. **კიდევ ერთხელ დავფიქრდი, რაოდენ ამაზრზენად მტაცებლურია ანგლოსაქსების ბუნება. დავფიქრდი იმაზე, როგორი ფარისევლობითაა შეფუთული მათი კოლონიზატორული მიზნები, როგორ ცდილობენ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები“ დემოკრატიის, თავისუფლებისა და ტოლერანტობის ნიღბით კაცობრიობის დამონებას. თუ ვინმეს ეს არ სჯერა, ვურჩევ, დიდი ყურადღებით გადაავლონ თვალი ზემოხსენებულ სტატიაში მოყვანილ ამონარიდებს „კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტიდან“.** სწორედ ამგვარი საპროგრამო დოკუმენტების შედეგია საქართველოს გავერანება-გატიალება ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში. სწორედ ამგვარი პროგრამების პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად განხორციელდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პუტჩი, რომლის შედეგად დევნილი აღმოჩნდა კანონიერად არჩეული საქართველოს ეროვნული ხელისუფლება — მთავრობა და პრეზიდენტი. სწორედ ამგვარი პროგრამის განხორციელების კონტექსტში უნდა განვიხილოთ ჩვენ უდიდესი ერისკაცის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მარტვილობა და აღსასრულიც...

აშკარაა, რომ, **თუ აღვირახსნილი დემოკრატიზმის ადეპტებმა მოახერხეს თავიანთი ანტისაკაცობრიო სურვილების რეალიზება, პატარა ერებისთვის, მათ შორის, ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ქართველი ერია, მზისქვეშეთში საარსებო სივრცე აღარ იარსებებს. ქართველი ერი უახლოეს პერიოდში დაკარგავს იდენტობასაც და შაგრენის ტყავივით დამცრობილ ტერიტორიასაც.** ნურავის ეგონება, რომ ეს მეტისმეტად მუქ ფერებში დახატული პერსპექტივაა. სხვათა შორის, სიტუაციის ადეკვატურად აღქმის, გაანალიზებისა და სტრატეგიული აზროვნების უუნარობას ჩვენივე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმატებით იყენებენ ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების ნიველირების მოსურნე გლობალისტური ძალები. დიახ, სწორედ ამგვარი სიბერწის გამოა, რომ კოლხურ-იბერიული სახელმწიფო რეალურად კვაზისახელმწიფოა და მეზობელ ზესახელმწიფო რუსეთთან ურთიერთინტერესების გათვალისწინება-დაბალანსების, ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის გარეშე, თითქმის 100%-იანი ალბათობით, საბოლოოდ შეწყვეტს არსებობას. ასეა ეს და ახლა ვისაც უნდა, მიწოდოს ცრუ ორაკული...

22 დეკემბერიც კარს მოგვადგა... 25 წელი გასულა იმ ავადსახსენებელი პუტჩის დაწყებიდან... 25 წელია, ჩვენს სამშობლოს კლავენ და, თუ ქართველმა ერმა საკუთარ წიაღში ჯერ კიდევ შემორჩენილი რესურსი არ გამოიყენა, თუ თვითგადარჩენის რეფლექსი არ აამუშავა, მაშინ მისთვის ძალიან მალე ყველაფერი ფატალურად დასრულდება.



### «ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში აგენტები რომ არ ჰყავდეს ჩასმული, ეგეთი სახელმწიფო არ არსებობს»

**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— საქართველოში მხოლოდ დიდი ბრიტანეთის დაზვერვა რომ მუშაობდეს, რა გვიჭირდა... ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში აგენტები რომ არ ჰყავდეს ჩასმული, ეგეთი სახელმწიფო არ არსებობს და ეს, უკვე 25 წელიწადია, გრძელდება. ვიღაცისთვის, შესაძლოა, ახალი ამბავი იყოს, რომ საქართველოში ბრიტანელებს აგენტები ჰყავთ, მაგრამ საქმეში ჩახედული კაცისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**ჩვენთან მუშაობენ ირანის, თურქეთის, ამერიკის და, რომელი ქვეყნის გინდათ, სპეცსამსახურები.** უცხოელი აგენტები საქმიანობენ ყველგან — სრულიად ამიერკავკასიაში.

**— ისინი თავდაცვის სამინისტროში მუშაობენ...**

— არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში, ისინი მუშაობენ ყველა სტუქტურაში, რაც დაუშვებელია. აგრეთვე, დაუშვებელია ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანების გაჭაჭანება ნებისმიერ უწყებაში. რა უნდა **სალომე ზურაბიშვილს** პარლამენტში — ის ხომ არასანდო ადამიანია?

**საქართველო, როგორც ქვეყანა, არავის სჭირდება, მას პლაცდარმად იყენებენ რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენს ქვეყანაში მუშაობს ისრაელისა და ირანის სპეცსამსახურები, ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს ჩვენს ტერიტორიაზე ებრძვის. ასე რომ, მხოლოდ ბრიტანეთი რომ იყოს, რა გვიჭირდა.**

საქართველო არის ბუდე ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიისკენ მიმართული ინტერესების.

ვიდრე საქართველოში იქნებიან ისეთი პრეზიდენტები, როგორიც იყო აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან შეკრული შევარდნაძე, იმაზე უარესად „შეკრული“ სააკაშვილი, აგრეთვე, **ივანიშვილი**, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩახუტებულია დასავლეთის ფინანსურ წრეებთან, ივანიშვილის მიერ მოთრეული არასამთავრობოების წარმომადგენლები და პრემიერი, რომელსაც განათლება ამერიკაში აქვს მიღებული, ჩვენი საშველი არ იქნება. ესენი ხომ ყველანი „შეკრულები“ არიან.

**ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა, ამის გამოსასწორებლად საჭიროა პატრიოტი ადამიანი, მაგრამ ამის ბედნიერება ჩვენ არ გვაქვს. კაცმა, პრემიერი რომ ჰქვია, სისულელეები დააბრეხვა და ბიუსელში გაემგზავრა, აქ კი რა მოხდა — კატასტროფულად მოიმატა ფასებმა... როცა ქვეყანაში ასეთი ვითარებაა, აგენტებთან საბრძოლველად ვის სცალია, ან ვინ მოიცლის?!**



### «საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეები არ ჰყავს»

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მუშაობა სუვერენული სახელმწიფოსთვის სასურველი არ არის, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. მესმის მეგობრობა, მაგრამ საზღვარი ყველანაირ ურთიერთობას აქვს. ამ თემაზე ყველა მთავრობას ვეკამათებოდი, რადგან თვლიდნენ, რომ უცხოელებს მათზე მეტი გამოცდილება ჰქონდათ და უნდა დამორჩილებოდნენ მითითებებს, რაც მიუღებელია.

**კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი დამოკიდებულება ორ ქვეყანას შორის, როგორიც ამერიკასა და ისრაელს აქვთ, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ამერიკულმა დაზვერვამ ებრაელი აგენტები გამოავლინა... მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ საკუთარი ქვეყნის ინტერესი ყველაზე მაღლა დგას.**

შესაძლებელია, ვიღაც დაგეხმაროს, მაგრამ, როცა ქვეყანა სუვერენულია, მის საშინაო საქმეებში ჩარევა ნაკლებად უნდა ხდებოდეს. **საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეები არ ჰყავს, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენს დასაცავად, არავინ იომებს. ამ ტერიტორიაზე თუ ვინმე ომობდა, ყველა საკუთარი ინტერესებისთვის.**

აუცილებელია, არსებობდეს ზღვარი, არსებობდეს კარი, რომელიც უახლოესი მეგობრისთვისაც კი ჩაკეტილი იქნება. ჩვენს მთავრობას რომ ჰკითხო, ყველა მათი მეგობარი და მოკეთეა, მაგრამ, თუ ამდენი მეგობარი და პარტნიორი გვყავდა, როგორ მოხდა, რომ საქართველომ 25 წლის განმავლობაში დაკარგა იმდენი ტერიტორია, რამდენიც სხვა ქვეყნებს საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავთ?

არსებობს ორი სფერო, რომლებისთვისაც კადრები სუვერენულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა მოამზადოს — დიპლომატია და სპეცსამსახურები. დაუშვებელია, ამ სფეროებში მომუშავე კადრები უცხო ქვეყნებმა მოამზადონ!

**— სახიფათოა ბრიტანული დაზვერვის მუშაობა საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებში? ჩვენ ხომ ინგლისელები არასოდეს გვწყალობდნენ...**

— ინგლისელებმა 1921 წელს ერთა ლიგაში შესვლაში შეგვიშალეს ხელი. ისინი ყოველთვის ამბობდნენ, რომ საქართველო მათთვის პრიორიტეტი არ იყო.

საფრთხე დიდი და რეალურია, მაგრამ ჩვენი მაღალჩინოსნები ამას ვერ ხედავენ. ქართული დიპლომატია გამუდმებით კრახს განიცდის. **კრახი იყო 2008 წლის ომიც. მთელი დაზვერვა ციხეში უნდა ჩაესვათ და არა მხოლოდ დაზვერვა, მთავრობაც, მაგრამ ამ ქვეყანას ხომ პატრონი არ ჰყავს.**

ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მართალია, სიმართლის თქმა არაპოპულარულია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას: **დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ.**

მსოფლიოში დაძაბულობის განმუხტვა მიმდინარეობს, პროცესი ამერიკის ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ დაიწყო, მაგრამ სად ვართ ჩვენ? რას აკეთებს ქართული დიპლომატია? მაქვს განცდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთოდ არ გვყავს. ე.წ. ვიზალიბერალიზაცია გამარჯვება არ არის. ჩვენ ევროპა თავისი ინიციატივით რასაც გვაძლევს, ვჯერდებით, ჩვენი ინციატივით რამე მოვიპოვეთ? — არაფერი. ევროპელებს ჩვენ ვერაფერში ვარწმუნებთ.

ქვეყანას უნდა ჰქონდეს სფეროები, რომლებშიც ვერავინ ჩაიხედავს. ყველა სახელმწიფოს თავისი ინტერესი აქვს, რომელიც შეიძლება ჩვენსას არ ემთხვეოდეს.

**«აუცილებელია, არსებობდეს ზღვარი, არსებობდეს კარი, რომელიც უახლოესი მეგობრისთვისაც კი ჩაკეტილი იქნება. ჩვენს მთავრობას რომ ჰკითხო, ყველა მათი მეგობარი და მოკეთეა, მაგრამ, თუ ამდენი მეგობარი და პარტნიორი გვყავდა, როგორ მოხდა, რომ საქართველომ 25 წლის განმავლობაში დაკარგა იმდენი ტერიტორია, რამდენიც სხვა ქვეყნებს საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავთ?»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

„არასამთავრობო სექტორი მათ მხოლოდ პირობითად შეიძლება დავარქვათ, რეალურად ეს არის დასავლეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი. ეს არის ყველაზე ქმედითი და აქტიური ნაწილი იმ აგენტურულ-ჯაშუშური მანქანისა, რომელიც რეალურად განაგებს სახელმწიფოს და ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, რომც უნდოდეთ, ამ ორგანიზაციებს ვერ შეეხებიან“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდესაც ამერიკის საელჩოს რამდენიმე თანამშრომელს უშიშროების სამინისტროს მოწმობებით სარგებლობა ავუკრძალე, ისეთი ამბავი ამიტეხეს, რომ თბილისიდან გვირაბის გათხრა ვალიარე...

**საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უშუბლისძარღვო მედროვეებითა და უცხოურ გრანტზე გაყიდული პოლიტიკური ლაქიებით რომ არის სავსე, მოსახლეობის დიდ ნაწილს შეხსენება, ალბათ, არ სჭირდება. პრემიერი იქნება, პრეზიდენტი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, დასავლელ ემისრებს ფინიებივით შესციცინებენ და უმნიშვნელო გადაწყვეტილებებსაც კი მხოლოდ მათთან შეთანხმებით იღებენ. ამას უკვე ისე მივეჩვიეთ, რომ აღნიშნულ მდგომარეობას შესაბამის სახელსაც ვერ ვარქმევთ, ამერიკას სტრატეგიულ პარტნიორს ვეძახით, ევროკავშირს — ისტორიულ არჩევანს. იმას კი არავინ ამბობს, რომ ერთიცა და მეორეც საქართველოს მიმართ კოლონიზატორულ პოლიტიკას ატარებს და დემოკრატიის სახელით ქვეყნის იდეოლოგიურ ანექსიას ეწევა...**

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი დოკუმენტური მასალა დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ჯაშუშურ საქმიანობაზე საქართველოში, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ფარდა აჰხადა მათ მზაკვრულ ჩანაფიქრს კავკასიის რეგიონში. ეს დოკუმეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თანამედროვე დასავლეთსა და მის ერთ-ერთ მთავარ „მოთამაშეს“, დიდ ბრიტანეთს, საქართველოს მიმართ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს — გააძლიეროს თავისი გავლენა როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული და გახდეს უპირობო ჰეგემონი ამ სივრცეში. ცხადია, ამ ჰეგემონიის მიზანი, უწინარესად, რუსეთის გავლენის შესუსტება, მისი პოზიციების მორყევა და საბოლოოდ რეგიონიდან განდევნაა. ამას არც მალავენ, რაც შეეხება კულტურულ ნაწილს, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება, ინცესტი, ანტიქრისტიანული პროპაგანდა და სხვა მსგავსი ნეოლიბერალური მარაზმი აქაც ჩვეულებრივი მოვლენა უნდა გახდეს, მენტალურად და იდეოლოგიურად საბოლოოდ უნდა მოვწყდეთ ისტორიულ ფესვებს...**

**რა საფრთხეებს შეიცავს საქართველოსთვის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ჯაშუშური საქმიანობა, რამდენად საშიშია მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და რა პოლიტიკას ატარებს ხელისუფლება ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად — ამ საკითხებზე კომენტარი ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს ვთხოვეთ.**



## «ავკრძალავდი ამ ოგანიზაციებს და მკაცრად გავაკონტროლებდი გრანტის სახით შემოსულ თითოეულ თეთრს»

**თამაზ მეჭიაური, ყოფილი დეპუტატი:**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ყველა ის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ფინანსდება უცხოეთიდან, საფრთხის შემცველია და სახელმწიფო მათ მიმართ უნდა იყოს ძალიან ფრთხილი. ჩემი ნება რომ იყოს, საერთოდ ავკრძალავდი ამ ორგანიზაციებს და მკაცრად გავაკონტროლებდი გრანტის სახით შემოსულ თითოეულ თეთრს.

რაც შეეხება ბრიტანეთის სპეცსამსახურებს, როდესაც მედიით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქვეყანაში მოქმედებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ჯაშუშური ქსელი, ხელისუფლება, სულ ცოტა, უნდა ინტერესდებოდეს, რასთან გვაქვს რეალურად საქმე. ამისთვის არსებობს შესაბამისი სამსახურები, მაგრამ იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს ბედს, ფაქტობრივად, დასავლეთიდან დაფინანსებული „ენჯეოები“ განაგებენ, იმის იმედი, რომ მსგავსი თემებით ვინმე დაინტერესდება, არ უნდა გვქონდეს.

**— ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობოების აკრძალვა დასავლეთის გულისწყრომას გამოიწვევს. არის კი დღეს სახელმწიფო მზად ამ კონფრონტაციისთვის?**

— აკრძალვაში არ ვგულისხმობ ყველა ორგანიზაციის ხელაღებით განადგურებას, ეს უნდა გაკეთდეს ძალიან ფრთხილად, დასაბუთებული მოტივით. მე მხედველობაში მყავს უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. შესაბამისმა სამსახურებმა უნდა შეისწავლონ, რისთვის იღებენ ისინი გრანტებს, რა მიზნები და ამოცანები ამოძრავებთ მათ დამფინანსებლებს. საზოგადოდ, ამ ორგანიზაციებს დავარქმევდი ნელი მოქმედების ნაღმებს, რომლებიც, კაცმა არ იცის, როდის აფეთქდება და დაგვამხობს თავზე სახელმწიფოს.



## «ამერიკელებს ბრიტანელები დაემატნენ»

**ვალერიან ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:**

— კონტრდაზვერვა ის სივრცეა, რომელშიც ყველაზე ახლო მეგობარიც კი არ უნდა ჩაახედო, მაგრამ ჩვენი სპეცსამსახურები, საუბედუროდ, ყოველთვის განიცდიან სხვადასხვა ქვეყნის პირდაპირ თუ ირიბ გავლენას. თუმცა არის სფეროები, რომლებშიც თანამშრომლობა აუცილებელია. ესაა საერთაშორისო ტერორიზმი, ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ორგანიზებული დანაშაული და სხვ. კონტრდაზვერვის ხაზითაც შეიძლება თანამშრომლობა, მაგრამ შემოუშვა სხვა ქვეყანა კონტრდაზვერვაში და, საერთოდ, გააკონტროლებინო, ეს კატასტროფაა. საზოგადოდ, ნებისმიერი ჯაშუშური საქმიანობა, სულ ცოტა, გულისხმობს, ჯაშუშის ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობას, ხოლო მაქსიმალური სარგებელი კი ჯაშუშობის ობიექტი ქვეყნისთვის ზიანის მიყენებაა, ამიტომ სადაზვერვო-ჯაშუშური საქმიანობის არასამთავრობო ორგანიზაციებითა და საერთაშორისო ფონდებით შეფუთვა ჯაშუშობის ახალი ფორმაა. აბა, გაბედეთ და, ან ბრიტანეთში, ან დემოკრატიის მექა აშშ-ში დააფუძნეთ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია სხვა ქვეყნის დაფინანსებით. იქ პროკურატურის მძლავრი ფილტრი უნდა გაიარო. არაფერს ვამბობ არალეგალურ კონტროლზე.

...ჩემი მინისტრობის პერიოდში, როდესაც ამერიკის საელჩოს რამდენიმე თანამშრომელს უშიშროების სამინისტროს მოწმობებით სარგებლობა ავუკრძალე, ისეთი ამბავი ამიტეხეს, რომ თბილისიდან გვირაბის გათხრა ვალიარე... შემდეგ ამერიკელებმა კონტრდაზვერვას გარე მეთვალყურეობის სამსახურიც კი გაუკეთეს და ე.წ. ოტო (მოსმენების სამსახური პორტატული ტექნიკით), რომლითაც ხანდახან მეც მაკონტროლებდნენ, თუმცა იმხანად ისეთი რთული ამოცანა გვქონდა ტერორიზმის სახით, რომ მივუგდე ეს სფერო ჩემს ერთ მოადგილეს ამერიკელებთან ერთად. უბრალოდ, ვიცოდი, რა მეზღაპრეებიც იყვნენ იმჟამინდელი და არა მხოლოდ იმჟამინდელი კონტრმზვერავები და წესიერად იქით არც გამიხედავს. ეს იყო სამწუხარო რეალობა, დღეს არ ვიცი, რა მდგომარეობაა კონტრდაზვერვაში. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რამე შეცვლილიყო უკეთესობისკენ, ალბათ, **ამერიკელებს ბრიტანელები დაემატნენ.**

რაც შეეხება **ხელისუფლებას, არ ვიცი, ეყოფა თუ არა მას ძალა და ნება, კონტრდაზვერვა გახადოს ხელშეუხებელი სხვა ქვეყნების გავლენისგან.** ამას დრო გვიჩვენებს. თუ სხვა პრიორიტეტები აქვთ და ძალები არ ჰყოფნით, გასაგებია, თუ არადა, **კონტრდაზვერვაში ახლა უკვე ბრიტანელების შეშვება, რომლებიც ისტორიულად ყოველთვის რუსეთის იმპერიის ჯიბრზე ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, წინაკატასტროფული ვითარების კიდევ უფრო დამძიმებაა.**

**— ბრიტანელები არც მალავენ, რომ მათი მთავარი ამოცანა რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტებაა. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა ქმედებები შეიძლება ამას მოჰყვეს ოფიციალური მოსკოვისგან?**

— ყოველი ქმედება იწვევს უკუქმედებას. რუსეთს აქვს ინტერესები ამ რეგიონში და ყოველი ახალი „მოთამაშე“, როგორც ახლა ამბობენ, რუსეთს ააქტიურებს და მოტივირებულს ხდის. ჩვენი დიპლომატიური უზრობის ფონზე კი ეს, პრობლემების გარდა, კარგს არაფერს მოიტანს.



## «რას აკეთებს უშიშროება, როცა აჭარა წალეკა თურქულმა ფულმა?!»

**ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე:**

— დღეს საქართველო, სამწუხაროდ, სავსეა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტებით და აქ მხოლოდ დასავლეთზე არ არის ლაპარაკი. საქართველოში აქტიურად მოქმედებს მეზობელი თურქეთიც და ძალიან მიკვირს, როცა ზოგიერთი აქცენტს აკეთებს რუსეთზე. ამ ქვეყნის მიმართ ყველაფერი გასაგებია — ხელისუფლების გაცხადებული პოლიტიკაა, რომ რუსეთი მტერია, მაგრამ საინტერესოა, ხმას რატომ არ იღებენ იმ ფაქტზე, რომ თურქეთი კოლოსალურ თანხებს ხარჯავს აჭარაში თურქული სკოლების გასახსნელად. არავის უჩნდება კითხვა, თუ რისთვის სჭირდებათ ეს.

ვფიქრობ, ხელისუფლებამ კარგად იცის, რა აგენტურული ქსელიც მოქმედებს ქვეყანაში, მაგრამ მას არ აქვს არც ძალა და არც ნება ამის აღსაკვეთად. ეს ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, ყურებით ჰყავთ დაჭერილი და უსიტყვოდ, უყოყმანოდ ასრულებინებენ ნებისმიერ მითითებას.

რაც შეეხება ე.წ. არასამთავრობო სექტორს, **რეალურად არასამთავრობო სექტორი არის დასავლეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი.**

**ეს არის ყველაზე ქმედითი და აქტიური ნაწილი იმ აგენტურულ-ჯაშუშური მანქანისა, რომელიც რეალურად განაგებს სახელმწიფოს და ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, რომც უნდოდეთ, ამ ორგანიზაციებს ვერ შეეხებიან.**

**— დასავლეთის კიდევ რომელი ქვეყნების სპეცსამსახურები მოქმედებენ საქართველოში, დიდი ბრიტანეთის გარდა?**

— ყველა მძლავრ და მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს აქვს საკუთარი ინტერესები ამა თუ იმ გეოპოლიტიკურ არეალში, მაგრამ შენ რისთვის გყავს შესაბამისი სამსახურები? რას აკეთებს უშიშროება, როცა აჭარა წალეკა თურქულმა ფულმა? ან იგივე აზერბაიჯანი ავიღოთ: ჩემთვის გაუგებარია, როცა, მაგალითად, კომპანია „სოკარი“, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი კომპანიაა მსოფლიოს მასშტაბით, აფინანსებს აზერბაიჯანელებს და აძლევს მათ საშუალებას, საქართველოში მიწები შეისყიდონ. ამას, რა თქმა უნდა, ერთი ხელისმოსმით ვერ აკრძალავ, მაგრამ **რა დავარქვათ იმას, რომ ხელისუფლება უარს ეუბნება ჩვენს ინგილო ძმებს თხოვნაზე, ისარგებლონ საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის პროგრამით? საუბარია 25 ათას კაცზე და იცით, რატომ ვერ ახერხებს ამას ხელისუფლება? იმიტომ, რომ საქმეში აზერბაიჯანის უშიშროება ჩაერთო. ეს დადასტურებული ინფორმაციაა და ჩვენ რას ვაკეთებთ? ქვემო ქართლში მეჩეთი მეჩეთზე შენდება, ტელევიზიაც თავიანთ ენაზე აქვთ აზერბაიჯანელებს და გაზეთიც. ამის შემდეგ ხმა რომ ამოიღო და რაღაც საფრთხეებზე ალაპარაკდე, გამოხტება ვიღაც გრანტით ნაყიდი „არასამთავრობო“ და შოვინისტად მოგნათლავს...**

ვფიქრობ, ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკაა და, ამ პოლიტიკას წერტილი თუ არ დაესვა, შედეგი იქნება კატასტროფული. ამერიკაში არის შტატი, რომელსაც ჰქვია ჯორჯია, მაგრამ არავითარი კავშირი მას ქართველებთან არ აქვს. ძალიან მალე საქართველო იქნება მხოლოდ ტრაფარეტზე გამოსახული და ამ საქართველოში ქართველები აღარ იცხოვრებენ. **აი, ამას მოიტანს ის მოღალატეობრივი პოლიტიკა, რომელსაც დემოკრატიას ეძახიან და თავს გვახვევენ. ამ პოლიტიკის შედეგად საქართველოში ქართველი სანთლით იქნება საძებარი.**

**ჯაბა ჟვანია**

**P.S.** მიუხედავად იმისა, რომ „მეოცნებე“ ხელისუფლება დასავლეთის ყურმოჭრილი მონაა და თითქმის ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე დღეს გრანტიჭამია „ენჯეოელი“ ზის, ვფიქრობდი, რომ შესაბამისი სამსახურები დაინტერესდებოდნენ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული მასალის წარმომავლობით. სულ ცოტა, ერთ ზარს და ელემენტარულ შეკითხვებს მაინც ველოდი, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ისე გაისუსნენ, გეგონება, პლანეტა მარსზე ან სულაც უცხო გალაქტიკაზე ვწერდით; თითქოს ეს ამბები, საქართველოს კი არა, ინდონეზიას ეხება (ინდონეზია — პირობითად). ისე, ეს გასაკვირი, ალბათ, არ არის — ამ მასალიდან ხელისუფლებას ახალი არაფერი გაუგია. ის, რაც ჩვენთვის და სახელმწიფოსთვის ჯაშუშური საფრთხეა, მათთვის დემოკრატიის დასავლელ ტრუბადურთა ძმური სამსახურია. მათთვის ამას „ბნელი საბჭოთა წარსულიდან“ თავის დაღწევაში დახმარება, „ცივილიზებულ“, „ნათელ“ და „ტოლერანტულ“ სამყაროსთან ინტეგრაცია ჰქვია. ალბათ, ეს არის რეალური მიზეზი დუმილისა, რომელიც ოქრო არ არის...

ჰკა მაგათა!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომლის მთავრობის წევრებმა ჯერჯერობით მხოლოდ აბსურდული ტერმინებით — „დაჰეჯირება“, „დედოლარიზაცია“, „ლარიზაცია“, „ვალატილობა“ — გაითქვეს სახელი, როგორც ჩანს, ილუზიების ტყვეობაშია და, იმის ნაცვლად, რომ ლარის კატასტროფული დაცემის შეჩერებასა და გალატაკებული ადამიანების ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ევროპაში დასეირნობს და კვლავ განაგრძობს მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრას ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკით.**

# პრემიერმინისტრის მოულოდნელი გულახდილობა — საქართველოს ნატოში შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

**საქართველოს ხელისუფლებები, წლებია, მოსახლეობას ყურს უჭედავენ ნატოსა და ევროკავშირში შესვლასა და, აქედან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ლაპარაკით. თავდაპირველად იყო „მაპი“, შემდეგ — „მაპზე უკეთესი“, შემდეგ — „მეტი ნატო საქართველოში“, ვიზალიბერალიზაცია“ და ა.შ., მაგრამ საშველი არც ნატოში შესვლას დაადგა არც — ე.წ. ვიზალიბერალიზაციას და მით უმეტეს — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ეს კი იმიტომ ხდება, რომ საქართველოს ხელისუფლება არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებისას არ არის დამოუკიდებელი, არამედ უცხოელ პატრონებთან შეუთანხმებლად სიტყვასაც ვერ ძრავს.**


ZEIT ONLINE

Suche

Politik Gesellschaft Wirtschaft Kultur Wissen Digital Campus Karriere Entdecken Sport Spiele mehr

Georgien

"Wir verstehen die Angst Russlands nicht"

Nato-Beitritt und gute Beziehungen zu Russland, geht das? Ja, sagt der georgische Premier Giorgi Kwirikaschwili. "Wir wollen mit Russland zusammenarbeiten."

Interview: Alice Bota

11. Dezember 2016, 7:21 Uhr / 302 Kommentare

Giorgi Kwirikaschwili © Sebastian Bolesch für DIE ZEIT

საქართველოს პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** გერმანულ გამოცემა Die Zeit-ისთვის 11 დეკემბერს მიცემულ ინტერვიუში ისეთი რაღაცები ილაპარაკა, რომ, ჩანს, რეალობას არის მოწყვეტილი, დედამიწაზე არ ცხოვრობს და ვერ აცნობიერებს, რა პროცესები დაიწყო მსოფლიოში:

* **„რუსეთის მცდელობები ამ ორი რეგიონის შემოერთებასთან დაკავშირებით მრავალფეროვანია და მოიცავს ბევრ პროვოკაციას. მაშინ, როცა ჩვენ ვცდილობთ ტემპერატურის დაწევას და ვერიდებით მტრულ და აგრესიულ რიტორიკას; რუსი პოლიტიკოსების მხრიდან, სამწუხაროდ, არ არის შესაბამისი საპასუხო ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, ჩვენ დაუღალავად ვიმეორებთ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა არ ისახავს მიზნად რუსეთისთვის დამუქრებას. ჩვენ გვსურს, რუსეთთან ვითანამშრომლოთ და ვერ ვხედავთ ვერავითარ წინააღმდეგობას, ამავე დროს, დასავლეთისკენ გზაზე სვლა რომ განვაგრძოთ“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერმა გერმანული გამოცემის ჟურნალისტთან საუბრისას.

აქ კვირიკაშვილი, რბილად რომ ვთქვათ, ფაქტებს ამახინჯებს, როდესაც ამბობს, რომ „რუსი პოლიტიკოსების მხრიდან არ არის შესაბამისი საპასუხო ნაბიჯები“.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ მკაფიოდ მიანიშნეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ მზად არიან დიალოგის დასაწყებად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარებაზე. ზუსტად ერთი წლის წინათ კი, 2015 წლის დეკემბერში, რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივაზე ასე უპასუხა:

„2008 წლის მოვლენების შემდეგ ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია, ჩვენ არ ვართ დაძაბულობის მიზეზი... რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს, პირველ რიგში, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების საქმეა, მათთან უნდა იმუშაოთ. ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ. საჭიროა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. რაც შეეხება სავიზო რეჟიმს, ვფიქრობ და მზად ვართ, გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი“.

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს რუსეთთან დიალოგის დაწყების გზაზე. ეს იმიტომ, რომ სწორედ დასავლეთის — ნატოსა და აშშ-ის, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის — გავლენისთვის ვერ დაუღწევია თავი, თუმცა ეს არც სურს, რადგან მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და არა ქვეყნისთვის სასიცოცხლო ინტერესების გატარებაზე. არ ფიქრობენ, რომ ნატოში შესვლა ამ ალიანსის სამხედრო ძალების განლაგებას ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე და სწორედ ის არის საფრთხის შემცველი ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს სამიზნეში აღმოვჩნდებით.

* **„ნატოს წევრობას არაფერი აქვს საერთო ტერიტორიულ მთლიანობასთან. პირველ რიგში, ნატოში შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გამოვრიცხეთ ამ მიზნის მიღწევა სამხედრო გზით. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა ნდობის ხარისხის ამაღლებაში მდგომარეობს, ერთი მხრივ, ქართველებს, ხოლო მეორე მხრივ აფხაზებსა და ოსებს შორის. ნატოს წევრობას კი მასთან არაფერი აქვს საერთო. ნატოსთან თანამშრომლობის მიზანი მხოლოდ სამხედრო მფარველობის მოპოვება არ არის. აქ საუბარია ღირებულებებზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, აქ საუბარია ამა თუ იმ ბანაკის წევრობაზე. საქართველომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება: ჩვენ გვინდა ევროპული და ტრანსატლანტიკური ბანაკის წევრობა. ეს ჩვენთვის ნიშნავს, რომ ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირისა და ნატოს სტანდარტებს შეესაბამება. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია ერთგულება. საქართველო თავს მიიჩნევს ევროკავშირის, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულ პარტნიორად სამხრეთ კავკასიაში“.**

**კვირიკაშვილი საქართველოს პირველი პრემიერმინისტრია, რომელმაც აღიარა, რომ ნატოში საქართველოს შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.** და, აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ყველა ხელისუფლების დაპირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფარსი იყო და მოსახლეობისთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე აზრის ჩანერგვას ემსახურებოდა, რადგან, ნატოს წესდების თანახმად, ამ ალიანსის წევრობის მსურველ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. კვირიკაშვილის ნათქვამი საეჭვოდ ემთხვევა ყოფილი რესპუბლიკელების — თავდაცვის ყოფილი მინისტრის — **თინა ხიდაშელისა** და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის ყოფილი სახელმწიფო მინისტრის — **პაატა ზაქარეიშვილის** რიტორიკას, რომლებიც გაიძახიან, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო. ისე კი, ნატოს წევრობას მართლაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან, დასავლეთს საქართველო ნატოს წევრად მხოლოდ იმიტომ სურს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე განალაგოს სამხედრო ბაზები რუსეთთან კონფრონტაციისთვის და საქართველო ამ კონფრონტაციის პოლიგონად აქციოს.

2008 წლიდან, როდესაც ნატოს ბუქარესტის სამიტზე განაცხადეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესაძლო შესვლის თაობაზე, ნატოს დელეგაცია 4-ჯერ ჩამოვიდა საქართველოში (უპრეცედენტო შემთხვევაა), ქართველი ჯარისკაცები კი სიცოცხლეს სწირავდნენ და სწირავენ უცხო ქვეყნებში სხვადასხვა მისიის შესრულებისას, რომელთა მიზანი დასავლეთის ინტერესების დაცვაა, მაგრამ ალიანსში შესასვლელი კარი საქართველოსთვის მაინც ჩარაზულია.

**„ალიანსის 28 ქვეყანა გადაწყვეტს, შევა თუ არა საქართველო ნატოში“,** — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** მიმდინარე წელს გამართული ნატოს ვარშავის სამიტის წინ.

ნატოს ერთი წევრი ქვეყანაც რომ იყოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლის წინააღმდეგი, ამ ორგანიზაციაში არავინ მიგვიღებს. არადა, ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი, წინააღმდეგი არიან.

აი, რას ამბობს საფრანგეთის სენატის წევრი **ემერი დე მონტესკიუ: „საფრანგეთი და გერმანია წინააღმდეგნი არიან უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ნატოში შესვლის. ეს აბსოლუტური პროვოკაცია იქნება“.**

**კვირიკაშვილი საქართველოს პირველი პრემიერმინისტრია, რომელმაც აღიარა, რომ ნატოში საქართველოს შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ყველა ხელისუფლების დაპირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფარსი იყო და მოსახლეობისთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე აზრის ჩანერგვას ემსახურებოდა, რადგან, ნატოს წესდების თანახმად, ამ ალიანსის წევრობის მსურველ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს**

ნატოში საქართველოს შესვლის უპერსპექტივობაზე ლაპარაკობდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებიც:

საფრანგეთის პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი:**

**„არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატოში შესვლის გზაზე. არ ყოფილა და არც არსებობს ნატოს დაუყოვნებლივ გაფართოების გეგმა“.**

აშშ-ის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა:**

**„რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებსაც გამოხატული აქვთ ნატოში წევრობის სურვილი, ყველა ასეთი ქვეყნის განაცხადი უნდა იყოს უარყოფილი, რადგან, ჩვენი აზრით, ნატო ამ ეტაპზე არ უნდა გაფართოვდეს“.**

ამაზე მეტი ვინ რა უნდა გვითხრას, რომ შევიგნოთ: **დასავლეთს ისედაც ბევრი პრობლემა აქვს და ნატოში საქართველოს მიღებით კიდევ უფრო არ აიტკივებს თავს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება კვლავ ჯიუტად ადგას აშშ-ის მარიონეტი სააკაშვილის მიერ გატკეპნილ გზას...**

ამასთანავე, აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არაერთხელ განაცხადა, რომ აშშ-მა უნდა დატოვოს ნატო, რადგან არ სურს, ამერიკის უსაფრთხოება რისკის ქვეშ დააყენოს იმ ქვეყნების გამო, რომლებიც ნატოს საწევროს არ იხდიან. და, თუ აშშ ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გამოვა ან დაფინანსებას შეუმცირებს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ნატო აღარ იარსებებს?!

მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები ნატოში საქართველოს შესვლაზე უარს კბილებამდე შეიარაღებული რუსეთის შიშით ამბობენ და მოგვიწოდებენ (ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც) ამ უზარმაზარ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობა მოვაგვაროთ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ნაბიჯს არ დგამს ამ ურთიერთობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად.

თუმცა **ამას, ალბათ, სახელისუფლო სტრუქტურებში (აღარაფერს ვამბობთ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებსაც მილიონობით დოლარითა და გირვანქა სტერლინგით აფინანსებენ ამერიკელები და ბრიტანელები) ჩანერგილი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მითითებით აკეთებენ.** ეს კარგად ჩანს საქართველოს კიდევ ერთი „სტრატეგიული პარტნიორის“, დიდი ბრიტანეთის, მიერ შემუშავებულ დოკუმენტში, რომელსაც „კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის (CSSF) 2016—2017 წლების საპროგრამო დოკუმენტი ჰქვია (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №45, 2016 წ.).

ტერორისტული აქტებით, „ბრექსიტითა“ და მიგრაციული კრიზისით შეშფოთებულ ევროკავშირში აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ შეუქცევადი პროცესები დაიწყო — ბულგარეთში, მოლდოვასა და ლიტვაში ნაციონალურმა ძალებმა გაიმარჯვეს, ანალოგიურ პროცესებს წინასწარმეტყველებენ ექსპერტები გაისად საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. ამ ფონზე პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომლის მთავრობის წევრებმა ჯერჯერობით მხოლოდ აბსურდული ტერმინებით — „დაჰეჯირება“, „დედოლარიზაცია“, „ლარიზაცია“, „ვალატილობა“ — გაითქვეს სახელი, როგორც ჩანს, ილუზიების ტყვეობაშია და, იმის ნაცვლად, რომ ლარის კატასტროფული დაცემის შეჩერებასა და გალატაკებული ადამიანების ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ევროპაში დასეირნობს და კვლავ განაგრძობს მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრას ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკით.

**შემოულაწუნეთ ვინმემ, იქნებ გონს მოეგოს!**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ვლადიმერ პუტინის რუდუნებით მკვდრეთით აღმდგარი რუსეთი შეიქნა ერთადერთი აუღებელი ბასტიონი ნეოლიბერალური, პრაქტიკულად სატანისტური იდეოლოგიის გავრცელების გზაზე და, რა მუცლის გვრემაც სჭირთ ჯერ ბრიტანული „ბრექსიტისა“ და შემდეგ დონალდ ტრამპის არჩევის გამო ისტერიკაში ჩავარდნილ ვაშინგტონელ თუ ბრიუსელელ ლიბერასტებს, გასაგებია.**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აურზაურის მიზეზი რუსეთის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების დაუფლების სურვილია

**ნაპოლეონ ბონაპარტესგან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, 200 წელიწადია, „ველურ“ რუსეთსა და დანარჩენ „ცივილიზებულ“ დასავლეთს შორის დაპირისპირება მეტ-ნაკლები ინტენსივობით პერმანენტულად მიმდინარეობს. რატომ? — იმიტომ, რომ XIX საუკუნეში იმხანად მსოფლიოს უძლიერესი იმპერიის, დიდი ბრიტანეთის, ინტერესებში არ „ჯდებოდა“ რუსეთის მართლმადიდებელი იმპერიის არსებობა და სწორედ ბრიტანეთის მეცადინეობის შედეგად შეესია მთელი ევროპის მფლობელი ბონაპარტე რუსეთს, მაგრამ მანამდე უძლეველმა იმპერატორმა ისეთი მარცხი იწვნია, რომ ევროპაც დაკარგა, საფრანგეთიც და სიცოცხლე წმინდა ელენეს კუნძულზე დაასრულა.**

XIX საუკუნის 50-იან წლებში ბრიტანეთი არც პირდაპირ სამხედრო აგრესიას მორიდებია საფრანგეთის რიგით მეორე რესპუბლიკასთან ტანდემში ყირიმის დასაუფლებლად წარმოებულ ომში, რომელიც სევასტოპოლის გმირული ეპოპეის სახელით შევიდა რუსეთის ისტორიაში. თუნდაც ეს ფაქტიც კმარა იმის დასტურად, რომ ყირიმი, მას შემდეგ, რაც 1783 წელს ეკატერინე დიდმა მიუერთა რუსეთს, ყოველთვის იყო რუსეთის განუყოფელი ნაწილი და ამ ტერიტორიასთან უკრაინას საერთო არაფერი აქვს...

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კი რუსეთი და ბრიტანეთის სამეფო ერთ სამხედრო კოალიციაში შედიოდნენ — ანტანტაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის დაზვერვა ყოველმხრივ ხელს უწყობდა რუსეთში რევოლუციური ელემენტების გაძლიერებას და სწორედ მათი დამსახურებაა 1917 წლის ჯერ თებერვლის რევოლუცია და შემდეგ — ბოლშევიკური გადატრიალება; შედეგად, რუსეთს, შეიძლება ითქვას, გამარჯვება მოჰპარეს და სამოქალაქო ომის ხანძარში გახვიეს. ხოლო მისი ადგილი და შესაბამისი დივიდენდებიც, როგორც გამარჯვებულმა, აშშ-მა სრულიად დაუმსახურებლად მიიღო, რადგან აშშ პირველ მსოფლიო ომში მის დამთავრებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე ჩაება და შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად მსხვერპლი არ გაუღია.

ეს იყო პირველი შემთხვევა აშშ-ის ისტორიაში, როდესაც იგი ამერიკის კონტინენტს გარეთ გამოჩნდა სამხედრო ასპარეზზე და სწორედ აქედან იღებს სათავეს ე.წ. ანგლოსაქსური ხაზი, რომელიც დღესაც მოქმედებს ვაშინგტონ-ლონდონის სტრატეგიული მოკავშირეობის სახით.

შემდეგი გლობალური განსაცდელი კაცობრიობას მოევლინა ფაშიზმის სახით, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. **სტალინ-რუზველტ-ჩერჩილის** კოალიციამ სძლია ჰიტლერულ გერმანიას. ამ ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი სსრკ-მა გაიღო და თითქოს სამი სუპერსახელმწიფოს მშვიდობიან თანამშრომლობას ვერაფერი შეუშლიდა ხელს, მაგრამ ომის ხანძარი ჯერ კიდევ ბოლავდა, როდესაც უინსტონ ჩერჩილმა ქალაქ ფულტონში გამოსვლისას „ცივი ომის“ დაწყება აუწყა მსოფლიოს. „ცივი ომი“ კი, რომელიც დროდადრო ცხელ ფაზაში გადადიოდა, კორეა იქნებოდა ეს, ვიეტნამი თუ ავღანეთი, პრაქტიკულად, აშშ-ისა და სსრკ-ის, გნებავთ, ნატო-„ვარშავის პაქტის“ სამხედრო დაპირისპირება იყო.

„ცივ ომში“ ბოროტების იმპერიად წოდებული სსრკ დამარცხდა, არსებობა შეწყვიტა და თითქოს საყოველთაო მშვიდობას უნდა დაესადგურებინა მსოფლიოში, მაგრამ არა — დამაბალანსებელი ძალის (წაიკითხე, სსრკ) გარეშე დარჩენილმა დასავლეთმა (წაიკითხე — აშშ) გადაწყვიტა, მსოფლიო ჟანდარმის როლი მოერგო, რასაც წინააღმდეგობას ვერ უწევდა ლიბერალების ხელში ჩავარდნილი, ელცინის მიერ გაყიდული, დაჩოქებული რუსეთი და, რომ არა ვლადიმერ პუტინი, ახლა მსოფლიო ვაშინგტონის გემოვნების მიხედვით იცხოვრებდა.

ეს, არცთუ მცირე ისტორიული ექსკურსი იმის წარმოსაჩენად დამჭირდა, რომ რუსეთს, განსაკუთრებით ბოლო ორი საუკუნეა, მსოფლიო ებრძვის, მიუხედავად იმისა, ეს ქვეყანა როგორი იყო — რომანოვების მართლმადიდებლური იმპერია, სტალინის ათეისტური სსრკ თუ მისი სამართალმემკვიდრე კაპიტალისტური რუსეთი.

ანუ, იდეოლოგიის მიუხედავად, ებრძოდნენ, ებრძვიან და მომავალშიც იბრძოლებენ რუსეთის წინააღმდეგ, რადგან მათ რუსეთის, როგორც მოცემულობის, არსებობა აღიზიანებთ და ამ აურზაურის მიზეზი რუსეთის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების დაუფლების სურვილია.

მკითხველს შევახსენებ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, **მადლენ ოლბრაიტის**, 2012 წლის გულწრფელ განცხადებას: **„დიდი უსამართლობაა, მსოფლიო რესურსების 40% მხოლოდ რუსეთს რომ ეკუთვნის“.**




**სააგენტო «ბლუმბერგმა» გამოაქვეყნა მომავალი წლის საინტერესო პროგნოზები, რომელთა მიხედვითაც: დასავლეთი ცნობს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაზე რუსეთის უფლებებს; დაიწყება აშშ-ის ეკონომიკის აღმავლობა; გამყარდება რუსული რუბლი; ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში ლიბერალ ლიდერებს კონსერვატიული ნაციონალური ლიდერები შეცვლიან, მარინ ლე პენს ახლავე ულოცავენ საფრანგეთის პრეზიდენტობას და ყველაზე მთავარი — ევროკავშირის შიგნით აღდგება ნაციონალური საზღვრები, ევროპელების ლექსიკაში დაბრუნდება სიტყვები — «სამშობლო», «ერი», ლიბერალებისთვის მიუღებელი ტერმინები და ამით დასრულდება შენგენის პროექტი**

ამას დავუმატოთ ისიც, რომ ვლადიმერ პუტინის რუდუნებით მკვდრეთით აღმდგარი რუსეთი შეიქნა ერთადერთი აუღებელი ბასტიონი ნეოლიბერალური, პრაქტიკულად სატანისტური იდეოლოგიის გავრცელების გზაზე და, რა მუცლის გვრემაც სჭირთ ჯერ ბრიტანული „ბრექსიტისა“ და შემდეგ **დონალდ ტრამპის** არჩევის გამო ისტერიკაში ჩავარდნილ ვაშინგტონელ თუ ბრიუსელელ ლიბერასტებს, გასაგებია.

დღეს კულტურული კაცობრიობის ყურადღება და იმედიანი მზერა სირიისკენ არის მიპყრობილი, რადგან იქაც, როგორც ადრე და ყოველთვის, რუსეთი მარტოდმარტო ებრძვის ისლამისტ ტერორისტებს და სირიის მეორე დედაქალაქი ალეპო პრაქტიკულად აღებულია ბაშარ ასადის სამთავრობო ჯარების მიერ. გათავისუფლებულია ათიათასობით მშვიდობიანი ადამიანი, რომლებიც მძევლად ჰყავდათ აყვანილი ისლამისტ კაციჭამიებს.

და, რას აკეთებს ამ მომენტში 67-სუბიექტიანი კოალიციის მეთაური **ბარაკ ობამა?**

ალბათ, მთელი 200 წლის განმავლობაში არ ჰყოლია აშშ-ს ისეთი კოჭლი იხვი, როგორიც ბარაკი ბრძანდება — აშკარად და უსირცხვილოდ, შეგნებულად უქმნის მომავალ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ისეთ პრობლემებს, რომ ვერ მან შეძლოს მთავარი დაპირების შესრულება — რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება.

ამას წინათ კანადის, აშშ-ის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიისა და იტალიის პირველმა პირებმა ნიანგის ცრემლების ღვარღვარის ფონზე საგანგებო განცხადება გააკეთეს და ალეპოში ცეცხლის დროებით შეწყვეტისკენ მოუწოდეს რუსეთს, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან მსგავსი პაუზები, როგორც წესი, მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად კი არა, ისლამისტების გადასაჯგუფებლად და მოსამარაგებლად კეთდებოდა.

ანალოგიური ფორუმი, ოღონდ საგარეო მინისტრების ფორმატში, 9 დეკემბერს პარიზში გაიმართა, სადაც **ჯონ კერიმ**, არც მეტი, არც ნაკლები, გულმოწყალებისკენ მოუწოდა პუტინს და იცით, ვის მიმართ? — ალეპოში ბლოკირებული შეიარაღებული ოპოზიციის მიმართ.

ამ ფარისევლობის შემხედვარეს მახსენდება **რეზო ჩხეიძის** „ღიმილის ბიჭებიდან“ მღდვლის ნათქვამი ფრაზა გერმანელი ფაშისტების მიმართ: „მაგათ არ აქვთ ყველაზე მთავარი — სიმართლე“...

კიდევ ერთ პარალელს, ოღონდ ამჯერად ნაცებთან, ვავლებ ხოლმე, როდესაც ორმაგი სტანდარტების დიდოსტატ, სასიკვდილო აგონიაში მყოფ დასავლელ ლიდერებს ვუსმენ — მათაც, ისევე, როგორც მათ მიერ გამოზრდილ ნაცებს, მორალური უფლება არ აქვთ, გულმოწყალებაზე, ჰუმანურობაზე ისაუბრონ, რადგან ეს ის ანგლოსაქსები არიან, რომლებმაც 1945 წლის გაზაფხულზე ღამით დაბომბვისას მიწასთან გაასწორეს ქალაქი დრეზდენი, რომელშიც არავითარი სამხედრო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა და ათეულ ათასობით მშვიდობიან გერმანელს, ძირითადად, ბავშვებს, მოხუცებსა და ქალებს სიცოცხლე მოუსწრაფეს. აღარაფერს ვიტყვი ბელგრადის მიწასთან გასწორებაზე ნატოს ავიაციის მიერ...

დონალდ ტრამპი განაგრძობს თავისი გუნდის ჩამოყალიბებას და მსოფლიო საზოგადოების სასიამოვნოდ გაოცებას:

ტრამპმა თავისი ადმინისტრაციის უფროსად ხომ მართლმადიდებელი ქრისტიანი დანიშნა და ახლა სახელმწიფო მდივნის პოსტზე მსხვილი ბიზნესმენის, **რექს სტივენსონის**, დანიშვნას აპირებს, რომელმაც 2011 წელს რუსეთთან მრავალმილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლისთვისაც ვლადიმერ პუტინმა ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

ამ ცნობამ კიდევ ერთხელ ააღნავლა ამერიკული მედია, — ტრამპის გამარჯვებაში რუსეთის ხელი ურევიაო, ხოლო აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ოფიციალური დასკვნა გამოაქვეყნა რუსეთის მხრიდან კიბერშეტევებით ტრამპის დახმარების დასადასტურებლად. ცსს-ს დასკვნას აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ტყუილი უწოდა, — ეს ის ხალხია, რომელმაც თავის დროზე **სადამ ჰუსეინს** ბაქტერიოლოგიური იარაღი „აღმოუჩინაო“.

სააგენტო „ბლუმბერგმა“ კი გამოაქვეყნა მომავალი წლის საინტერესო პროგნოზები, რომელთა მიხედვით, **დასავლეთი ცნობს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაზე რუსეთის უფლებებს; დაიწყება აშშ-ის ეკონომიკის აღმავლობა; გამყარდება რუსული რუბლი; ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში ლიბერალ ლიდერებს კონსერვატიული ნაციონალური ლიდერები შეცვლიან, მარინ ლე პენს ახლავე ულოცავენ საფრანგეთის პრეზიდენტობას და ყველაზე მთავარი — ევროკავშირის შიგნით აღდგება ნაციონალური საზღვრები, ევროპელების ლექსიკაში დაბრუნდება სიტყვები — „სამშობლო“, „ერი“, ლიბერალებისთვის მიუღებელი სხვა ტერმინები, და ამით დასრულდება შენგენის პროექტი.**

„ბლუმბერგის“ ეს პროგნოზები თუნდაც იმიტომ არის ყურადსაღები, რომ სწორედ ამ სააგენტომ იწინასწარმეტყველა „ბრექსიტი“ და დონალდ ტრამპის არჩევა...

ერთი სიტყვით, **თანამედროვე ნეოლიბერალებს შავი დღე დაუდგებათ.** მათ, ბოლო 30 წელიწადია, წაბილწეს ქვეყანა მამათმავლობის ცოდვის, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებისა და ინცესტის დაკანონებით. სადაც ეს მოასწრეს და შეძლეს, პრაქტიკულად, შექმნეს არათუ ულმერთო (ათეიზმი ნეოლიბერალიზმთან შედარებით ნეტარებაა), არამედ სატანისტური საზოგადოებები.

აქამდე ამ ყველაფერს მარტო ებრძოდა პუტინის რუსეთი და, თუ ამ საქმეში დონალდ ტრამპის ამერიკაც ამოუდგება, ამას რაღა სჯობს, მაგრამ...

**დავით მხეიძე**

**P.S.** წერილზე მუშაობისას საგანგაშო ამბავი შევიტყვე — **ანტიკური პალმირა, რომელიც ამა წლის მარტში რუსეთის ძალისხმევით გაათავისუფლეს, კვლავ დაიბრუნეს ისლამისტმა ტერორისტებმა — აი, ასე „ეხმარება“ აშშ რუსეთს მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში. 5000-მა ტერორისტმა ტანკებითა და ჯავშანმანქანებით ისე გაიარეს აშშ-ის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე 200 კილომეტრი პალმირამდე, რომ ამერიკელებმა ვერ შეამჩნიეს?**

**ასე რომ, გათავისუფლებულ პალმირაში სიმფონიური კონცერტის გამართვა ცოტა ნაადრევად მოუვიდათ რუსებს, მაგრამ ნათქვამია — ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამიერიდან არავითარი პაუზები, ცეცხლის შეწყვეტა და სხვა სენტიმენტები...**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, საქართველოში გამოჩნდებიან სალი ძალები, რომლებიც ამ ურთულეს დროებაში მოახერხებენ ძირეული ცვლილებების განხორციელებას“.

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

მამა გიორგი (რაზმაძე):

# ესენი სხვას როგორ უნდა უწოდებდნენ აგენტებს, როცა თვითონ თვალებში შესციცინებენ დასავლელ ცისფერ კომისრებს?!

**— მამაო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტომ „ტრანსგენდერ ქალთა ცენტრს“ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში 400 კვადრატული მეტრის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უსასყიდლოდ გადასცა. ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქონება „ტრანსგენდერი ქალების“ შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში იქნება გამოყენებული. რას ნიშნავს შესაძლებლობების გაძლიერება და რა პროგრამაზე შეიძლება იყოს საუბარი?**

— სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. საინტერესოა, რა მხრივ უნდა გაძლიერდნენ „ტრანსგენდერი ქალები“. **გაძლიერება, ეკლესიური კუთხით თუ ავიღებთ, ის იქნება, რომ შეინანონ ცოდვა და სინანულის გზით გამოსწორდნენ, მაგრამ ისინი ამას არ გულისხმობენ. გაძლიერება მათთვის ნიშნავს ცოდვის მიღებას და გამრავლებას.** აქედან გამომდინარე, **ის 400 თუ 500 კვადრატული მიწა იქნება ადგილი, რომელზეც აშენდება ახალი ბაბილონის გოდოლი.** ვფიქრობ, ეს არის ძალიან ცუდი და საგანგაშო პრეცენდენტი სახელმწიფოს მხრიდან, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ სხვა ორგანიზაციებსა თუ სტრუქტურებსაც გაუჩნდებათ მსგავსი „დახმარების“ სურვილი. ეს ერთი და მეორე — **სახელმწიფო, რომელიც დღეს თავს დებს ადამიანის უფლებების დაცვაზე, უკვე აშენებულ ეკლესიებს არ აძლევს რეგისტრაციის გავლის საშუალებას და მათი კუთვნილი მიწის საპატრიარქოსთვის გადაცემაზე უარს ამბობს.** არ ვიცი, ეს ვისი ბრძანებით ხდება, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: უამრავი ეკლესიაა, რომლებიც უკვე აშენებულია და მიმდინარეობს წირვა-ლოცვა.

**— დაახლოებით რამდენია ასეთი ეკლესია?**

— მხოლოდ გლდანის რაიონში ხუთი თუ ექვსია და მთლიანად თბილისის მასშტაბით — სამოცამდე. იმ ბატონებს შეუძლიათ, ჩამოიარონ ეს ეკლესიები, რომლებიც ადამიანის უფლებებს თავგადაკლული იცავენ და გაერკვნენ, რა ხდება. შემიძლია, მისამართები მივცე.

**— რომელი უწყების კომპეტენციაა მსგავსი საკითხების მოგვარება?**

— სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგეთ: ხან ეკონომიკის სამინისტროს აბრალებენ, ხან — ვის და ხან — ვის. მეტსაც გეტყვით, **კომპანია „ყაზტრანსგაზი“ ეკლესიებს ბუნებრივი აირის გადასახადს იმ ტარიფით ახდევინებს, რომლითაც, ვთქვათ, რესტორნებს. 75 თეთრია კომერციულ დაწესებულებებზე ერთი კუბური მეტრი აირის საფასური და ამდენივეს იხდის თითოეული ეკლესია და მონასტერი. საინტერესოა, რატომ არაფერს ამბობს ამაზე სახელმწიფო. რა, ეკლესია კომერციული დაწესებულებაა?!**

**— ამ საკითხზე თუ მიმართეთ რომელიმე სახელმწიფო უწყებას ან თანამდებობის პირს?**

— რა თქმა უნდა. მე, პირადად, რამდენიმე თვის წინათ წერილი მივწერე კახა კალაძეს და მომივიდა ასეთი პასუხი: ეს არის კერძო კომპანია და მის საქმიანობაში ჩვენ ვერ ვერევითო. მორჩა, ასე მოკლედ გამოგვისტუმრეს. სხვათა შორის, ანალოგიურად იქცევა კომპანია „თბილისის წყალიც“, რომელიც ბიზნესმენ **მამუკა ხაზარაძეს** ეკუთვნის. ამ ადამიანმა სოდ-ისა და კუდ-ის ყველა ყოფილი თანამშრომელი თავის სამსახურში მიიღო და ეს ყოფილი ჯალათები ახლა ეკლესია-მონასტრებში აწესებენ იმ ტარიფს, რომელიც აქვთ რესტორნებს, ბარებს და სხვა კომერციულ დაწესებულებებს. გასაგებია, რომ ესეც კერძო კომპანიაა და სახელმწიფო მის საქმეში ვერ ჩაერევა, მაგრამ ისინი თუ ყაზახები არიან, ეს ხომ ქართველია? რატომ არ ითვალისწინებს არაფერს? სოდ-ისა და კუდ-ის ჯალათები რომ შეუსია ეკლესია-მონასტრებს და ტყავს აძრობს, ნორმალურია?! სად არის სინდისი ან ზნეობა?!

**— ამას წინათ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საგანგებო რეზოლუციით რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ გააიგივა და შავ სიაში შეიყვანა. მიზეზად ის დასახელდა, რომ თურმე იგი მკვეთრად ანტიევროპულ და, საზოგადოდ, ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა. რა შეიძლება იგულისხმებოდეს ანტიდასავლურ პროპაგანდაში?**

— ჯერ მოდი, ასე შევხედოთ ამ ყველაფერს: რა არის დასავლური ღირებულებები. თანამედროვე „ნეოლიბერალური“ გაგებით, დასავლური ღირებულებები გულისხმობს ადამიანის, პიროვნების გათავისუფლებას ყველანაირი ჩარჩოსგან, მათ შორის, ზნეობისგან. ღირსება, როგორც ასეთი, საერთოდ არ უნდა არსებობდეს, უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი ცნება — ადამიანის უფლებები. შეგიძლია მოიქცე, როგორც მოისურვებ, მაგალითად, შიშველმა იარო ქუჩაში და ეს იქნება შენი უფლება. ვიღაცას შეუძლია, ძაღლზე ან კატაზე დაქორწინდეს და ეს მისი უფლება იქნება. მარტივად რომ ვთქვათ, მათი მიზანია ადამიანის გაპირუტყვება და თანამედროვე დასავლეთში უკვე არის ამის ნიშნები.



## «დასავლეთის შეტევა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის. ეს არის ბრძოლა სრულიად მართლმადიდებელ სამყაროსთან და, რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება საქართველოც»

რაც შეეხება შეტევას ეკლესიაზე, ეს გუშინ და დღეს არ დაწყებულა. მათ ეშინიათ მართლმადიდებლობის იმიტომ, რომ მართლმადიდებლური ეკლესია მუდმივად ამხელს ე.წ. ნეოლიბერალურ იდეოლოგიას. პროპაგანდა აქ არაფერ შუაშია, სასულიერო პირი ვალდებულია, მრევლს სიმართლე უთხრას. **ის, რასაც დღეს დასავლური დემოკრატია ჰქვია, გულისხმობს ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებას, გეიაღლუმებს, ნარკოტიკის ლეგალიზებას და ა.შ. ხოლო ტოლერანტობას ეძახიან იმას, რომ საზღვრები უნდა გახსნა და მიიღო ასიათასობით „მიგრანტი“, რომლებიც, კაცმა არ იცის, რა დანაშაულს ჩაიდენენ შენს ქვეყანაში. ეს ხომ ობიექტურად ასეა და ისინი ხომ ამით ამაყობენ. საინტერესოა, რატომ მიაჩნიათ ამაზე საჯაროდ საუბარი ანტიდასავლურ პროპაგანდად...**

**— რატომ მიაჩნიათ?**

— იმიტომ, რომ ეშინიათ, ადამიანები არ გამოფხიზლდნენ. ხშირად მსმენია ე.წ. ლიბერალებისგან, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ რაღაცისთვის მზად არ არის. რას ნიშნავს ჯერ? ეს იმას ნიშნავს, რომ, სანამ რაღაცას დაგიკანონებენ, უნდა დაგარწმუნონ, რომ ეს რაღაც „ნორმალური“ მოვლენაა, ჯერ ტვინი უნდა გამოგირეცხონ და სხვანაირად დაგაწყებინონ აზროვნება...

ჩემი აზრით, დღეს **დასავლეთის შეტევა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაზე მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის, ეს არის ბრძოლა სრულიად მართლმადიდებელ სამყაროსთან და, რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება საქართველოც.** ჩვენ ერთნი ვართ ქრისტეს სარწმუნოებაში და, მათ თუ დღეს რაღაც რეზოლუცია მიიღეს, ხვალ იმავე რეზოლუციას ჩვენ წინააღმდეგაც მიიღებენ. მერე ამას ისე წარმოაჩენენ მათი აქაური დამქაშები, რომ თითქოს არაფერი მომხდარა. ამაში იღებენ გრანტის სახით მილიონებს...

**— პატრიარქის ვიზიტზე მოსკოვში ერთი ამბავი ატეხეს „ლიბერალებმა“, ეკლესიასა და სამღვდელოებას კრემლის აგენტები უძახეს.**

**— რომის პაპი რომ ჩამოიყვანა ჩვენმა გონებანაკლულმა პრეზიდენტმა, მაშინ რატომ არ ყვიროდნენ, სად იყვნენ?!** სხვათა შორის, რომის პაპმა რამდენიმე კვირის წინათ ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** ანტიქრისტედ გამოაცხადა და მესა ჩაატარა ამერიკა-მექსიკის საზღვარზე, სადაც იგეგმება უზარმაზარი კედლის აშენება, რათა მიგრანტებმა ვერ შეაღწიონ ამერიკაში. ასეთი რამ მართლმადიდებელმა მღვდელმსახურმა რომ გააკეთოს, გაგიჟდებიან, — სიძულვილის ენით ლაპარაკობსო. ეს რა, არ იყო სიძულვილი, კაცი ანტიქრისტედ რომ მოიხსენია? ისინი ახლა ხვდებიან, რომ ყელში ჰყავთ ტრამპი გაჩხერილი და რა ქნან, არ იციან. კუჭი ეწვით იმის გამო, რომ ბოლო გაფართხალება აქვთ და ყველაფერს კადრულობენ.

რაც შეეხება აგენტებს, თვითონ ვისი აგენტები არიან? ვისი გრანტებით იკვებებიან, საინტერესოა. ესენი სხვას როგორ უნდა უწოდებდნენ აგენტებს, როცა თვითონ თვალებში შესციცინებენ დასავლელ ცისფერ კომისრებს?!

**— აგენტები რადგან ვახსენეთ, „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი მასალა დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელ საქმიანობაზე საქართველოში. საუბარია საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში ჩანერგილ ადამიანებსა და სხვადასხვა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელშეწყობასა და გაძლიერებაზე როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. თქვენი აზრით, რა საფრთხეს წარმოადგენს რეალურად ეს ჯაშუშური ქსელი სახელმწიფოსთვის?**

— უცხოეთის სპეცსამსახურები საქართველოში თავისუფლად რომ დათარეშობენ, არახალია. ამ სპეცსამსახურების პირმშოა სააკაშვილი თავის პოლიტიკურ ხროვასთან ერთად. არ მიკვირს, რომ იგივე გრძელდება დღესაც, თუმცა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რას აკეთებენ ჩვენი სპეცსამსახურები. როგორც ჩანს, იქ დღესაც ბევრია ჩარჩენილი „ნაციონალი“ — ერთუჯრედიანი და, რასაც ცისფერი კომისრები ავალებენ, იმას აკეთებენ.

„არასამთავრობოებს“ რაც შეეხება, მათ მზაკვრობას, დიდი ხანია, ფარდა აეხადა და დღეს, ალბათ, ბავშვმაც კი იცის საქართველოში, რომ ეს არის ტიპური მეხუთე კოლონა. ცხადია, სახელმწიფო მსგავსი ძალების მიმართ უნდა იყოს ძალიან ფრთხილი და ფხიზელი, მაგრამ, მეორე მხრივ, ვის გინდა ეს სიფრთხილე და სიფხიზლე მოსთხოვო, როცა თვითონ სახელმწიფოსაც ანალოგიური ძალები მართავენ.

**— მიუხედავად „ნეოლიბერალური“ ტერორისა, დღეს ევროპაში ნაციონალისტური ძალები ძლიერდებიან. ამის მაგალითია გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა ევროპული სახელმწიფოები. საქართველოში თუ ხედავთ მსგავს ძალებს ან მათი ჩამოყალიბების პერსპექტივას?**

— საქართველოში, სამწუხაროდ, დღესაც ძალიან ძლიერია „ნეოლიბერალური“ ძალები და ეს აშკარაა. ევროპისგან განსხვავებით, საქართველოში სერიოზული ძვრები არ შეინიშნება და ამის მიზეზი, ალბათ, მძლავრი ეროვნული ძალების არარსებობაცაა. მეორე მომენტია დაფინანსება. „ლიბერალებს“ და მათ მიერ შექმნილ ორგანიზაციებს მილიონებს უხდიან მსოფლიოს მასშტაბით ანტიქრისტიანული კამპანიის წარმოებაში. ამ საქმის მედროშე არის ყველასათვის ცნობილი მილიარდერი **ჯორჯ სოროსი**, რომელმაც, ფაქტობრივად, ღმერთად გამოაცხადა საკუთარი თავი. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, საქართველოში გამოჩნდებიან სალი ძალები, რომლებიც ამ ურთულეს დროებაში მოახერხებენ ძირეული ცვლილებების განხორციელებას. საქართველოს დღეს ეს ჰაერივით სჭირდება, ვნახოთ... ისე, ერთი რამ ყველამ უნდა ვიცოდეთ: როგორი გარდაქმნებიც უნდა მოხდეს საზღვარგარეთ, აქ არავინ ჩამოვა და ჩვენს გასაკეთებელს არ გააკეთებს. თუ რამის შეცვლაზეა საუბარი, ეს, უწინარესად, ამ ქვეყნის მოსახლეობამ უნდა გააკეთოს.

## მათ ეშინიათ მართლმადიდებლობის იმიტომ, რომ მართლმადიდებლური ეკლესია მუდმივად ამხელს ე.წ. ნეოლიბერალურ იდეოლოგიას

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**საქართველო უნდა დარჩეს პაიკად „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ და ეს პაიკი რუსეთთან კონფრონტაციაში უნდა იქნას გამოყენებული, თუ საჭიროა — შეწირულიც. საამისოდ დასავლეთში არ ჰყოფნით კონკრეტული ხელისუფლების მორჩილება, მათ სურთ, გამოიყენონ ჩვენი საზოგადოების სუსტი მხარეები და საზოგადოება სრულიად შეცვალონ მენტალურად.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინტერესით გავეცანი „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მასალას კავკასიასა და მოლდოვაში დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ სპეციფიკური ხასიათის პროექტების განხორციელების თაობაზე. 2020 წლის მარტამდე ყოველწლიურად 4,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოიყოფა, რათა მოხდეს „ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელება“ ხუთ ენაზე შექმნილი ახალი „საინფორმაციო რესურსების“ საშუალებით. ორგანიზაცია CSSF-ს ევალება, წინ აღუდგეს რუსეთის პოლიტიკას და საქართველოში აპრობირებული ანტირუსული საინფორმაციო სივრცე მეზობელ ქვეყნებზეც განავრცოს, რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის ჩათვლით.**

# საქართველო რუსეთთან კონფრონტაციაში პაიკივით უნდა იქნას გამოყენებული, და თუ საჭიროა — შეწირულიც

სრულიად ვეთანხმები ჟურნალისტ **ჯაბა ჟვანიას** დაკვირვებებსა და შეფასებებს, რომლებიც ახლავს დოკუმენტიდან მოხმობილ ციტატებს. საქართველოს სუვერენიტეტის თემა არ არსებობს ბრიტანელი პარტნიორებისთვის და არც ბუნებაში არსებობს. ეს სუვერენიტეტი (მხოლოდ ერთი ვერ გავიგე ბატონი ჯაბასი, რას გულისხმობს „დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში“ — საბჭოთა მანეთებით რომ ვიღებდით მოსკოვიდან გამოგზავნილ ხელფასებს და თან მოსკოვს ვაგინებდით?!). არ გავაგრძელებ სიტყვას იმაზე, რომ **დიდ ბრიტანეთს საქართველოს თავდაცვის სამინისტროშიც ოფიციალურად ჰყავს ჩანერგილი კურატორი და ამას არ მალავს.** მეტიც — **მოხმობილ ციტატებში ბრიტანელები არც იმას მალავენ, რომ მათი პროექტების მიზანს სწორედ დიდი ბრიტანეთის გავლენის ზრდა წარმოადგენს და არა საქართველოს სუვერენიტეტზე ზრუნვა.** წესით, ბრიტანელებს ჩვენგან მადლობა უფრო ეკუთვნით გულახდილობისთვის, თორემ სხვა „პარტნიორებისა“ და „მეგობრების“ მიერ განხორციელებულ უთვალავ პროგრამაში ასახული თვალთმაქცური ზრუნვა ჩვენს ქვეყანაზე ველარავის გააკვირვებს, ბრიტანელებმა კი სათქმელი პირდაპირ თქვეს.

კაპიტალისტებმა გვასწავლეს, რომ ბუნებაში არაფერი ხდება უანგაროდ — არც ადამიანებს შორის ურთიერთობებში და, მით უფრო, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. რატომ აღმოვჩნდით ქართველები ასე ცუდი შეგირდები და არ გავითვალისწინეთ ეს, ცალკე განსახილველი საკითხია, მაგრამ ფაქტია: ჩვენ ყოველთვის ვიტყუებდით თავს და დღესაც იმავეს განვაგრძობთ. **საქართველოს ხელისუფლებას სჯერა, რომ დასავლეთი უანგაროდ გვეხმარება და კვლავაც დაგვეხმარება, ჩვენგან კი მხოლოდ სახელმწიფოს სრულყოფას, დემოკრატიზაციას, ადამიანის უფლებებისა და კანონების დაცვას მოითხოვს.** რა უნდა გვქონდეს ამ ყველაფრის საწინააღმდეგო? თუკი დასავლეთი ჩვენგან მხოლოდ აქ ჩამოთვლილ პირობებს ითხოვს დახმარების სანაცვლოდ და ვინმეს ეს არ მოსწონს, მაშინ დასავლეთი ფრთიანი ანგელოზი ყოფილა, მისი კრიტიკოსები კი — ჭინკები. მაგრამ დასავლოფილ ლიბერალებს მათივე უმთავრესი დოგმა კიდევ ერთხელ შევახსენოთ — **არ არსებობს უანგარო დახმარება, განსაკუთრებით — სახელმწიფოებს შორის.**

სხვა მაგალითების მოხმობაც შემიძლია, თუნდაც ჩემი პირადი გამოცდილებიდან. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის გერმანული „კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის“ მიმართ, რომელმაც ჩემი სამწლიანი სამეცნიერო მივლინება გერმანიაში ასი პროცენტით დააფინანსა, სავსებით უანგაროდ, რადგან არასდროს ყოფილა იმის მცდელობა გერმანელთა მხრიდან, რომ რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ ჩემს ცნობიერებაზე, რაიმე დამეწერა არა „ასე“, არამედ „ისე“. კონტრაქტში მითითებული იყო, რომ სამი წლის გასვლის შემდეგ უნდა დავბრუნებულიყავი საქართველოში, რათა მიღებული გამოცდილება ჩემი სამშობლოსთვის გამომეყენებინა (გაგანია მიშიზმის დროს მომიწია დაბრუნება) და ჩემსავით კიდევ არაერთი ადამიანი იყო სამეცნიერო ხაზით გერმანიაში (უმეტესობამ, ჩემგან განსხვავებით, კონტრაქტის ბოლო პირობა დაბრუნების თაობაზე არ შეასრულა და გერმანიაში განაგრძო ცხოვრება). ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნები არ გამოყოფენ მსგავს, სავსებით უწყინარ და საჭირო გრანტებს, არც იმას, რომ გერმანიის პოლიტიკა ალტრუიზმზეა დამყარებული და მეტი არაფერი ადარდებს, ოღონდ კი საქართველოსთვის კარგი სპეციალისტები მომზადდნენ. უბრალოდ, აღვნიშნე ფაქტი იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ – საერთაშორისო სისტემა არ არის ერთმნიშვნელოვანი და მარტივი, დადებითი მაგალითების პოვნაც შეიძლება და უარყოფითისაც, მთავარია, სწორი ანალიზი და სიკეთის გარჩევა ბოროტებისგან.

ის, რასაც დასავლეთი და, კერძოდ, დიდი ბრიტანეთი სჩადის საქართველოს მიმართ, მეტწილად მაინც არ არის სიკეთე. საბოლოო ჯამში, საქართველო არის ხურდა „разменная монета“ მათ ხელში (ამის შესახებ ჯერ კიდევ 2000 წლის დასაწყისში დავწერე პრესაში). ეს ნათლად ჩანს დიდი ბრიტანეთის ზემოთ ნახსენები საპროგრამო დოკუმენტის მაგალითზეც. **საქართველო უნდა დარჩეს პაიკად „დიდ საჭადრაკო დაფაზე“; საქართველო რუსეთთან კონფრონტაციაში პაიკივით უნდა იქნას გამოყენებული, და თუ საჭიროა — შეწირულიც.** საამისოდ დასავლეთში არ ჰყოფნით კონკრეტული ხელისუფლების მორჩილება, მათ სურთ, გამოიყენონ ჩვენი საზოგადოების სუსტი მხარეები და საზოგადოება სრულიად შეცვალონ მენტალურად (ამ კონკრეტულ დოკუმენტშიც ნახსენებია „ზოგიერთი ტრადიციული პატრიარქალური მიდგომის“ შეცვლის აუცილებლობა გენდერული თანასწორობის მომიზეზებით). სწორედ ეს განასხვავებს დასავლურ მიდგომას რუსეთის მიდგომისგან და **ამიტომაა დასავლური მიდგომა გაცილებით საშიში ჩვენთვის (არა მხოლოდ), ვიდრე რუსეთის გეოპოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია. რუსული პოლიტიკა, რაგინდ მისაღები ან მიუღებელი უნდა იყოს ვინმესთვის, არ ითვალისწინებს უცხო საზოგადოების მენტალობის შეცვლის სურვილს და საამისოდ მიმართულ ქმედებებს.**

მსურს, განსაკუთრებით გამოვყო ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებთან დაკავშირებული დასავლური, უწინარესად, სწორედ ბრიტანული აქტივობების საფრთხე. **თითქოს საქართველოს ინტერესია, რომ მაშინ, როდესაც რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას აღიარებს, ჩვენ ბალანსის სახით დასავლეთი მოვიწვიოთ კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, რადგან დასავლეთი ფორმალურად აფხაზეთსა და შიდა ქართლს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. მაგრამ დასავლეთი, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან, პრობლემის მოგვარებას კი არა, მის შენარჩუნებას ლამობდა ყოველთვის და ახლაც იმავე პოლიტიკას განაგრძობს.**


გულბაათ რცხილაძე

არაერთხელ მითქვამს, რომ **საქართველოსა და რუსეთს შორის უმწვავესი ტერიტორიული პრობლემის არსებობა დასავლეთს აძლევს ხელს, რომელიც ამ პრობლემის გარეშე საქართველოსა და რუსეთის ფორსირებულ დაახლოებასა და სამოკავშირეო ურთიერთობებს ველარ შეაჩერებს და კავკასიიდან საბოლოოდ მოუწევს ფეხის ამოკვეთა.**



„საქართველო და მსოფლიო“ №45

რას აკეთებს დასავლეთი ტერიტორიული პრობლემის „მოსაგვარებლად“?

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ხაზით მრავალი წლის განმავლობაში ეწყობა შეხვედრები და ხორციელდება პროექტები, უწინარესად, აფხაზეთის მიმართ. ეს ბუნებრივია, რადგან დასავლეთში იციან, რომ რეალურად აფხაზებს, ოსებისგან განსხვავებით, უფრო მეტი დამოუკიდებლობა აქვთ რუსეთისგან და სურთ ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება. დასავლეთი, პირველ რიგში, ბრიტანული ფონდები, ახალისებენ პირდაპირ ქართულ-აფხაზურ კონტაქტებს, რომლებიც სინამდვილეში არ არის პირდაპირი და მაქსიმალურად კონტროლდება მათი სპეცსამსახურების მხრიდან. **მთავარი მომენტი, დადებითად დამუხტულ ტერმინში — „პირდაპირი კონტაქტები“ (კავშირები, შეხვედრები) არის ის, რომ რეალური დასავლური კონტროლის პირობებში ხდება რუსეთის იზოლირება პროცესიდან.** ახლა მავანი შემომძახებს: კი მაგრამ, სწორედ ეგ არ უნდა იყოს ჩვენი მიზანი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის არმაღიარებელი რუსეთის იზოლაცია მოხდეს, აფხაზები დასავლურ ორიენტაციაზე გადავიყვანოთ და ჩვენთან იქონიონ პირდაპირი ურთიერთობა რუსეთის გარეშე? მათ ვუპასუხებ: კეთილი, მაგრამ განა რუსეთს სძინავს? როგორ ფიქრობთ, რუსეთი ქართულ-აფხაზურ დაახლოებას ხელს არ შეუშლის, თუკი თავს ამ პროცესიდან იზოლირებულად იგრძნობს და ბრიტანულ, ამერიკულ, ევროპულ კვალს დაინახავს ამ მოვლენებში? რა თქმა უნდა, **რუსეთი რეალურ დაახლოებას ხელს შეუშლის და მას ძალიან იოლად შეუძლია ჩვენთვის ხელის შეშლა. არც აფხაზები გაგიჟდებიან ისე, რომ რუსების სრულ გამოთიშვაზე დათანხმდნენ, ისინი არც საქართველოს ენდობიან და არც დასავლეთს. შესაბამისად, დასავლეთის საშუამავლო პოლიტიკა სხვადასხვა არასამთავრობო ხაზით სულ სხვა მიზანს ისახავს:**

**პირველი —კავშირების მაქსიმალური გაღრმავება, აგენტურული ქსელის გაფართოება, სიტუაციის შეფასება; მეორე და მთავარი — საქართველოსა და რუსეთს შორის უნდობლობის გაღრმავება, ქართულ-რუსული დიალოგის არდაშვება და ყველა ინიციატივისთვის ხელის შეშლა.**

სხვა შემთხვევაში, თუ მე ვცდები, **რატომ არასოდეს გამოუხატავს არც ერთ დასავლურ ორგანიზაციას სურვილი, რომ ხელი შეეწყო უშუალოდ ქართულ-რუსული დიალოგისთვის? ხომ გასაგებია, რომ რუსეთის გარეშე, რუსეთის იგნორირებით ჩვენი ტერიტორიული პრობლემა არ მოგვარდება?** მე ჯერ კიდევ 2006-2007 წლებში დავსვი ეს საკითხი გერმანელების წინაშე. ბევრი თხოვნის შემდეგ, „ფრიდრიხ ებერტის ფონდმა“ (ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი — ქალბატონი ია თიკანაძე) ერთდღიანი მრგვალი მაგიდა მოაწყო ქართველი და რუსი პოლიტოლოგების მონაწილეობით, რომლის ორგანიზება მე შევძელი. ეს იყო და ეს, უბრალოდ, უარი ვერ მითხრეს, თორემ იგრძნობოდა, რომ მაინცდამაინც არ სურდათ, ხელი შეეწყოთ ქართულ-რუსული დიალოგისათვის და რაღაცის ეშინოდათ. შემდეგ ჩემი შეთავაზებით ადენაუერის ფონდმაც მოსინჯა ნიადაგი, მაგრამ საბოლოოდ უარი თქვა. ამ შემთხვევაშიც შევატყე იმჟამად საქართველოში მოვლენილ გერმანელ კოორდინატორ ქალბატონს, რომ ამ ტიპის პროექტს მას ზემოთ უბლოკავდნენ. ასეა თუ ისე, ქართულ-რუსული დიალოგი არ გაიმართა და 2008 წლის მოვლენები კიდევ უფრო დაჩქარდა. მხოლოდ სამიოდე წლის წინათ წამოიწყო დიალოგი ერთ-ერთმა რუსულმა ფონდმა და ისიც ქართველი პოლიტოლოგების იმ ნაწილთან, რომელიც ნატო-ევროკავშირ-ამერიკაზე ლოცულობს და დამოუკიდებელი აზრი არ აქვს. ამ უაზრო შეხვედრებს თუ არ ჩავთვლით, რომელიც, როგორც ვთქვით, ისევ რუსული მხარის ინიციატივით მოხდა, **არასოდეს, არც ერთ დასავლურ ორგანიზაციას არ უცდია ქართველებსა და რუსებს შორის დიალოგის ინიცირება.** შემთხვევითია ეს? – არა მგონია. ვიმეორებ: დასავლეთს, უბრალოდ, ხელს არ აძლევს კარგი და მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. აი, ეს უნდა გავითვალისწინოთ და ბრიტანული პროექტების არსი კიდევ უფრო გასაგები გახდება.

**გულბაათ რცხილაძე**

**საქართველოსა და რუსეთს შორის უმწვავესი ტერიტორიული პრობლემის არსებობა დასავლეთს აძლევს ხელს, რომელიც ამ პრობლემის გარეშე საქართველოსა და რუსეთის ფორსირებულ დაახლოებასა და სამოკავშირეო ურთიერთობებს ველარ შეაჩერებს და კავკასიიდან საბოლოოდ მოუწევს ფეხის ამოკვეთა**

## ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მოდი, სცადეთ — მონახეთ სამსახურიდან გათავისუფლებული თქვენი რომელიმე ნაცნობი, ჩააწერინეთ მას ვიდეომიმართვა, აწუწუნეთ ბევრი და ბოლოს ათქმევინეთ, შიმშილობას ვიწყებო. გადით მერე ქუჩაში და ელოდეთ, როდის მოვა თქვენი ამბის გასაშუქებლად ან „ტვ პირველი“, ან „რუსთავი 2“ ან „იმედი“, ან სხვა. შემიძლია გითხარათ, რომ მათ ლოდინში კიდურებისა და სახის სრული გაყინვა გარანტირებული გაქვთ, რადგან ყურსაც არავინ შეიბერტყავს, თუ ეს სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ტელევიზიებთან წინასწარ გავლილი და შეთანხმებული გეგმა არ არის.**

**დაფინანსებული და წინასწარ აგორებული თემა იყოს და ტელევიზიები „ბაღდადიდან“ მოვლენო! ცნობილი ანდაზის ასეთი პერიფრაზი კარგად ასახავს იმას, რა „ცირკიც“ ქართულმა ტელევიზიებმა 12 დეკემბერს შემოგვთავაზეს.**

# «იმათი პროფესიონალები» «ამათი პროფესიონალების» წინააღმდეგ და პირიქით

„რატომ გაუშვეს **ნიკა ჩერქეზიშვილი** სამსახურიდან?!“ — ისმოდა სხვადასხვა ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებების ანონსებიდან და უცებ ბედნიერადაც კი ვიგრძენი თავი. სხვათა შორის, ნიკა ჩერქეზიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობდა.

არა, ბოროტი ნამდვილად არ ვარ და სამსახურიდან არავის გაშვება ნამდვილად არ მიხარია, თუნდაც ეს ის ადამიანი იყოს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ აუგად თვითონ მოიხსენიებდა სამსახურიდან გაშვებულებს.

უბრალოდ, როდესაც ამხელა „გიგანტი“ ტელევიზიები ერთადერთ ადამიანზე აკეთებენ აქცენტს, — რატომ გაუშვეს ესა და ეს კაცი სამსახურიდანო, ძალაუნებურად გექმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთ ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრობ, რომელშიც ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა უიშვიათესი მოვლენაა და თითოეული მოქალაქის უსამსახუროდ დარჩენა ეროვნული ტრაგედიის ტოლფასია.

აი, სწორედ ამიტომ ვიგრძენი თავი ბედნიერად, რადგან მეგონა, ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდი.

არადა, ვერაფრით გამიცია პასუხი კითხვაზე: რით იყო გამოწვეული ყველა ტელევიზიის ასეთი უცაბედი დაინტერესება მაინცდამაინც ნიკა ჩერქეზიშვილის პერსონით? რამე განსაკუთრებული დამსახურება აქვს მას?

სულაც არა...

მაშ, რა იყო ეს — ერთ საღამოს გაკეთებული ვიდეომიმართვა სოციალურ ქსელში და მეორე დღესვე ლამის ყველა მედიასაშუალების მიერ ამის ატაცება? სამსახურებიდან, განსაკუთრებით ბოლო 15 წლის განმავლობაში, ასიათასობით მოქალაქე დაითხოვეს. შიმშილობაც არაერთს გამოუცხადებია და სხვადასხვა სახის პროტესტიც, მაგრამ ასეთი ხმაური ამის გამო და ასეთი პერსონიფიცირებული დაინტერესება, მაინცადამაინც ეს კონკრეტული პიროვნება რატომ გაუშვეს სამსახურიდანო, რაღაც არ მახსენდება...

ამიტომაც ნუ დამძრახავს მკითხველი, თუკი იმ აჟიოტაჟს, რომელიც გასულ კვირას დაიწყო და მიმდინარე კვირის დასაწყისიდანვე ამ ფორმით გაგრძელდა, **ნაციონალების მიერ დაგეგმილ, კარგად მომზადებულ მორიგ „პიარშეტევეად“ განვიხილავ.**

ვისაც ამის დაჯერება გიჭირთ, მოდი სცადეთ — მონახეთ სამსახურიდან გათავისუფლებული თქვენი რომელიმე ნაცნობი (არა მგონია, ასეთის მოძებნა საქართველოში გაჭირდეს), ჩააწერინეთ მას ვიდეომიმართვა, აწუწუნეთ ბევრი და ბოლოს ათქმევინეთ, — შიმშილობას ვიწყებო.

**გადით მერე ქუჩაში და ელოდეთ, როდის მოვა თქვენი ამბის გასაშუქებლად ან „ტვ პირველი“, ან „რუსთავი 2“ ან „იმედი“, ან ვინმე სხვა. შემიძლია გითხარათ, რომ მათ ლოდინში კიდურებისა და სახის სრული გაყინვა გარანტირებული გაქვთ, რადგან ყურსაც არავინ შეიბერტყავს, თუ ეს სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ტელევიზიებთან წინასწარ გავლილი და შეთანხმებული გეგმა არ არის.**

არადა, გვახსოვს, ბევრი რამე, მართლაც, მწარედ გვახსოვს! გვახსოვს, როგორ განაცხადა იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში, — **ის ორასი ათასი ადამიანი, რომლებიც ახლა საპროტესტო მიტინგზე იმყოფებიან, არიან ის არაპროფესიონალები და უსაქმურები, რომლებიც ჩვენ სამსახურებიდან გავყარეთ, ისინი დაიბოღმნენ და იმიტომ გამოდიან ჩვენ წინააღმდეგო.**

ისიც მახსოვს, როგორ მეკამათა სწორედ ამ თემაზე დღევანდელი „მოშიმშილე დაჩაგრული გმირი“ და როგორ სიამაყით განმიცხადა: „ვინც სამსახურებიდან მოხსნეს, ისინი იყვნენ არაპროფესიონალები და მოსახსნელები. მე რატომ არავინ მხსნის? იმიტომ, რომ პროფესიონალი ვარ! პროფესიონალი კადრების დიდი დეფიციტია და პროფესიონალს სამსახურიდან არავინ გაუშვებს!“.

სხვათა შორის, როდესაც ვიკითხე, — კარგი და, რა უნდა გააკეთოს იმ ხალხმა, რომელიც სამსახურებიდან ასე „უპრაგონოდ“ გაათავისუფლეს-მეთქი? „გენიალური“ პასუხი მივიღე: — მიწის მეტი რა არის, ძმაო? აიღონ თოხი, ბარი და წავიდნენ სოფელში და იშოვონ სარჩო(?!).

**ახლა კი, როდესაც პირადად პატივცემულ „პროფესიონალებს“ შეეხო „ოპტიმიზაციის“ მსახვრალი ხელი, თოხი და ბარი ვიღას ახსოვს?! ახლა შიმშილობა და სოლიდარობა სჯობს თურმე სოფელში წასვლას და სარჩოს შოვნას!**

ჰო, კიდევ ისიც მახსოვს, მათივე აზრით, მე თურმე იმიტომ ვაპროტესტებდი მაშინ რაღაც-რაღაცებს, რომ სამსახურიდან გამაგდეს და „დაბოღმილი“ ვიყავი.

ჯერ ერთი, **მე არავის გავუშვივარ, ჩემი ნებით, პროტესტის ნიშნად წამოვედი 2008 წელს „რუსთავი 2“-დან, მაგრამ, ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინტერესებს, თუკი მაშინ ხალხის პროტესტი „სამსახურიდან გაგდებულების ბოღმა“ იყო მხოლოდ, ახლა რატომ აღარ არის ამათი „შიმშილობანა“ სამსახურიდან გაგდებულების ბოღმა?!**

ქვეყანაში ასეთ სიტუაციის შექმნას, რა თქმა უნდა, ხელისუფლება უწყობს ხელს თავისი უგუნური მოქმედებითა და განცხადებებით. თუნდაც ეს ახლაგამომცხვარი „მამრობითი კლარა ცეტკინი“ რისი შედეგია? — რისი და „ოცნების“ ყველაზე ოდიოზური მინისტრის — **ალექსანდრე ჯეჯელავას** უპასუხისმგებლო და არაადამიანური განცხადებების. „ვინც კარგად არ მუშაობს, ის აუცილებლად დაკარგავს სამსახურს. ჩვენ პროფესიონალებს ვეძებთ და მათ არავითარ შემთხვევაში არ დავკარგავთ. ხოლო ის, ვინც სამსახურიდან განთავისუფლდება, ნიშნავს რომ არის არასაკმარისად პროფესიონალი“, — განაცხადა გასულ კვირაში მინისტრმა და, რა თქმა უნდა, უდიდესი გაღიზიანებაც გამოიწვია საზოგადოებაში.

მეტი რაღა უნდოდათ ნაცებს? მსწრაფლ იქნა გამოყენებული სიტუაცია, შეიქმნა „გმირის სახე“, რომელიც შვილს „ტკაცუნა სოსისს“ ვერ აჭმევს, გამოდნა ტრაგედია და ატეხა მედიამ ერთი ამბავი.

**მთელ ამ ორომტრიალში ნაცებს აყოლილ ხალხს, ალბათ, ავიწყდება, რომ ადამიანების სამსახურიდან ამ ფორმით, ასე შეურაცხმყოფელი მოტივით გათავისუფლება სწორედ ნაცების დანერგილი „ნოუ-ჰაუა“.**

კარგად მახსოვს, შემცირებები და ე.წ. ოპტიმიზაციები **შევარდნაძის** პერიოდში, მაგრამ იმხანად სამსახურიდან გაშვებულ ადამიანს ვინ გაუბედავდა, — შენ ცუდად მუშაობ, არაპროფესიონალი ხარ და იმიტომ გაგდებო?!

პირიქით — სამსახურებიდან გაშვებულ ხალხს ეფერებოდნენ, ათას ბოდიშს უხდიდნენ, — შენ კი ხარ კარგი მუშაკი, შესანიშნავი პროფესიონალი, უბრალოდ, სახელმწიფოს უჭირს, არ აქვს ამ ეტაპზე ამდენი საჯარო მუშაკის შესანახი სახსრები და, სამწუხაროდ, შემცირებაში მოყევით, გვაპატიეთ, ვეცდებით, ცოტა ხანში ისევ დაგიძახოთ, თუ არადა, არ დაგიკარგავთ დამსახურებასო.

და ხალხიც როგორღაც ინარჩუნებდა ღირსებას, ეგუებოდა, წყნარდებოდა...

სწორედ ნაცების პერიოდში დაიწყეს ღირსების შემლახავი, შეურაცხმყოფელი, ადამიანის გამანადგურებელი „მოხსნები“. ზოგჯერ კოლექტიურადაც კი არაპროფესიონალიზმში დადანაშაულება და, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, პირდაპირ ქუჩაში მოსროლა.

**ეს „სახელოვანი“ ტრადიცია ნაცებისა დღესაც გრძელდება „ოცნების“ ხელში და, როგორც ჩანს, ხმაური მხოლოდ მაშინ ატყდება ხოლმე, როდესაც ოპტიმიზაციის მსახვრალი ხელი იმ მავანს შეეხება, რომელიც ნაცების პერიოდში დიდ „პროფესიონალობას“ იჩემებდა, ფეხებზე ეკიდა სხვისი ბედი და, გარდა იმისა, რომ მაშინ სამსახურებიდან გაყრილ ადამიანებს წარუმატებლებსა და არაპროფესიონალებს ეძახდა, ვინ იცის, თავადაც რამდენი ადამიანი ჰყავს სამსახურიდან გაგდებული, რომ მასზე უფრო მაღლა მდგომთათვის დაენახვებინა, — ნახეთ, რა მაგარი პროფესიონალი, მკაცრი და ერთგული მენეჯერი ვარო.**



ნიკა ჩერქეზიშვილი

ახლა კი ამ ყოფილ „წარმატებულ მენეჯერებს“, როდესაც თვითონ რჩებიან უმუშევრები, უცებ ავიწყდებათ მათგანვე ნაქადაგები „აქსიომა“ — პროფესიონალებს სამსახურებიდან არავინ აგდებსო — და ისეთ წიოკს ტეხენ, ისე აცოდებენ თავს ხალხს სოციალურ ქსელებში გავრცელებული გულისამაჩუყებელი ვიდეომომართვებითა თუ სხვადასხვა თავის დამსაწყლებელი პოსტებით, გეგონებათ, არასოდეს არავისთვის ბუზიც კი არ აუფრენიათ ცხოვრებაში.

დარწმუნებული ვარ, **სწორედ ასე მოიქცევა ამჟამად ხალხის მოხსნა-გაგდებას მოწყურებული ალექსანდრე ჯეჯელავაც, ხვალ რომ საერთოდ უსამსახუროდ და ულუკმაპუროდ დარჩეს. დიდი რიხით წამოიწყებს საპროტესტო აქციებს და ძალიან ხმამაღლა გააპროტესტებს სამსახურიდან გათავისუფლებას. არადა, თუ მართლაც მივყვებით ჯეჯელავას მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმს, სამსახურიდან აუცილებლად უნდა გათავისუფლდნენ ის ადამიანები, რომლებიც უსაქმურობენ, არაფერს აკეთებენ და მხოლოდ ლაყბობით არიან დაკავებულნი. მგონი, ეს კაცი საკუთარ თავს უპირებს გათავისუფლებას, პირველ რიგში, და ჯერ არ გვიმხელს...**

საბოლოოდ, საქმე ისეთ კომიკურ სიტუაციამდე მიდის, რომ ასეთ სურათს ვიღებთ:

**საქართველოში არსებობენ „იმათი პროფესიონალები“ და „ამათი პროფესიონალები“. როდესაც „იმათი პროფესიონალები“ მუშაობენ, მაშინ „ესენი“ არაპროფესიონალები ხდებიან და პირიქით — როდესაც „ამათი პროფესიონალების“ სამსახურებში აყვანის ჯერი დგება, მაშინ უკვე „იმათები“ ხდებიან არაპროფესიონალები და უსაქმურები.**

ანუ, თუ **იმან** დაგასაქმა, მაშინ **ამათ** უსაქმურები, წარუმატებლები და არაპროფესიონალები უნდა ეძახო; ხოლო, თუ **ამან** დაგასაქმა, მაშინ იგივე ტერმინები და სიტყვები უკვე **იმათი** მისამართით უნდა გამოიყენო. გამოდის, ადამიანის პროფესიონალიზმი მისი ინდივიდუალური მონაცემებით კი არ იზომება, არამედ იმით, ვინ ასაქმებს მათ. შესაბამისად, „არავისტი“ ადამიანები, რომლებიც ყველაზე დიდი პროფესიონალები, საქმის მკეთებლები და სპეციალისტები არიან, მუდამ დაუსაქმებელნი რჩებიან. აკი, ნამდვილი პროფესიონალის პროფესიონალიზმი სწორედ იმაში აისახება, რომ, თავისი საქმის გარდა, **ისინიც** ფეხებზე ჰკიდიათ ხოლმე და **ესენიც** და არც საპროტესტოდ და საშიმშილოდ იწევს, თუ ვინმემ სამსახურში არ აიყვანა. ასეთი ხალხი ცდილობს, შეცოდებისა და ხმაურის გარეშე, თავმოყვარეობის შენარჩუნებით მოაგვაროს თავისი პრობლემები...

**დღეს კი მედია აურზაურს მხოლოდ მაშინ ატეხავს, თუ სამსახურიდან ვინმე „დამსახურებული ნაცი“ გაუშვეს. სხვა შემთხვევაში, იშიმშილე კი არა, თუ გინდა, ნავთი გადაისხი თავზე, ყურადღებას არავინ მოგაქცევს!**

აქ, მგონი, ტერმინ „ორმაგი სტანდარტის“ ხსენება არც არავის გაუკვირდება, რადგან ჩვენს ქვეყანაში, უკვე დიდი ხანია, ყველაფერი სწორედ ორმაგი სტანდარტით ხდება. ამ ყოველივეს კი, ალბათ, ყველაზე კარგად უძველესი გამოთქმის ასეთი პერიფრაზი მოუხდება: **მითხარი, ვინ არის შენი დამსაქმებელი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!**

**კარგი იქნება, თუ ქართველ ამომრჩეველს, ურთულესი ქირურგიული ოპერაციის შედეგად, საერთოდ დავუჩლუნგებთ დაპირებების დამახსოვრების უნარს. მოგეხსენებათ, ამომრჩეველთა ძირითადი სანერვიულო არჩევნებიდან არჩევნებამდე შეუსრულებელი დაპირებებია და ტყუილად რატომ უნდა ვანერვიულოთ ხალხი?**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველი ამომრჩეველი მალე ძალიან ბედნიერი იქნება

**ნეტავ, როდის გამოფხიზლდება ქართველი ამომრჩეველი? — ეს კითხვა სოციალურ მედიაში ყველაზე აქტუალური და პოპულარული იყო გასულ კვირას. საკითხის ასე დასმა მას შემდეგ უფრო გააქტიურდა, რაც „ოცნების“ ლიდერებმა ხალხს განუცხადეს, — ვერაფრით შევძლებთ ვერც „გაქცეული“ ლარის მობრუნებას და ვერც „წაქცეული“ ეკონომიკის მალე ფეხზე წამოყენებასო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ კითხვის დამსმელნი „ამომრჩევლის გამოფხიზლებაში“ იმას გულისხმობენ, რომ ამომრჩეველმა აღარ უნდა მისცეს ხმა „ქართულ ოცნებას“ და უფრო სწორი არჩევანი გააკეთოს...**




კი მაგრამ, რომელი? რომელია ეს უფრო სწორი არჩევანი?

აი კითხვა, რომელსაც „ოცნების“ ყველაზე დაუდეგარი კრიტიკოსიც ვერ სცემს პასუხს, თუკი ის რომელიმე პარტიის სუბიექტური აქტივისტი არ არის.

რეალობა ასეთია — ვფიქრობთ, ამომრჩევლის „გამოფხიზლება“ კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან გამოფხიზლებული და გონს მოსული, იგი უფრო მეტად შეიგრძნობს ქვეყანაში არსებულ უიმედო მდგომარეობას და ვინძლო, პანიკაშიც ჩაგვივარდეს.

ანუ, თუკი დღევანდელი მდგომარეობით ქართველი ამომრჩეველი ღრმა ნარკოზშია და მას „ბიძინა ექიმი“ მეთვალყურეობს, ვფიქრობ, სჯობს, დავტოვოთ ნარკოზის ქვეშ და პერმანენტულად დავუმატოთ ნარკოზის დოზა, რათა მუდმივად ვამყოფოთ უგონო და მშვიდ მდგომარეობაში.

გამოსავალი კი მხოლოდ ის არის, თუ ჩვენი „გაწონასწორებული“ პრემიერმინისტრი, „ენერგიული“ **კახა კალაძე** და „გაუცინარი“ **ირაკლი კობახიძე**, ისევ და ისე „ერის ქირურგის“ — **ბიძინა ივანიშვილის** კონსულტაციით, რაიმე სერიოზულ ოპერაციას ჩაუტარებენ ქართველ ამომრჩეველს.

მაგალითად, **არ იქნება ურიგო, რომ მას გადაუნერგონ მუდმივი კმაყოფილების უნარი, კერძოდ, იმის გამძაფრებული განცდა, რომ უკანალში ჰქონდა ცოცხი და აღარ აქვს და ესაა ცხოვრებაში მთავარი, თორემ, თუ რამეს კიდევ მოითხოვს, მაშინ „უმადური“ იქნება.**

ასევე, ძალიან **კარგი იქნება, თუ ქართველ ამომრჩეველს, ურთულესი ქირურგიული ოპერაციის შედეგად, საერთოდ დავუჩლუნგებთ დაპირებების დამახსოვრების უნარს. მოგეხსენებათ, ამომრჩეველთა ძირითადი სანერვიულო არჩევნებიდან არჩევნებამდე შეუსრულებელი დაპირებებია და ტყუილად რატომ უნდა ვანერვიულოთ ხალხი?!**

სრული ამპუტაცია, სრული ამოკვეთა დაპირებების დამახსოვრების უნარისა და მორჩა! არჩევნების მეორე დღესვე ქართველ ამომრჩეველს ყველა დაპირება სრულიად გადაავიწყდება. სულ ეგაა, ისიც ძალიან ბედნიერი იქნება და ბიძინასაც აღარ ექნება კომპლექსი, — ემანდ, რამე არ წამომცდეს და მერე არ წამომაძახონო. დადგება და, რაც გაუსწორდება, ის წასმოცდება. ასე არ ჯობია?

და, რაც მთავარია, ქართველ ამომრჩეველს უნდა გადავუნერგოთ და ჩავუნერგოთ ბელადის მონური სიყვარული — რომ ბიძინა ყოველთვის მართალია, ბიძინა ყოველთვის გამჭრიახია, ბიძინა არასოდეს ცდება და ა. შ.

აი, ბედნიერების რეცეპტი, რომელზეც, ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად მუშაობს „ქართული ოცნება“. აბა, წინასაარჩევნოდ რომ გვპირდებოდნენ, — მალე ყველანი ბედნიერები იქნებითო, საამისო არც ქართულ ეკონომიკას ეტყობა რამე, მისით რომ გავბედნიერდეთ, და არც საშინაო და, მით უფრო, არც საგარეო ამბებს...

ესე იგი ფაქტია: საიდუმლო ქირურგიული ოპერაცია მალე ჩატარდება და ჩვენ, ქართველებს, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი, ყველაზე უპრეტენზიო, ყველაზე მდგრადი და ყველაზე მონა ამომრჩეველი გვეყოლება.

განა არ იმსახურებენ ამას ჩვენგან ჩვენი ყველაზე „გაწონასწორებული“, ყველაზე „გაუცინარი“, ყველაზე „ენერგიული“ და ყველაზე ბიძინა ბელადები?

**ველოდი რახანია**

# მოგჯობინებულ ლარს წნევა ისევ დაუვარდა

**ჩვენი ყველგან შეპარული კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ბიძინა ექიმის მიერ ამას წინათ მორჩენილ ლარს წნევა ისევ დავარდნია და პანიკაში ჩაუგდია ხელისუფლების მესვეურნი. ეს ამბავი თურმე ასე მომხდარა:**

საღამო იყო. **ეკა, ენძელა, მანანა** და ლარი 9-საათიან „კურიერს“ უყურებდნენ, მოულოდნელად ლარმა წამოიკვნესა „ვაიმეო“ და უსულოდ გადაყირავდა.

ატყდა წიოკი, პანიკა, ენძელა ნიშადურს აყნოსებდა, მანანა სახეში ურტყამდა, ეკა ფეხებს უზელდა, მაგრამ უშედეგოდ, მისავათებული ლარი მხოლოდ „ვაიმეს“ გაიძახოდა და არაფერზე რეაგირებდა.

— მიდი ერთი, დარეკე 112-ში, იქნებ რამე ძლიერი გაუკეთონ“, — თქვა მანანამ და უმალ აკრიფა სასწრაფოს ნომერი.

— ქალბატონო, 25 წლის პაციენტია ცუდად, წნევა მაღლა იწევს და ვერ ვაგდებთ, იქნებ დროზე გამოუშვათ ბრიგადა“, — თქვა მანანამ და ლარს ნიშადური შეაყნოსა.

თითქოს ცოტათი წამოიწია, მაგრამ სიმძიმეს ვერ გაუძლო და ისევ მიაგდო თავი.

— დიმას დავურეკოთ რა, იცოდეს მაგანაც, — თქვა ენძელამ და **ქუმსიშვილის** ნომერი აკრიბა, — დიიმ, გამო რა, ლარია ისევ ცუდად, წნევამ აუწია და ვერ ვუგდებთ, „სკორი“ გამოვიძახეთ და შენც მოდი, ხო იცი, არ გვესმის მაგათი ენა.

ცოტა ხანში დიმაც მოქანდა, ქოშინით შევარდა სახლში და ლარს თავზე ხელი გადაუსვა.

— რა გჭირს, შეჩ..., ცოტა აზრზე მოდი რაა. იმენა ტვინი წაიღე უკვე. რა, გინდა, ახლა მოკვდე და ჩვენ შეგვატოვო ყველაფერი? ეგრე არ გამოვა რაა! აბა, მიდი ახლა, ცოტა აზრზე მოდი, რამე... გინდა, სადმე წავიდეთ?“ — უთხრა დიმამ, მაგრამ ლარს რეაქცია არ ჰქონდა.




— აი, „სკორი“ მოვიდა, „სკორი“, — დაიძახა ეკამ.

— სად არის პაციენტი? — იკითხა ექიმმა და ლოჯიაში შევიდა.

ექიმმა წნევის გასინჯვა დაიწყო და თან იქ მყოფებს ეკითხებოდა: — ბოლოს რა ჭამა ან რამე ისეთი ხომ არ დალია?

— ნუ, რა ვიცი ახლა, დოლარები უყვარს ძალიან და კი ვეუბნები ხოლმე, რომ ცოტა მოუკლოს ჭამას, მაგრამ გისმენს?

— ჰოო, მოუწევს დოლარებზე ცოტა ხნით მაინც თქვას უარი“, — თქვა ექიმმა და შპრიცი გაამზადა.

— ექიმო, როგორ ფიქრობთ, რამდენხნიან ეფექტს მოგვცემს ეს წამალი? — იკითხა დიმამ.

— ბატონო დიმა, საქმე ის არის, რომ დაავადებას სწორი დიაგნოსტიკა და სათანადო მკურნალობა უნდა. ეს იქნება დროებითი ეფექტი, თუმცა სჯობს, სრული ტომოგრაფია ჩაუტაროთ და დაადგინოთ, რატომ ემართება ასე. რამდენიმე დღით დავარეგულირებთ ამ მდგომარეობას, მაგრამ დიდი ხნით ვერ შეგპირდებით, — უთხრა ექიმმა დიმას და ნემსი ვენაში გაუკეთა ლარს.

ამასობაში ლარი ამქვეყნად მობრუნდა და იქ მყოფებს სუსტად, მაგრამ მაინც გაუღიმა.

**— ბატონო დიმა, საქმე ის არის, რომ დაავადებას სწორი დიაგნოსტიკა და სათანადო მკურნალობა უნდა. ეს იქნება დროებითი ეფექტი, თუმცა სჯობს, სრული ტომოგრაფია ჩაუტაროთ და დაადგინოთ, რატომ ემართება ასე. რამდენიმე დღით დავარეგულირებთ ამ მდგომარეობას, მაგრამ დიდი ხნით ვერ შეგპირდებით, — უთხრა ექიმმა დიმას და ლარს ნემსი ვენაში გაუკეთა.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დავით სოსლანი იყო არა მხოლოდ ძლიერი ორგანიზატორი და სახელმწიფო მმართველი, ის გახლდათ ბრწყინვალე პიროვნებაც. დავითის უპირველესი ღირსება იყო ის, რომ არ შეეცადა თამარის უფლებების შეზღუდვას. მისი გონებაგამჭრიახობა და სულიერი სიმაღლე ნათლად ვლინდება იმაში, რომ თამარი ისევ საქართველოს მეფედ დარჩა, თავისი უფლებებითა და რეგალიებით, მაგრამ რეალური მმართველი მაინც დავით სოსლანი გახლდათ, რომელიც თამარის სახელით აშენებდა, სჯიდა ურჩებს და ბრძოლებშიც იმარჯვებდა. ამიტომაც იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს საჭეთმპყრობელი დავით სოსლანი იყო (1189-1204), საქართველოს ყველა წარმატება თამარს მიეწერა.**

## ისტორიული პერსონები



**13 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ვახტანგ გორგასლის ხსენების ხსენების დღეს აღნიშნავს. ვახტანგი V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა. ის შვიდი წლისა იყო, როცა მეფე მირდატი გარდაიცვალა. მცირე ხანს საგდუხტ დედოფალი განაგებდა სამეფოს, მამის, სპარსეთის მეფის მარზპანის ბარზაბოდის შეწევნით.**

დაახლოებით 441 წელს ქართლს ჰუნები და ოსები შემოესივნენ, მოაოხრეს ხუნანი, კასპი, თან წაიყვანეს უამრავი ტყვე, მათ შორის ვახტანგის და მირანდუხტიც და უკან გაბრუნდნენ. ბიზანტიელებიც შეიჭრნენ ეგრისში და დაიპყრეს იგი ეგრისწყლიდან ციხეგოჯამდე.

თხუთმეტი წლის ვახტანგმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვეყნის მართვა-გამგეობას და 45 წელი ერთგულად ემსახურა ქვეყანას. ამ ხნის განმავლობაში გორგასალი დღითი დღე, დიდი რუდუნებით ჰქმნიდა ძლიერ სახელმწიფოს. ის ოსტატურად იყენებდა თავის ნათესაურ კავშირებს. ვახტანგს კარგი თვალით უყურებდნენ ირანშიც. ამაზე იმ ფაქტმაც იქონია გავლენა, რომ გორგასალი სპარსელთა მხარდამხარ იბრძოდა ავღანეთში. ირანთან მჭიდრო კავშირი გორგასალმა სპარსეთის მეფის ქალიშვილის — ბალენდუხტის ცოლად შერთვით განამტკიცა. თვით ირანის მეფეც პატივით მოიხსენიებს სიძეს და ვახტანგს „ათთა მეფეთა მეფე ახოვანს" უწოდებს.. ამასობაში თანდათან მოძლიერდა იბერია, ხალხი ძველ ნასახლარებს დაუბრუნდა, გამრავლდა, მოღონიერდა, გაჩნდა ახალი დასახლებები. ქვეყანამ ომებისაგან მიყენებულ ჭრილობები მოიშუშა. ვახტანგის მეფობის პერიოდში აშენდა არტანუჯი, უჯარმა. გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის დაარსებაც. ვახტანგი თავის გავლენა თანდათან გააფართოვა ჩრდილოეთ კავკასიაზე, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე.

თუმცა სარწმუნეობრივი განსხვავების გამო სპარსეთთან დაპირისპირება გარდაუვალი შეიქნა. გორგასალი თითქმის 20 წელი ებრძოდა სპარსელებს. გადამწყვეტი გამოდგა 491 წელს სამგორის ველზე გამართული ბრძოლა, რომელიც გორგასლის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. თუმცა მეფემ სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და აღესრულა მისსავე აშენებულ უჯარმაში. მისი ცხედარი განისვენებს სვეტიცხოვლის ტაძარში.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-45 (368-374)

## ქართველთა შიშით თურქები «ვითარცა მელნი იმალვოდეს და ვითარცა მთხუნველნი ძურებოდეს მიწით შინა»

**მართალია, თამარის ეპოქა ცნობილია, როგორც ,,ოქროს ხანა", მაგრამ მისი მეფობის დასაწყისი არც ისე იღბლიანი იყო საქართველოსთვის. დავიწყებთ იმით, რომ 1177 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო საქართველოს მეფის — გიორგი მესამის (1156-1184) წინააღმდეგ. შეთქმულება, რომელიც შემდეგ ამბოხში გადაიზარდა, გიორგი მესამემ დიდი გაჭირვებით ჩაახშო. ძალაუფლების არამდგრადობას გრძნობდა კიდეც მეფე და ამიტომაც 1178 წელს თამარი სიცოცხლეშივე აიყვანა ტახტზე. მაგრამ 1184 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, დიდგვაროვნებმა ხელმეორედ ჩაატარეს თამარის ,,გამეფების" ცერემონია. თუ პირველად თამარს ხმალი თავად მეფე გიორგიმ შეაბა, შემდეგ ეს მისია დიდმა ერისთავებმა — ვარდანის ძემ, საღირის ძემ და ამანელის ძემ შეასრულეს, რითაც აგრძნობინეს ახალგაზრდა მეფეს თავიანთი ძალა და გავლენა: „ხელყოს ხელთა მეფობისა და კურთხევითა გვირგვინოსან ყოფად".**

დიდებულები ამასაც არ დასჯერდნენ და მათ თამარს პირდაპირ მოსთხოვეს მეფის ერთგული, მაგრამ „უგვარო" ვაზირების — **მეჯინიბეთუხუცესის (ჭიაბერის), მსახურთუხუცესის (აზნაურის ნაყმევის აფრიდონის), მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის (ნაყვიჩაღარ ყუბასარის) გადაყენება.** თამარმა ჭიაბერი ბოლომდე დაიცვა, მაგრამ იძულებული შეიქნა, სხვა ვაზირებს შელეოდა და ისინი „დიდგვაროვანი არისტოკრატებით" ჩაენაცვლა. თანამდებობიდან იქნა გადაყენებული პირველი ვაზირიც — საქართველოს მწიგნობართუხუცესი, ჭყონდიდელი **ანტონ გლონისთავის ძე** და ეს ადგილი კათალიკოს-პატრიარქმა **მიქაელ მირიანის ძემ** დაიკავა.

ერთი სიტყვით, მეფე მძევალი აღმოჩნდა დიდებულთა ხელში, რაც კარგად იგრძნეს ვაჭარ-ხელოსნებმა (ე. წ. საშუალო ფენის წარმომადგენლებმა) და ახლა მათ მოაწყვეს შეთქმულება, რომელსაც **ყუთლუ-არსლანი** ხელმძღვანელობდა. ქვეყანა ისევ სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა. მართალია, ყუთლუ-არსლანის „დასის" გამოსვლა დიდი სისხლისღვრის გარეშე იქნა განეიტრალებული, მაგრამ ეს მოხდა თამარის უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვის ხარჯზე.

ოდნავ მოგვიანებით ისევ იძალეს ქართველმა დიდებულებმა და თამარი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, **იური რუსზე** დააქორწინეს. 1187 წელს იური რუსი თამარმა თავისი მცირერიცხოვანი ერთგული ხალხის დახმარებით საქართველოდან გააძევა, მაგრამ ქართველმა დიდებულებმა: **გუზან ტაოელმა, ბოცო ჯაყელმა,** მეფის მსახურთუხუცესმა **ვარდან დადიანმა** და თბილისის ამირამ **აბულასანმა** 1191 წელს ისევ „მოიწვიეს" საქართველოს მეფედ იური ანდრიას ძე, მაგრამ აჯანყება დამარცხდა, რადგან უკვე ძლიერი მეფე იყო საქართველოს საჭეთმპყრობელი — დავით სოსლანი და სწორედ ამ ფაქტორმა იქონია გადამწყვეტი გავლენა კარგად ორგანიზებული აჯანყების დამარცხებაში.

**სოსლან დავითი და თამარი 1189 წელს დაქორწინდნენ და აქედან მოყოლებული დავითი მტკიცედ ჩადგა საქართველოს სამსახურში და ღირსეულ მეუღლეობას უწევდა თამარ მეფეს. ოსმა უფლისწულმა თამარზე დაქორწინებისთანავე სერიოზულად მოჰკიდა ხელი სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას. მართალია, ქვეყანას ისევ თამარი განაგებდა და ის იწოდებოდა კიდეც მეფედ, მაგრამ თამარის სათნოების უკან დავით სოსლანის „რკინის ხელიც" იგრძნობოდა.** დავით სოსლანი იყო სამეფო ხელისუფლების დიდი ბურჯი. 1189 წლიდან საქართველოს სამეფო კარზე თანდათან სუსტდება დიდგვაროვანთა გავლენა და თამარი თანდათან იბრუნებს დაკარგულ ძალაუფლებას. ქართველი დიდებულები ველარ ბედავდნენ მეფისადმი ურჩობას. ერთადერთი **გუზან ტაოელი** აღმოჩნდა „მოუდრეკელი". დავით სოსლანმა ისიც შეიპყრო და თვალები დასთხარა.



თამარ მეფე. მიხაი ზიჩის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაცია

**დავით სოსლანი იყო არა მხოლოდ ძლიერი ორგანიზატორი და სახელმწიფო მმართველი, ის გახლდათ ბრწყინვალე პიროვნებაც. დავითის უპირველესი ღირსება იყო ის, რომ არ შეეცადა თამარის უფლებების შეზღუდვას. მისი გონებაგამჭრიახობა და სულიერი სიმაღლე ნათლად ვლინდება იმაში, რომ თამარი ისევ საქართველოს მეფედ დარჩა, თავისი უფლებებითა და რეგალიებით, მაგრამ რეალური მმართველი მაინც დავით სოსლანი გახლდათ, რომელიც თამარის სახელით აშენებდა, სჯიდა ურჩებს და ბრძოლებშიც იმარჯვებდა, ამიტომაც იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს საჭეთმპყრობელი დავით სოსლანი იყო (1189-1204), საქართველოს ყველა წარმატება თამარს მიეწერა.**

არადა, ამ თითქმის 15-წლიან მონაკვეთში საქართველომ გასაოცარ პროგრესს მიაღწია. 1191 წელს მოღალატე გუზან ტაოელმა საქართველოს ჩამოაცილა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა ციხეები, რომელიც ხლათის სულთანს (შაჰ-არმენს) გადასცა. მას მხარს უჭერდნენ სხვა მაღალი თანამდებობის მქონე დიდებულებიც. მოღალატეებმა კოლას მთას შეაფარეს თავი. მათ დასახმარებლად დაიძრა შაჰ-არმენის ჯარი, რომელსაც **გუზანის** შვილი სარდლობდა. მას სურდა ოჯახის წევრებისა და სხვა მოღალატეების საქართველოდან გაყვანა, ხოლო თურქების ჯარი იმ ციხესიმაგრეებში უნდა ჩაეყენებინა, რომლებიც გუზანმა ხლათის სულთანს გადასცა. მაგრამ ამ განაზრახის განხორციელებაში ხელი შეუშალა მეფის ერთგულმა აზნაურმა **ზაქარია ასპანის ძემ**, რომელმაც აიყოლია ძინიელნი, კალმახელნი, მოღალატეებს მიუხტა და დაამარცხა ისინი. ასპანის ძემ გუზანის ცოლ-შვილი დაატყვევა, წაართვა მათ ბანა, ხახული, ვაშლოვანი, ტაოსკარი, რომლებიც გუზანის ცოლშვილთან ერთად მის დასახმარებლად მოსულ დავით მეფეს გადასცა.

**ზაქარიას დაუფასდა ერთგულება, თამარმა მას ერისთაობა და ფანასკერტის ციხესიმაგრე უწყალობა. რაც შეეხება გუზან ტაოელს, მან გაქცევით უშველა თავს, მაგრამ შორს წასვლა ვერ მოასწრო, რადგან მთიბავებმა იცნეს, შეიპყრეს და დავით მეფეს მიჰგვარეს.**

1192 წელს დავით სოსლანის სარდლობით ქართველებმა დალაშქრეს კარნუ- ქალაქი. კარნუ-ქალაქელთა დასახმარებლად არზრუმიდან ჩავიდა სულთანი **ნასრ ად-დინ სალდუხის ძე.** გარდა ამისა, ამ ქალაქის დასაცავად იბრძოდნენ სურმანელები და კარელებიც. მტრის სიმრავლეს არ შეუშინდა დავით სოსლანი და პირველი ეკვეთა მტერს. ბრძოლაში გართულებს ისე დაალამდათ, რომ გამარჯვება ვერც ერთმა ვერ მოიპოვა: „ღამისა ბინდმა ულხინა გაყრად". გადამწყვეტი აღმოჩნდა ბრძოლის მეორე დღე, როცა კარნუ-ქალაქის დამცველებმა გააღეს კარიბჭე და ქართველებს შეუტიეს. უშელავათო ბრძოლაში უპირატესობა ქართველებმა მოიპოვეს და მტერი გააქციეს. ისე სამარცხვინო იყო მათი გაქცევა, რომ მემატიანე წერდა: **„და რცხვენილნი ცოლთაგან, საკიცხელ და სანერწყუავ იქმნეს ბიბთა ელიმთა და ხადუმთაგან, მკილენი და მგინობარნი მუჰამედის რჯულის-მდებლობისანი".**

ამის შემდეგ **ქართველებმა აიღეს ბარდავი. ეს ლაშქრობა 1193 წელს თამარის მემკვიდრის — ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად მოეწყო. ბარდავს არზრუმის** ►

## იცით თუ არა, რომ:







სერვანტესი სახელმწიფოს კუთვნილი თანხების გაფლანგვის ბრალდებით ორჯერ დააპატიმრეს.



მთა ფუძიამა კუნძული იყო, რომელიც ვულკანური აქტიურობის შედეგად კუნძულ ჰონსიუს შეუერთდა.

# თურქების წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის წინ საქართველომ ძლიერი მოკავშირე შეიძინა. აქ ორმხრივი ინტერესები იკვეთება, ეგვიპტე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში არის საქართველოს მოკავშირე, თავის მხრივ, საქართველო დახმარებას არ უწევს ჯვაროსნებს და პრობლემებს არ უქმნის სალადინს. ეგვიპტესთან კავშირით მივაღწიეთ იმ დიდ წარმატებებს, რომლებზეც ვერც დემეტრე და ვერც გიორგი მესამე ვერ იოცნებებდნენ.

მარტივი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ გაანადგურება მოჰყვა. ხოლო გელაქუნის დალაშქვრას თვით დავით სოსლანი ხელმძღვანელობდა. ქართველთა ჯარმა თურქებისგან გაწმინდა გელაქუნის, ხაჩენის, ბაილაყანის, არეზის, განძისა და შამქორის მიმდებარე ტერიტორიები.**

1194 წელს, ძმების — ამირსპასალარ ზაქარია და მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელების მეთაურობით, მოეწყო ლაშქრობა სპარსი-ბაზრამდე (ნახიჭევნამდე). გზად დვინი, ბიჯნისი და ამბერდი მოარბიეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ.

**ქართველთა მიერ თურქული მოდგმის ტომებზე განუწყვეტელმა თავდასხმებმა ძალიან დააშინა სელჩუკები და ისინი ადვილად ველარ ბედავდნენ საქართველოს სიახლოვეს დაბანაკებასაც კი: „ვითარცა მელნი იმალვოდეს და ვითარცა მთხუნველნი ძურებოდეს მიწით შინა“.**

ქართველთა ამ წარმატებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ძლიერი ეგვიპტის განეიტრალებამაც. მართალია, დიდებულთა პროტესტი და ყუთლუ-არსლანის „დასის“ გამოსვლა უსისხლოდ, მოლაპარაკების გზით დასრულდა, მაგრამ თამარი ხედავდა, რომ აუცილებელი იყო ქვეყნის შიგნით „დაგუბებული ენერგია“ საგარეო ექსპანსიის განსახორციელებლად წარემართა, რათა მთელი ყურადღება გადატანილიყო საგარეო ომებზე და „უსაქმოდ“ დარჩენილი ქართული ლაშქარი ვინმეს სამოქალაქო ომში არ ჩაეთრია. ამიტომ, როგორც არასდროს, საჭირო შეიქნა დაპყრობითი ომების წარმოება, ამ ფონზე, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, თამარი გამოდის სამშვიდობო ინიცატივით და 1185 წლის 15 აგვისტოს ეგვიპტის სულთან **სალადინის** წინაშე „ფიცს დებს“, რომ ვნებას არ მიაყენებს მის სამფლობელოს (სულთანი სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი 1171-1193 წლებში მართავდა ეგვიპტეს). უფრო მეტიც, სალადინი იკავებს იერუსალიმს და თამარი დუმილს არჩევს. თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, როგორი მორწმუნე იყო საქართველოს მეფე, გასაკვირიც კია მისი უმოქმედობა, როდესაც იერუსალიმი მუსლიმების ხელში გადავიდა. მოგვიანებით **გამოჩნდა, რომ თურქების წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის წინ საქართველომ ძლიერი მოკავშირე შეიძინა. აქ ორმხრივი ინტერესები იკვეთება: ეგვიპტე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში არის საქართველოს მოკავშირე, თავის მხრივ, საქართველო დახმარებას არ უწევს ჯვაროსნებს და პრობლემებს არ უქმნის სალადინს.** ეგვიპტესთან კავშირით მივაღწიეთ იმ დიდი წარმატებებს, რომლებზეც ვერც **დემეტრე** და ვერც გიორგი მესამე ვერ იოცნებებდნენ.

ამ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა სპარსეთსა და ერაყში. პატრონსა და მსახურს — ილდეგიზიდების დინასტიის წარმომადგენელ ათაბაგ **მუზაფერ ად-დინ ყიზილ-არსლანსა** (1186–1191) და ერაყის სელჩუკთა სულთან **თოღრულ მესამეს** (1176– 1194) შორის მტრობა ჩამოვარდა. ათაბაგმა სძლია სულთანს და ძალაუფლებაც წაართვა, მაგრამ ის მოკლეს და ათაბაგის მემკვიდრეებს შორის დიდი ომი ატყდა. ყიზილ-არსლანს არ ჰყავდა ძე და მისი სამფლობელო შვილობილმა და მისი ძმის — ფეჰლევანდის (ფალავანდის) სხვა შვილებმა გაიყვეს. ყველაზე დიდი წილი **ხუტლუ ინანჩის** შეხვდა, მან მიიღო მიწები ერაყიდან ხორასნამდე (ანუ სპარსეთის უდიდესი ნაწილი); ამირ-მირანმა კი — რანი, ანუ ტერიტორია კასპიის ზღვიდან გელაქუნამდე (სევანის ტბამდე); აბუ-ბექრს ადარბადაგანი (ანუ ჩრდილოეთ ირანი) დარჩა.

ძმებს შორის პირველობისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში (ისინი 1064 წელს, სელჩუკთა დიდ სულთან ალფ-არსლანის მიერ ახალქალაქში დატყვევებული ბეშქენ ჯაყელის შთამომავალები გახლდნენ) გამარჯვებული გამოვიდა ყიზილ-არსლანის ნაშვილები **აბუ-ბექრ ბინ მუჰამედ ფეჰლევანი.** მან ჯერ უფროსი ძმა, ხუტლუ ინანჩი, დაამარცხა და მისი სამფლობელო მიიტაცა, შემდეგ არანისა და გელაქუნის პატრონ ამირ-მირანს გაუსწორდა. თუმცა ამირ-მირანმა მოასწრო შირვან-შაჰთან, გიორგი მესამეს დისშვილთან — აღსართანთან (აბულ-მუზაფარ მანუჩაჰრ ახსითან ბენქესრანი 1149-1203) გაქცევა და მასთან თავის შეფარება. შირვან-შაჰმა კარგად მიიღო ის, პატივისცემით და მოწყალებით მოეპყრო და თავისი ქალიც მასზე დააქორწინა.

აბუ-ბექრი შირვანსაც დაესხა თავს და ააოხრა, სიძე-სიმამრმა გაქცევით უშველეს თავს: „ბელაყნის კარსა ზედა დაესხა და გააქცივნა“ (შირვან-შაჰს სტიქიური უბედურებაც დაატყდა თავს, მიწისძვრამ დაანგრია დედაქალაქი შამახია, რომელსაც შირვანშას ცოლი და შვილები ემსხვერპლნენ). ამირ-მირანმაც და შირვან-შაჰმაც დასახმარებლად თამარს მიმართეს. ვინაიდან შირვანი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო, მისი აოხრება ქართველთა მეფის გამოწვევას ნიშნავდა და სამეფო კარმაც საომარი სამზადისი დაიწყო.

დიდი პატივით მიიღეს თბილისში აღსართანი, ამირ-მირანი და მათი თანმხლებნი. სტუმრების პატივსაცემად, მთელი კვირის განმავლობაში ნადირობდნენ, პოეტები კითხულობდნენ ლექსებს, მუშაითები უკრავდნენ და მღეროდნენ, იმართებოდა ბურთაობა. ამირ-მირანი და მისი ამალა ერაყში, არანსა და ადარბადაგანში საუკეთესო მობურთალებად ითვლებოდნენ. დავით სოსლანმა უბრძანა ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს, მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს, ჰერეთის ერისთავ გრიგოლს და სხვა მოყმეებს, რომ მოედანზე მასთან ერთად გასულიყვნენ და სტუმრებს ცხენბურთში გაჯიბრებოდნენ. ქართველებმა ბურთაობაში დაამარცხეს ამირ-მირანის განთქმული ცხენოსნები. სხვათა შორის, თამარ მეფეც დაესწრო მათ ბურთაობას.

საქართველოს სამეფო კარი არა მხოლოდ ერთობოდა, საომრადაც ემზადებოდა. ათი დღის განმავლობაში შეიკრიბა ქართული არმია. **სტუმართათვის სამხედრო აღლუმიც კი მოეწყო. ოქროჭედილ ტახტზე დასხდნენ თამარი, დავითი და მათი მცირეწლოვანი ძე გიორგი-ლაშა. სტუმრებს, მეფესა და დიდებულებს მიეგებნენ საქართველოს სამსახურში მყოფი ოსები და ყივჩაღები. იმხანად ყივჩაღთა მეფის, სევინჯის ძმა — სავალათი საქართველოს სამხედრო სამსახურში იყო (ქართველები ხშირად ქირაობნენ ყივჩაღებს, ოსებს, ძურძუკებსა და სხვებს „როქის სპად“). სტუმრებს მიეგება ქართული არმიაც — მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, აფხაზები, სვან-მეგრელ-გურიელნი, თაკვერელნი, მარგველნი, სომეხთა რაზმებიც.**

ქართული სამხედრო ძალის დემონსტრირებამ აღაფრთოვანა დახმარების სათხოვნელად მოსულნი და დიდი გული მიეცათ. უფრო მეტიც, სტუმრები ისე გათამამდნენ, ქართველებს სპარსეთში ლაშქრობა და ამირ-მირანის იქ გამეფება შესთავაზეს. სანაცვლოდ ამირ-მირანმა მეფეს მოკავშირეობა და ილდეგიზების უზარმაზარი სამფლობელოდან დიდი ტერიტორიის ჩუქება აღუთქვა.

ერთი შეხედვით, ნამდვილად მიმზიდველი წინადადება იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. საბედნიეროდ, ქართველებმა ხელი აიღეს ამ ამბიციურ გეგმაზე. არა, სისუსტის გამო არ უთქვამთ უარი, იმჟამინდელ საქართველოს ნამდვილად ხელეწიფებოდა ეს. უბრალოდ, უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა და სამეფო კარმაც აღარ გარისკა. ჯერ ერთი, სანამ დევნილი და სუსტი იყო, ამირ-მირანი ასე ფიქრობდა და მსჯელობდა, თორემ არავინ უწყოდა, რას მოიმოქმედებდა, როდესაც უზარმაზარი იმპერიის სულთანი გახდებოდა. გარდა ამისა, საქართველოს მეზობლად ერთიანი და ძლიერი იმპერიის არებობა (თუნდაც მოკავშირის სტატუსით) ნამდვილად არ შედიოდა ჩვენს ინტერესებში. გაცილებით ჭკვიანური იქნებოდა „სტატუს კვოს“ შენარჩუნება, ვინაიდან დანასისხლად გადამტერებული არსლანის მემკვიდრეები ჩვენი ქვეყნისთვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

თამარის კარზე ასეც მოიქცნენ და სტუმარს მხოლოდ აბუ-ბექრის დამარცხებასა და მამა-პაპისეულ სამფლობელოში დაბრუნებას დაჰპირდნენ.

ომისთვის ქართველთა მზადება არ გამოეპარა აბუ-ბექრს და ისიც შეუდგა ჯარის შეკრებას. მას შეუერთნენ ქართული ლაშქრის დარბევებისგან დაზარალებული საქართველოს მეზობელი სულთნები და ამირები. გარდა ამისა, აბუ-ბექრმა დახმარებისათვის ბაღდადის ხალიფა **ალ-ნასირს** (1180-1225 წწ.). მიმართა. ხალიფამაც მხარი დაუჭირა მას, ლაშქრობის მოსაწყობად დიდძალი ოქრო-ვერცხლი გაიღო და მუსლიმანურ სამყაროს მოუწოდა საქართველოს წინააღმდეგ „საღვთო ომის“ დაწყებისკენ.

ამ მოწოდებას გამოხმაურება მოჰყვა. დაივიწყეს ურთიერთმტრობა და ეგვიპტის სულთნისა და მისი ვასალების გარდა, ახლო აღმოსავლეთის მუსლიმები აბუ-ბექრის ლაშქარს შეუერთდნენ. მოკლე ხანში ათაბაგმა ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და საქართველოსკენ დაიძრა.

**ლაშქრობის დაწყების წინ თამარმა გაიღო მოწყალება გლახაკთათვის და საქართველოს ყველა მონასტერსა და ეკლესიას შეუთვალა, დღე და ღამ შეუწყვეტლად ელოცათ. მან ლაშქარს წინ წარუძღვანა ჯვარი „ძელი ცხოვრებისა“, დალოცა ჯარი და შეავედრა ღმერთს: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენ თანა არს...“ ამის შემდეგ ფეხშიშველი ავიდა მეტეხის ტაძარში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაუცხრომლად ილოცა და ღმერთს ქრისტიანთა გამარჯვება ევედრა.**

**ქართული ჯარი, რომელმაც თავი მოიყარა მტკვრის, ალგეთის, ქციისა და დებედას ხეობაში, დაიძრა შამქორისკენ. ბრძოლა 1195 წლს 2 ივნისს გაიმართა. აბუ-ბექრი თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით შამქორთან ელოდა ქართველებს. მზვერავებმა დავით სოსლანს ამბავი მიუტანეს მტრის ჯარის მრავალრიცხოვნების შესახებ. მეფე დავითმა ჯარი ორად გაყო. შედარებით მცირერიცხოვანმა არმიამ, რომელსაც სათავეში ედგა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ქალაქის კარიბჭეზე მაშინვე მიიტანა იერიში და ბრძოლაში ჩაება. უფრო მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა დავით სოსლანის მეთაურობით დიდი რეიდი წამოიწყო, გვერდით მოიტოვა შამქორიც, აბუ-ბექრის დიდი ლაშქარიც, გადალახა მდინარე (ახლანდელი შამქორ ჩაი) და მტერს ზურგში მოექცა.**

შამქორის ციხის კარიბჭესთან გამართულ საშინელ ხოცვა-ჟლეტაში სასწორი მუსლიმანთა მხარეს იხრებოდა, ზაქარია უკვე უკუქცევაზე ფიქრობდა, რომ დავით სოსლანი ძირითადი ჯარით ჩაება ბრძოლაში. მტერი დაიბნა და პანიკა შეიპყრო. აბუ-ბექრი ისე იყო დარწმუნებული შამქორის ციხესიმაგრის სიძლიერესა და მასთან მისასვლელი ხევის გაუვალობაში, რომ ქართველთა ასეთი მანევრი თავზარდამცემი აღმოჩნდა მისთვის. ალყაში მოქცეულმა მუსლიმანებმა გაქცევასა და თავის გადარჩენაზე დაიწყეს ფიქრი. ბუნებრივია, მათ არ მიეცათ ამის საშუალება. მდევარმა, ერთი მხრივ, განძისკენ და, მეორე მხრივ, გელაქუნისკენ მოუჭრა გზა. მემატიანის თქმით, ქართველები ქათმებივით იჭერდნენ გაქცეულებს, ბაღდადიდან, მოსულიდან, ერაყიდან საქართველოს დასაჩოქებლად მოსულ შეშინებულ დიდ ამირებსა და სულთნებს და წვერით მიათრევდნენ დავით მეფესთან. სწორუპოვარმა გმირმა, **შალვა ახალციხელმა** ხალიფას გამოგზავნილი დროშა წაართვა მუსლიმანებს.

მტრის დევნის შემდეგ უკან მობრუნებულ მეფე დავითს ანტონ მწიგნობართუხუცესი — ჭყონდიდელი შეეგება, რომელმაც სამი ყრმა მსახურის მეშვეობით ხელთ იგდო სიმდიდრით დატვირთული სამასი ჯორი და აქლემი. გარდა ამისა, გამარჯვებულ ქართველებს მრავალი ტყვე და აურაცხელი ალაფი ჩაუვარდათ ხელში.

მიუხედავად ალყისა, აბუბექრმა მაინც მოახერხა გაქცევა. ქართველებმა გაქცეულებს განძამდე სდიეს. აბუბექრი ჯერ ბაილაყანსა და ნახჭევანში შეჩერდა, იქიდან კი თავრიზში გაიქცა.

**ვანო სულორი**

**(გაგრძელება იქნება)**



## კონფუცი
## (ძვ. წ 551 – 479)
### დიდი ჩინელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი

შეიძლება იყო თავმდაბალი და არ იყო ბრძენი, მაგრამ შეუძლებელია, იყო ბრძენი და არ იყო თავმდაბალი.

* * *

**თუ ვინმე გძულს, ე.ი. მან დაგამარცხა.**

* * *

ქვეყანაში, სადაც არის წესრიგი, შეგიძლია ილაპარაკო და იმოქმედო გაბედულად, ქვეყანაში, სადაც არ არის წესრიგი, იყავი გაბედული მოქმედებებში, მაგრამ არა ლაპარაკში.

* * *

**სამი გზით შეიძლება მივიდეთ ცოდნამდე: აზროვნებით, რომელიც ყველაზე კეთილშობილური გზაა; მიბაძვით, რომელიც ყველაზე მარტივი გზაა; და გამოცდილებით, რომელიც ყველაზე მწარე გზაა.**

* * *

შურიძიების დაწყებამდე გათხარეთ ორი საფლავი.

* * *

**ძვირფასი ქვა პრიალდება მხოლოდ ხახუნით, ასეა ადამიანიც — შეუძლებელია გახდეს წარმატებული ბევრი მცდელობის გარეშე.**

* * *

სამი რამ არასოდეს ბრუნდება უკან: სიტყვა, დრო და შესაძლებლობა. ამიტომ არ დაკარგო დრო, შეარჩიე სიტყვები და არ გაუშვა ხელიდან შანსი.

* * *

**ძველად ხალხი სწავლობდა საკუთარი თავის სრულყოფისთვის, დღეს ისინი სწავლობენ სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად.**

* * *

მიეცი მითითებები მხოლოდ მას, ვინც ეძებს ცოდნას, რადგან მიხვდა, რომ უვიცია.

* * *

**სინამდვილეში ცხოვრება მარტივია, უბრალოდ, ჩვენ მას ვართულებთ მთელი მონდომებით.**

* * *

შეგიძლიათ მთელი ცხოვრება წყევლოთ სიბნელე ან აანთოთ პატარა სანთელი.

* * *

**კეთილშობილი ადამიანი სთხოვს მხოლოდ საკუთარ თავს, სულმდაბალი კი მუდმივად მოითხოვს სხვებისგან.**

* * *

სილამაზე არის ყველგან, მაგრამ ყველას არ უნდა მისი დანახვა.

* * *

**ძველ ხალხს არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. ისინი სირცხვილად თვლიდნენ, როცა ადამიანს წინ უსწრებდა ენა.**

* * *

ის კი არ არის დიდი ადამიანი, ვინც არ დაცემულა, არამედ ის, ვინც დაეცა და წამოდგომა შეძლო.

## იცით თუ არა, რომ:

ვაჟა-ფშაველას ბერად შედგომა უნდოდა, მაგრამ ახლობლებმა გადააფიქრებინეს.





1787 წელს ესპანელები მიადგნენ წყნარი ოკეანის ნაპირს, რომელიც საოცარი სილამაზის გამო ნამდვილ სამოთხედ მიიჩნიეს და აქ დაარსებულ ქალაქსაც „ანგელოზი“, ანუ ლოს ანხელესი უწოდეს.



ბასტილიის ციხეში ფრანგული ენციკლოპედიაც „იხდიდა სასჯელს“.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მონტრეს კონვენციის თანახმად, აშშ-ის მე-6 ფლოტის ხომალდების ყოფნის ვადა შავ ზღვაში მკაცრად არის განსაზღვრული 21 დღით (ავიამზიდის ყოფნა კი, საერთოდ, აკრძალულია), მაგრამ ამერიკელებმა კონვენციის ეს მოთხოვნა არაერთხელ დაარღვიეს.**

# აშშ-ს განზრახული აქვს, ფეხქვეშ გათელოს მონტრეს კონვენცია

**7 დეკემბერს აშშ-ის მე-6 ფლოტის სარდალმა, ვიცეადმირალმა ჯეიმს ფოგომ განაცხადა, რომ შავ ზღვაში ამერიკული სამხედრო ხომალდების პატრულირება შეიძლება კიდევ ოთხ თვეს გაგრძელდეს. მსგავსი რამ ადმირალმა ადრეც განაცხადა, ანუ პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ევროპა ოფიციალურად გააფრთხილა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მატებაზე შავ ზღვაში, სადაც ის არავის დაუპატიჟებია. ნეგატიური შედეგების განჭვრეტა კი რთული საქმე არ არის.**

მონტრეს კონვენციის (1936 წ.) მიხედვით, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს შავი ზღვის აკვატორიაში მხოლოდ 21 დღით ყოფნის უფლება აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ აშფოთებს ამერიკელებს. მიუხედავად საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საზოგადოებრივი აზრისა, პენტაგონს განზრახული აქვს, გააძლიეროს თავისი სამხედრო ძალები ევროპაში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც მზად არის, წვლილი შეიტანოს ამ სახიფათო პროცესში. 26-27 ოქტომბერს ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა შავ ზღვაში სამხედრო ძალების გაძლიერებაზე იმსჯელეს, მაგრამ რეალობა ყოველთვის უფრო მკაცრი და რთულია, ვიდრე ვაშინგტონელ და ნატოელ სტრატეგებს წარმოუდგენიათ.

აშშ-ის მე-6 (ხმელთაშუა ზღვის) ფლოტი — ეს არის 6 ოპერატიული ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვანი ძალაა. შტაბის, ფლაგმანი ხომალდის — Mount Whitney-ისა და უზრუნველყოფის განყოფილებების გარდა, დაკომპლექტებულია საბრძოლო ხომალდებით, თვითმფრინავებითა და საზღვაო ქვეითთა ნაწილებით.

ხომალდები მიდიან და მოდიან, მაგრამ მათი რაოდენობა პრაქტიკულად არ იცვლება.

**მე-6 ფლოტის შემადგენლობაშია 1 ან 2 ავიამზიდი, 2 სარაკეტო კრეისერი, 16 ფრეგატი და ნაღმოსანი, აგრეთვე, წყალქვეშა ნავები და სადესანტო ხომალდები საზღვაო ქვეითების ქვედანაყოფებით. ფლოტის განკარგულებაშია რამდენიმე სამხედრო-საზღვაო ბაზა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტები (გაეტა, ნეაპოლი, ლა-მადალენა, სპეცია, ტარანტო, ბრინდიზი, აუგუსტა, როტა) და ავიაბაზები ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთსა და ნატოს წევრ სხვა ქვეყნებში.**

აშშ-ის მე-6 ფლოტის პასუხისმგებლობის ზონაშია ხმელთაშუა და შავი ზღვები, ატლანტიკის ოკეანის წყლები (გიბრალტარის მისადგომებთან) და აფრიკის სანაპირო (გვინეის ყურე).

ამ ფართო გეოგრაფიულ სივრცეში სამოქმედოდ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებსა და საზღვაო ქვეითთა კორპუსს ჰყავს საშტაბო ხომალდი Mount Whitney, რომელიც აღჭურვილია მიმღებ-გადამცემი და სადაზვერვო აპარატებით.

**ატომური ავიამზიდი — ეს არის სხვადასხვა დანიშნულების 70-80 თვითმფრინავი, 1900 ტონა საომარი მასალა (მათ შორის, ატომურიც), თანამედროვე მოწყობილობები, რადარები და სუპერკომპიუტერები, ზღვის წყლის გამტკნარების ქარხანა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, გიგანტური საცავი და 5-ათასკაციანი ეკიპაჟი.**

სისტემა „იჯისით" აღჭურვილი ამერიკული ხომალდები ინტეგრირებულია რეკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან და შეუძლია მოწინაალმდეგის საპასუხო სარაკეტო დარტყმის შესუსტება.

როგორც წესი, ყირიმის ნახევარკუნძულთან პატრულირებს ფრთოსანი რაკეტა „ტომაჰავკით" აღჭურვილი „არლი ბეკის" ტიპის ნაღმოსნები.

კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ **მონტრეს კონვენციის თანახმად, აშშ-ის მე-6 ფლოტის ხომალდების ყოფნის ვადა შავ ზღვაში მკაცრად არის განსაზღვრული 21 დღით (ავიამზიდის ყოფნა, კი საერთოდ, აკრძალულია), მაგრამ ამერიკელებმა კონვენციის ეს მოთხოვნა არაერთხელ დაარღვიეს.** ამის გამო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ უსაყვედურა ამერიკელ კოლეგებს, აშშ-ის ნატოელი მოკავშირეები კი საერთაშორისო შეთანხმების დარღვევაზე თვალს ხუჭავდნენ. ალბათ, დაუსჯელობის გამო გაუჩნდა ამერიკელ ვიცეადმირალს შავი ზღვის აკვატორიაში 4 თვით ყოფნის სურვილი.

ამერიკელი ადმირალის სახიფათო მოწოდებამ, რომლის შედეგადაც მოიმატა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების ალბათობამ, შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა რუსეთში. ამ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე განალაგეს ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსები „ბასტიონი" ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით „ონიქსი" და სამიზნეში ამოიღეს შავი ზღვის დიდი ნაწილი თურქეთის სანაპიროდან უკრაინამდე.




თგმ — თვითმავალი გამშვები მოწყობილობა;
რსს — რადიოსალოკაციო სადგური; მმსკ — მიზნის მითითების სავერტმფრენო კომპლექსი

**ამერიკელი ადმირალის სახიფათო მოწოდებამ, რომლის შედეგადაც მოიმატა რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების ალბათობამ, შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა რუსეთში. ამ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე განალაგეს ხომალდსაწინააღმდეგო კომპლექსები «ბასტიონი» ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით «ონიქსი» და სამიზნეში ამოიღეს შავი ზღვის დიდი ნაწილი თურქეთის სანაპიროდან უკრაინამდე**


აშშ-ის მე-6 ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში


„ბასტიონი"

# რუსეთმა გიგანტური თერმობირთვული ტორპედო შექმნა



**პენტაგონის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ რუსეთმა გამოსცადა იარაღის ახალი სახეობა — საშინელი სიმძლავრის გიგანტური ტორპედო თერმობირთვული ქობინით, გიგანტურ ტორპედოს „სტატუს-6" უწოდეს, — წერს გამოცემა Popular Mechanics.**

ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, რუსმა სამხედროებმა გიგანტური ტორპედო 27 ნოემბერს გამოსცადეს. ტორპედო გაისროლეს სპეციალური დანიშნულების წყალქვეშა ნავიდან — ბ-90 „საროვიდან".

ამერიკელმა სამხედრო სპეციალისტებმა რუსულ წყალქვეშა აპარატს რევოლუციური უწოდეს: **ბირთვულქობინიან ტორპედოს 1 კმ-ის სიღრმის წყალში 90 კვანძის სიჩქარით შეუძლია იმოძრაოს. „სტატუს-6"-ის მოქმედების სიშორე 10 ათასი კმ-ია, საბრძოლო ნაწილის ზომა — 6,5 მ, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს 100 მეგატონა სიმძლავრის მუხტი.**

**ასეთი მუხტის მქონე საბრძოლო მასალის აფეთქებას აშშ-ის სანაპიროს ახლოს შეუძლია ცუნამი გამოიწვიოს, რომელიც ქალაქებს წალეკავს.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ამა წლის ოქტომბერში ევროჩინოსნის ქალიშვილის ცხედარი ქალაქ ფრაიბურგში იპოვეს. გამოძიების ვერსიით, მარია სტუდენტური წვეულებიდან შინ ბრუნდებოდა, როდესაც თავს დაესხა ავღანელი მიგრანტი და გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა. ბოროტმოქმედმა გოგონას გვამი მდინარეში გადააგდო. მარია ლადენბურგერი უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, თავისუფალ დროს კი ლტოლვილების ბანაკში მუშაობდა.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები" კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს" ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ავღანელმა მიგრანტმა ევროკომისიის მაღალჩინოსნის ქალიშვილი გააუპატიურა და მოკლა



**გერმანიაში დააკავეს 17 წლის ავღანელი, რომელიც ეჭვმიტანილია ევროკომისიის მაღალჩინოსნის — კლემენს ლადენბურგერის 19 წლის ქალიშვილის — მარია ლადენბურგერის გაუპატიურებასა და მკვლელობაში.**

ამა წლის ოქტომბერში ევროჩინოსნის ქალიშვილის ცხედარი ქალაქ ფრაიბურგში იპოვეს. გამოძიების ვერსიით, მარია სტუდენტური წვეულებიდან შინ ბრუნდებოდა, როდესაც თავს დაესხა ავღანელი მიგრანტი და გააუპატიურა, შემდეგ კი მოკლა. ბოროტმოქმედმა გოგონას გვამი მდინარეში გადააგდო. მარია ლადენბურგერი უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, თავისუფალ დროს კი ლტოლვილების ბანაკში მუშაობდა. სამართალდამცველებმა 17 წლის ავღანელ მიგრანტს ვიდეოთვალის ჩანაწერით მიაკვლიეს. სასამართლო გაისად, იანვარში გაიმართება.

## არაბმა მიგრანტმა გერმანელი ქალი კიბეზე დააგორა




**ინტერნეტი შეძრა ბერლინის მეტროპოლიტენში დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერმა, რომელზეც ასახულია ახალგაზრდა ქალზე მიგრანტების სასტიკი და უმიზეზო თავდასხმა, — იუწყება გერმანული გამოცემა „ბილდი".**

ბერლინის მეტროპოლიტენის ნოიკელნის რაიონის მიწისქვეშა გადასასვლელში არაბი მიგრანტის ჯგუფი ლუდის ბოთლით ხელში უკან მიჰყვებოდა 26 წლის გერმანელ ქალს. და, როგორც კი ქალმა კიბეზე ჩასვლა დაიწყო, ერთმა „ყოჩაღმა" არაბმა ზურგში ფეხის ძლიერად დარტყმით კიბეზე დააგორა. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა კიბის ზედა საფეხურიდან მშვიდად გადახედა დაცემულ ქალს, შემდეგ აიღო ბოთლი, რომელიც თავდამსხმელს გაუვარდა და მეგობრებისკენ გაუწოდა.

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინციდენტს წინ არ უძღოდა ჩხუბი ან სიტყვიერი შელაპარაკება მიგრანტებსა და გერმანელ ქალს შორის. ბერლინის პოლიცია შემთხვევას იძიებს სხეულის განზრახ დაზიანების მუხლით, რადგან გერმანელი ქალი ჰოსპიტალშია მოთავსებული.





## იაპონიაში ონიგირის ჭამის კონკურსის მონაწილე დაიხრჩო

**იაპონიაში ონიგირის (სფეროს ან სამკუთხედის ფორმის ბრინჯის კერძი გულსართით, გახვეული წყალმცენარეებში) შეჯიბრების 28 წლის მონაწილე მეხუთე ულუფის შეჭმის მომენტში დაიხრჩო, — იუწყება The Japan Times-ი.**

ონიგირის ჭამაში შეჯიბრება 13 ნოემბერს გაიმართა იაპონიის ქალაქ ჰიკონში (პრეფექტურა სიგა). კონკურსის ორგანიზატორის თქმით, 28 წლის მონაწილე ონიგირის მეხუთე ულუფის ჭამისას დაიხრჩო.

შეჯიბრებაში სულ 15 კაცი მონაწილეობდა. კონკურსანტებს 3 წუთში უნდა შეეჭამათ ბრინჯისგან დამზადებული 5 ბურთულა. კონკურსი კი ადგილობრივი ფერმერების პროდუქტების რეკლამირებას ისახავდა მიზნად, მათ შორის Oumimai-ის მარკის ბრინჯის, რომელიც სიგას პრეფექტურის საფირმო საქონელია.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კონკურსი ტარდება სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, 2014 წელს უკრაინაში „ვარენიკების" ჭამის კონკურსში გამარჯვების მილოცვიდან რამდენიმე წუთში 51 წლის ქალი გარდაიცვალა.



## ბრიტანეთის დედოფლის ბიძაშვილმა აღიარა, რომ გეია

**დიდი ბრიტანეთის დედოფლის ბიძაშვილმა, ლორდმა ივარ მაუნტბეტენმა საჯაროდ განაცხადა თავისი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ. 3 შვილის 53 წლის მამამ ეს ცოლთან გაყრიდან 5 წლის შემდეგ აღიარა, — წერს Daily mail-ი.**

„პენიმ (პენელოპა ტომპსონი — ნ.კ.) იცოდა ამის თაობაზე. ჩვენს ქორწინებამდე ვუთხარი, რომ ბისექსუალი ვარ და ლტოლვას განვიცდი როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიმართ. მან გამიგო და ამისთვის მადლობას ვუხდი", — განუცხადა ჟურნალისტებს ელისაბედ II ბიძაშვილმა.

პრინცის აღიარება, როგორც ჩანს, გამოიწვია საავიაციო კომპანიის საბორტო მომსახურების თანამშრომელ **ჯეიმს კოილთან** ურთიერთობამ, რომელთანაც სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ქორწინების გაფორმებას აპირებს. ლორდის თქმით, ოჯახის წევრებმა მხარი დაუჭირეს მის ინიციატივას, გაემჟღავნებინა სექსუალური ორიენტაცია, მეუღლემ კი საერთო ენა გამონახა ჯეიმს კოილთან.



გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ძალიან ბევრი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვება. სტალინიზმის დასრულება აუცილებლად გამოიწვევს დედამიწაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასრულებას, თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთსულოვნების იდეალების აღკვეთას, რაც არ უნდა დაუშვას საზოგადოებამ.**

**ადამიანები, რომლებიც ბრალს სდებენ სტალინს, მეცოდებიან. მეცოდებიან იმიტომ, რომ ისინი ბრიყვი, უწიგნური და გაუნათლებელი არიან. მაშ, რა ვუწოდოთ დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ მაია ფანჯიკიძეს, რომელმაც სტალინი ჰიტლერს შეადარა?! მაშ, მსოფლიო კატასტროფის მომწყობი ჰიტლერი იმ კაცს უნდა შეადაროს უბრალო ადამიანმაც კი, რომელმაც კაცობრიობა იხსნა კაციჭამია ჰიტლერისგან?!**

# სტალინი — თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანების შემოქმედი

**«სტალინი მომავალ სამსჯავროზე წარდგება არა როგორც ბრალდებული, არამედ ბრალმდებელი»**
**(ვ. გოგუაძე, «სტალინი — საშინელი სამსჯავრო», გვ. 21)**

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომელსაც არ წაუკითხავს თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების მასალები, რომელმაც არ იცის ნიურნბერგის პროცესზე ჰიტლერისთვის წაყენებული ათასი ფუთი ბრალდებიდან არც ერთი, არ უნდა შეგეცოდოს და არ უნდა შეგეცოდოს ქვეყანა, რომელსაც ასეთი მინისტრი ჰყავს საგარეო პოლიტიკის გასატარებლად.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **თინა ხიდაშელმა** კი განაცხადა, რომ თავის შვილებს, პატრიოტებად კი არა, თავისუფალ მოქალაქეებად ზრდის. ეს ხომ ჩვენი ტრადიციების, ჩვენი წინაპრების, ჩვენი ქვეყნის საამაყო და საარაკო გმირების უარყოფა და სულში ჩაფურთხებაა. საინტერესოა, ვინ ამზადებს და ვინ ნიშნავს ასეთ ადამიანებს მაღალ თანამდებობებზე. ასეთი ადამიანების მხარდამჭერებიც ისევე ხომ არ უყურებენ თავიანთ საქმესა და საქართველოს, როგორც ზემონახსენები ქალბატონები?

როგორ ჰგავს ძველი ტროცკისტების მოსაზრებები თანამედროვე ტროცკისტებისას! თუ თინა ხიდაშელი პატრიოტებად არ ზრდის თავის შვილებს, ასევე პატრიოტებად არ ზრდიდა შეფარული ტროცკისტი **ხრუშჩოვი** თავის შვილებს. სტალინის სამი ვაჟი კი — **იაკობი, ვასილი და არტემი** (არტემი ნაშვილებია, რომელსაც არაფრით გამოარჩევდა თავის შვილებში) თავდადებით იბრძოდნენ ფრონტის წინა ხაზზე და მათგან ერთ-ერთი (იაკობი) მოწამებრივადაც შეეწირა სამშობლოს. არადა, საკმარისი იყო მისგან ერთი წინადადებაც, რომ სიცოცხლესაც შეინარჩუნებდა და უდიდეს პატივსაც მიაგებდნენ, აი, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სტალინისტები და ანტისტალინელები, და როგორ ჰგვანან ერთმანეთს ძველი და ახალი ტროცკისტები.

ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ახსოვდათ და შთამომავლობას ანდერძად უტოვებდნენ: **„იცოდე, ვისი გორისა ხარ!“** . საკითხავია, იარსებებს თუ არა წინაპართა ეს ბრძნული გამონათქვამი მაშინ, როდესაც თინას „გორისანი“ ვიქნებით?!

გული მიკვდება და გონება მებინდება, როდესაც შარავანდედს ადგამენ, როგორც დიდ რაინდებს, სტრატეგებსა და პატრიოტებს: **ქაქუცა ჩოლოყაშვილს, მაზნიაშვილსა** და ვინმე **ემიგრანტ მაჩაბელს,** ხოლო ნაგავს აყრიან და ლაფს ასხამენ სტალინის სახელს.

ჰეი, ამერიკის თუთიყუშებო, თქვენ ხომ ხელფასს იმაში იღებთ, რომ აგინოთ თანამემამულეს, კაცს, რომელმაც მსოფლიო იხსნა კატასტროფისაგან?!

„ვერ შეძლებთ, ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც“ (მათე. 6, 24). ამიტომ დაუფარავად ებრძვით სტალინს, შეფარვით — ღმერთს.

მედასავლეთეებო, იცოდეთ, ცუდად ეთამაშებით ღმერთსა და მართლმადიდებელ ეკლესიას.

სტალინის წინააღმდეგ მიმდინარეობს უკიდურესად დაძაბული ბრძოლა, რომლისთვისაც მილიარდობით დოლარი იხარჯება. თითქოს აქაც მშველელად გამოჩნდა სტალინი მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებისთვის. ორასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთა წევრებსაც გულუხვად აფინანსებს დასავლეთი სტალინის ლანძღვისთვის. შეგერგებათ კი, მედასავლეთეებო, მიცვალებულის შეურაცხყოფისთვის აღებული დოლარები? ვნახოთ...

„ძმანო რუსებო, თუ თქვენ კიდევ ვერ აღიარებთ გენიოსთა შორის გენიალური კაცის როლს, გენიალური მხედართმთავრის მისიას რუსეთის გადარჩენის საქმეში, მაშინ თქვენ ისპობთ ისტორიას და ისტორიოგრაფიას, იმ ღვთაებრივ პასპორტს, რომლითაც თქვენ მომავალში უნდა იმოგზაუროთ. ის ფაქტი, რომ სტალინი, როგორც გამარჯვებული ქვეყნის მხედართმთავარი, დღემდე ანონიმური მხედართმთავარია, რუსეთის ცნობიერებას ღვთისგან აშორებს და ამ დაპატარავებულ მსოფლიოში ველარც რუსეთი იქნება დიდი. თუ თქვენ სამართლიანად ვერ განსჯით, უფალი განგსჯით და დაგსჯით.” (ვ. გოგუაძე. „სტალინი — საშინელი სამსჯავრო“, გვ. 16)



**მიმდინარე წელს მოსკოვში, წითელ მოედანზე, 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმის ჩატარების 70 წლისთავის აღნიშვნა ისეთივე ყალბი და არაფრის მთქმელი იყო, როგორც რუსული ინტელიგენციის დიდი ნაწილის დამოკიდებულება სტალინის მიმართ.**

სტალინსა და სტალინურ რუსეთზე სიმართლეს მხოლოდ საზღვარგარეთული საინფორმაციო წყაროებიდან ამოკრეფილ მასალებში თუ წაიკითხავთ, რომლებიც ნათელს ჰფენს სტალინის პიროვნებას და წარმოდგენას გვიქმნის რუსეთზე.

**იოზეფ გებელსი,** რომელიც ნაცისტური პროპაგანდით მსოფლიოს აყრუებდა, გაჰყვიროდა, რომ რუსული არმია არის თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსი, რომ შიმშილისგან გაძვალტყავებული რუსი ჯარისკაცი ძლივს დაათრევს თავის მაზარას და თავისი სამარის გასათხრელ ნიჩაბს, მაგრამ, ეს რომ სრულიად არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მეორე მსოფლიო ომმა (არამხოლოდ) დაამტკიცა.

ფრონტის ყველა უბანზე მიმაგრებული „ეს-ეს-ის“ ოფიცრები რეგულარულად აწვდიდნენ ცენტრს თავიანთ სამეთვალყურეო ტერიტორიაზე მომხდარ წვრილმან შემთხვევას თუ მოვლენას. ავიღოთ ტყვეთა პირველი ბანაკის აღწერილობის პატაკი, რომელიც ცენტრში გაიგზავნა გრიფით „სრულიად საიდუმლო“.

**„ტყვეები სრულიადაც არ გამოიყურებიან მშიერ ადამიანებად, პირიქით — ისინი კარგად ნაკვები და ჯან-ღონით სავსე ადამიანები არიან. როგორც ჩანს, ისინი ცუდად არ ცხოვრობდნენ“.**

ტყვეთა საექიმო შემოწმების შემდეგ ერთ-ერთი სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების უფროსმა ცენტრს აცნობა:

„მე გამაკვირვეს ტყვეებმა — როგორც მამაკაცება, ისე ქალებმა, ყველაზე მეტად კი იმან გამაოცა, როგორი მოვლილი კბილები აქვთ ქალებს. შემოწმებისას არ შემხვედრია ქალი, რომელსაც მოუვლელი პირის ღრუ და კბილები ჰქონდა. მათი პირის ღრუსა და კბილების მდგომარეობა გაცილებით სჯობს გერმანელი ქალებისას“.

სხვა ჯგუფი შოკისმომგვრელს უწოდებს ტყვეების ცოდნის მასშტაბებს:

* „გერმანიის მოსახლეობის ფართო მასებს გვეგონა, რომ საბჭოთა კავშირში უცოდინარობა და დაბალი განათლება სუფევდა. ტყვეთა გამოკითხვამ და მათთან ურთიერთობამ დაგვარწმუნა, რომ მდგომარეობა სრულიად საწინააღმდეგოა. ტყვეთა ძალზე უმნიშვნელო რაოდენობაში შეინიშნება დაბალი განათლება. ერთ-ერთმა ტყვემ, რომელიც უკრაინაში ქარხნის დირექტორად მუშაობდა, თქვა, რომ ქარხნის 1800 მუშა-მოსამსახურეთა შორის დაბალი განათლებით მხოლოდ სამი თანამშრომელი იყო“ (გ. რაიხენბერგი).

* „გერმანელთა უმრავლესობა თვლის, რომ ახლანდელი რუსული სკოლადამთავრებული უფრო მაღალი განათლებისაა, ვიდრე ცარიზმის სკოლადამთავრებული იყო. სასოფლო-სამეურნეო დარგის ცოდნაში გერმანელ და რუს უმაღლესდამთავრებულს შორის უპირატესობა რუსების მხარესაა“ (გ. შტეტინი).

* „მე თითქმის შევრცხვი, როდესაც ერთ რუს ტყვეს უმაღლესი მათემატიკის მაგალითის ამოხსნა დავავალე. მთელი ჩემი ცოდნის მობილიზება დამჭირდა, რათა თავი დამეხსნა ამ უხერხულობისგან (გ. ბრემენი).

ერთ-ერთი გერმანული საწარმოს ხელმძღვანელი ამბობდა:

* **„გერმანული პროპაგანდა ყოველთვის გვარწმუნებდა, რომ რუსი ხალხი შედგება გონებაჩლუნგებისა და ბრიყვებისგან. აქ კი საწინააღმდეგოს წავაწყდით — რუსები მოფიქრებულად და აზრიანად მუშაობენ, მათში არ ჩანს გონების სიჩლუნგე. ჩემთვის უკეთესი იქნება, მუშად მყავდეს ორი რუსი, ვიდრე ხუთი იტალიელი“.**

სილეზიის ერთ-ერთი ქარხნის დირექტორმა ცენტრს შეატყობინა, რომ ტყვეები მის ქარხანაში გამოეგზავნათ. მათ თითქმის არ სჭირდებოდათ კონსულტაციები ქარხანაში მუშაობის შესახებ, გერმანელებს კი მეტი დრო სჭირდებოდათ იმავე საქმის გასაკეთებლად, ვიდრე რუსებს.

რაც შეეხება რუსების მორალს, ის გერმანელების გაოცებას და მასთან ერთად სიმპათიასაც იწვევდა: „სექსუალურ დამოკიდებულების მხრივ ტყვეები, განსაკუთრებით — ქალები, დიდი თავშეკავებით გამოირჩევიან“.

წინა წერილებში აღვნიშნე, რომ სტალინმა შექმნა საბჭოთა ხალხი. და საბჭოთა ადამიანებმა მორალური თვისებები ტყვეობაშიც არ დაკარგეს, რაც საკუთარი თვალით იხილეს გერმანელებმა, რომლებსაც გებელსის პროპაგანდით რუსები გონებაჩლუნგ, გაუნათლებელ ადამიანებად ჰყავდათ წარმოდგენილი.

**საბჭოთა ადამიანი თავისი მორალითა და პატრიოტიზმით საუკუნეებით უსწრებდა ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტის ნებისმიერ სახელმწიფოს.**

და ვინ შექმნა ყოველივე ეს? — სტალინმა. სტალინიურ საზოგადოებაში ადამიანს კარიერაში წინსვლისა თუ სახელის მოსახვეჭად ყველა პირობა ჰქონდა. ყველგან ეძებდნენ ტალანტებს, ამზადებდნენ ეროვნულ კადრებს და სახელმწიფო სისტემა ნიჭიერი და უნარიანი ადამიანების გამოსავლენად იყო ორგანიზებული. ამასთანავე, მუშა და გლეხი არავისზე ნაკლებად არ იყო დაფასებული. სახელმწიფო მოწინავე მშრომელებს, კულტურისა თუ სახელმწიფო მოღვაწეებს თანაბრად განადიდებდა. სტალინის მიერ შექმნილ საზოგადოებაში, უწინარესად, წესიერი კაცის სახელი და ადამიანური ღირსებები ფასობდა. ქვეყანაში ასეთი მაგალითის დამკვიდრებამ, როდესაც ადამიანის ზნეობრივი ღირსებები ნიჭსა და უნარზე მაღლა დადგა, საბჭოთა ხალხი უკეთილშობილეს ხალხად აქცია დედამიწის ზურგზე. საბჭოთა ქვეყანაში, კაპიტალისტური ქვეყნებისგან განსხვავებით, ხალხში მხოლოდ ზნეობრივად ამაღლებული ამბების გახმაურება ფასობდა და აქედან გამომდინარე, დაკარგული ნივთის თუ ფულის დაბრუნება მფლობელისთვის საბჭოთა ადამიანის არაფრით გამორჩეული საქციელი იყო.

**1917 წლის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ყოფილი მეფის რუსეთის ტერიტორიაზე სტალინიზმის დამყარებით მოხდა სასწაული: სტალინმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნა სახელმწიფოებრივი გაერთიანება თანასწორუფლებიანი, მოკავშირე რესპუბლიკების საფუძველზე, რითაც ყველა ერს შეუნარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა და მიანიჭა საბჭოთა კავშირიდან თვითგამორკვევის კონსტიტუციური უფლება; დააკანონა მკაცრი მოსახლეობის** ▶

**თუ თინა ხიდაშელი პატრიოტებად არ ზრდის თავის შვილებს, ასევე პატრიოტებად არ ზრდიდა შეფარული ტროცკისტი ხრუშჩოვი თავის შვილებს. სტალინის სამი ვაჟი კი — იაკობი, ვასილი და არტემი (არტემი ნაშვილებია, რომელსაც არაფრით გამოარჩევდა თავის შვილებში) თავდადებით იბრძოდნენ ფრონტის წინა ხაზზე და მათგან ერთ-ერთი (იაკობი) მოწამებრივადაც შეეწირა სამშობლოს. არადა, საკმარისი იყო მისგან ერთი წინადადებაც, რომ სიცოცხლესაც შეინარჩუნებდა და უდიდეს პატივსაც მიაგებდნენ, აი, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სტალინელები და ანტისტალინელები**

**სტალინმა პირველად კაცობრიობის ისტორიაში შექლო და ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს დაამთხვია. საბჭოთა სახელმწიფოში ვერავინ მიიღებდა ვერანაირ კეთილდღეობას საერთო ჰარმონიის დარღვევით. მდიდარი იქნებოდა სახელმწიფო — მდიდარი იქნებოდა საზოგადოება და ინდივიდი. ვერავინ მოახერხებდა ამ კანონზომიერებიდან თავის დაღწევას, თვით ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირიც კი, ამიტომ ყველას საერთო ინტერესი ჰქონდა, ერთმანეთზე გადაჯაჭვული — ეცხოვრათ და ელვაწათ უკეთეს სახელმწიფოში.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◄ **უპირატესობები თავიანთ ტერიტორიებზე, რაც, უწინარესად, გამოხატა ეროვნული კადრების მომზადებაში, ეროვნული ლიტერატურის, დრამატურგიის, კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში; ყველა პირობა შექმნა ეროვნული კულტურების განუხრელი აღმავლობისთვის. აღზარდა ხალხები პატრიოტულ, ზნეობრივ იდეალებზე.**

როგორც აღვნიშნე, მოკავშირე რესპუბლიკებს მიენიჭა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის კონსტიტუციური უფლება.

**იმ პერიოდში, როდესაც საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზას გაუყენეს, როდესაც განხორციელდა მოკავშირე რესპუბლიკების კრემლთან დაპირისპირების გეგმა, კერძო კაპიტალის იდეოლოგების ქართველი მარიონეტი პოლიტიკოსები სტალინის ძაგების პარალელურად ყოველთვის იცავდნენ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მოთხოვნებს იმ კონსტიტუციური სუვერენიტეტითა და თვითგამორკვევის უფლებით, რომელიც სწორედ სტალინმა მოგვანიჭა.**

უდავოა, რომ ზესახელმწიფოსგან მოკავშირე რესპუბლიკების ასე უმტკივნეულოდ გამოცალკევება სტალინის ერთპიროვნული დამსახურებაა, ამ რესპუბლიკების ხალხების და, გნებავთ, მთელი კაცობრიობის წინაშე.

**მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ზესახელმწიფო სტალინმა აღჭურვა უმაღლესი დემოკრატიით, მისი შექმნა მაინც გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობით. საბჭოთა რესპუბლიკებს გარკვეულ პერიოდამდე უფრო მეტი ვერ გაუკეთა, რადგან წინ მსოფლიოს ანტისაზოგადოება გადაეღობა, მაგრამ მან მაინც მოახერხა ის, რომ ხალხს პრობლემები არ შექმნოდა.**

ეს უდავოა, ვინაიდან ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ უკეთესი მომავლის იმედით — არ აშინებდათ ინფლაცია ან უმუშევრობა. სტალინისა და მისი მთავრობის სიტყვა და საქმე კი ყოველთვის ემთხვეოდა ერთმანეთს, ანუ ინდივიდის, აგრეთვე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ფაქტია, რომ **სამოქალაქო ომის, კონტრრევოლუციური დივერსიების, მეორე მსოფლიო ომისა თუ სხვა ათასი რამის მიუხედავად, საბჭოთა ქვეყანაში ყოველწლიურად მიმდინარეობდა პირველადი მოთხოვნის პროდუქტებზე ფასდაკლება.** ინდივიდი აცნობიერებდა, რომ ის კერძო მესაკუთრის მონა არ იყო, რომ მისი „შემოქმედება“ საბჭოთა ხალხის, გნებავთ, კაცობრიობის ინტერესებში იყო. ასეთი რეალობით ადამიანი ამაყობდა და თავს საზოგადოების ღირსეულ წევრად მიიჩნევდა. სტალინმა ათეიზმით გაანელა სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ხალხის ისტორიული დაპირისპირება. სტალინიზმის ეპოქის საბჭოთა ხალხების ძმობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ანალოგი არ მოეძებნა დედამიწაზე. სტალინის მიერ შექმნილი სახელმწიფო სამაგალითო იყო დანარჩენი მსოფლიოსთვის და, ვფიქრობ, ბევრი რამ ისწავლეს მისგან. ამ საქმეში ათეიზმმაც გარკვეული წვლილი შეიტანა, რადგან ხალხებს შორის ურთიერთობაში ყოველთვის იგულისხმება სახელმწიფო, პარტიული და კულტურის მოღვაწეთა, საერთოდ, საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლების ურთიერთობები და, როგორც წესი, ეს ადამიანები ათეიზმის მიმდევრები იყვნენ. ქრისტიანი თუ მუსლიმანი მოღვაწეები კი თავისუფალი იყვნენ რელიგიური მომნუსხველობისგან, ანუ გათიშულობისგან.

სტალინის **საშინაო პოლიტიკას** არაერთხელ შევეხეთ, საგარეო პოლიტიკა კი, უპირველესად, მდგომარეობდა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერაში; მუშებისა და გლეხების ბრძოლის მხარდაჭერაში ექსპლუატატორების წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ სწორედ სტალიზმის წყალობით მოხდა არაერთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება ამა თუ იმ ქვეყანაში. სტალინიზმი — ეს იყო მხარდაჭერა მსოფლიოში თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთიანობის იდეალების დამკვიდრების ბრძოლაში. სტალინიზმმა აიძულა ბევრი ზესახელმწიფო, თვალი გაესწორებინა სიმართლისთვის, ანგარიში გაეწია მცირერიცხოვანი და დაბალგანვითარებული ერებისთვის, დაეცვათ საერთაშორისო ნორმები. **სტალინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ძალიან ბევრი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვება. სტალინიზმის დასრულება აუცილებლად გამოიწვევს დედამიწაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასრულებას, თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთსულოვნების იდეალების აღკვეთას, რაც არ უნდა დაუშვას საზოგადოებამ.** საბჭოთა კავშირში ანტისტალინიზმის ტალღის აგორების დღიდან კერძო კაპიტალის იდეოლოგებმა გაილაშქრეს საბჭოთა კავშირზე „ადამიანის უფლებების დაცვის დეკლარაციით“, გაილაშქრეს და უცხოეთზე მიყიდულმა სახელმწიფომ თავი არ დაიცვა ამ თავდასხმისგან, პირიქით — ბრალდება შეიფერა და თავი დამნაშავედ აღიარა. ეს იმ ქვეყანამ, სადაც სტალინიზმის ეპოქაში უზადოდ იყო მოქალაქის ყველა უფლება დაცული, თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის, შრომის თუ ათასი სხვა რამისა. ადამიანის უფლებების დაცვა ზღაპრულ დონემდეც კი იყო აყვანილი. უკიდურეს განაპირა კუთხეში ვინმეს შრომის უფლების დარღვევის საკითხი კრემლშიც კი შეიძლებოდა განხილულიყო. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ჩემს ოჯახში მომხდარი: ციმბირში გადასახლებული ძმისშვილი, სახელმწიფოს ხარჯით, შორეული მაგადანიდან ქუთაისამდე სპეცვაგონით ჩამოიყვანეს. სტალინის ამგვარმა მიდგომამ ადამიანების უფლებების დაცვის მიმართ კაპიტალისტურ სამყაროში გამოიწვია ძვრები უკეთესობისკენ ადამიანების უფლებების დაცვის სფეროში. ანალოგიური რამ ითქმის მოქალაქეთა სოციალური დაცვაზეც, განა სტალინიზმის პირობებში ვინმე წარმოიდგენდა მოქალაქეების შევიწროებას, დევნას, დატერორებას?!

სტალინმა პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეძლო და ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს დაამთხვია. საბჭოთა სახელმწიფოში ვერავინ მიიღებდა ვერანაირ კეთილდღეობას საერთო ჰარმონიის დარღვევით. მდიდარი იქნებოდა სახელმწიფო — მდიდარი იქნებოდა საზოგადოება და ინდივიდი. ვერავინ მოახერხებდა ამ კანონზომიერებიდან თავის დაღწევას, თვით ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირიც კი, ამიტომ ყველას საერთო ინტერესი ჰქონდა, ერთმანეთზე გადაჯაჭვული — ეცხოვრათ და ელვაწათ უკეთეს სახელმწიფოში. შესაბამისად, შექმნილი იყო ზნეობრივი გარემო: თუ ქვეყანაში მასა ღარიბი იყო, ვერავინ გაბედავდა ფუფუნებაში ცხოვრებას. სწორედ ამის გამო დამკვიდრდა ქვეყანაში პრინციპი: ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისათვის!

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინა თუ შემდგომ პერიოდში ხალხის გაღარიბების ვითარებაში ერთეულებმა მოახერხეს უსაზღვროდ გამდიდრება და ეს თურმე კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია — **„რაც უფრო უჭირს ქვეყანას და ხალხს, მით მეტად მდიდრდებიან ერთეულები!“** ეს, რა თქმა უნდა არამხოლოდ სტალინიზმის პოზიციებიდან არის ამორალური. სოციალისტურ სახელმწიფოში, როგორც ერთ ოჯახში, ხალხი, საზოგადოება, ინდივიდი „თანაბრად ინაწილებენ ერთმანეთში ჭირსა და ლხინს“. დღევანდელი სახელმწიფო კი „კერძო კაპიტალის“ მამამთავართა ის დივერსიული მექანიზმია, რომელმაც ქვეყანა უარესობისკენ წაიყვანა, მაგრამ მაინც შემორჩა სტალინიზმის იდეალების ნარჩენები და ბოლო მომენტამდე არ დაიწყეს გარყვნილების თავისუფლად ქადაგება. ალბათ, შემედავებით და მეტყვით: მართალია, სტალინმა კონსტიტუციური სუვერენიტეტით აღჭურვა მოკავშირე რესპუბლიკები, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენიტეტი არ მისცაო. უნდა გიპასუხოთ, რომ ამაში დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ დანარჩენი მსოფლიო იყო. სტალინი ყოველმხრივ ცდილობდა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ყოფილიყო გაეროს წევრი ქვეყანა, მაგრამ მას დანარჩენი მსოფლიო დაუპირისპირდა და ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. ამის დასტურად გამოდგება ის, რომ გაეროს შემადგენლობაში უკრაინისა და ბელორუსიის გაერთიანება სტალინის ერთპიროვნული მცდელობის შედეგია, რაც დანარჩენი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მმართველებთან მწვავე დებატების შემდეგ იქნა მიღწეული...



**სტალინმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნა სახელმწიფოებრივი გაერთიანება თანასწორუფლებიანი, მოკავშირე რესპუბლიკების საფუძველზე, რითაც ყველა ერს შეუნარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა და მიანიჭა საბჭოთა კავშირიდან თვითგამორკვევის კონსტიტუციური უფლება; დააკანონა მკვიდრი მოსახლეობის უპირატესობები თავიანთ ტერიტორიებზე, რაც, უწინარესად, გამოხატა ეროვნული კადრების მომზადებაში, ეროვნული ლიტერატურის, დრამატურგიის, კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში; ყველა პირობა შექმნა ეროვნული კულტურების განუხრელი აღმავლობისთვის; აღზარდა ხალხები პატრიოტულ, ზნეობრივ იდეალებზე**

**სტალინის წინააღმდეგ მიმდინარეობს უკიდურესად დაძაბული ბრძოლა, რისთვისაც მილიონობით დოლარი იხარჯება. თითქოს აქაც მშველელად გამოჩნდა სტალინი მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებისთვის. ორასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელთა წევრებსაც გულუხვად აფინანსებს დასავლეთი სტალინის ლანძღვისთვის. შეგერგებათ კი, მედასავლეთეებო, მიცვალებულის შეურაცხყოფისთვის აღებული დოლარები?**





## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იტალიაში არჩევნების 2017 წლისთვის გადატანა გაურკვევლობასა და შეშფოთებას გამოიწვევს ევროკავშირში. დიდი ბრიტანეთის „ბრექსიტის“ პირობების მარტში გასამართი შეთანხმების ფონზე, ევროპა აღმოჩნდება უაღრესად მნიშვნელოვანი არჩევნების პირისპირ საფრანგეთსა და გერმანიაში, რომლებზეც მემარჯვენე ევროსკეპტიკოსებსა და პოპულისტებს შეეძლებათ წარმატების მოპოვება.



**Newsweek:**

# იტალიის რეფერენდუმმა შეაშფოთა ევროკავშირი

**ცნობილი იტალიელი პოლიტიკოსები და მაღალი თანამდებობის პირები დაჟინებით მოითხოვენ 2017 წლის რიგგარეშე არჩევნების გამართვას. თუ ასე მოხდება, გაისად ევროკავშირში ერთბაშად შვიდი საყოველთაო არჩევნები ჩატარდება.**

დღევანდელი მდგომარეობით, არჩევნები 2018 წლისთვისაა დაგეგმილი, მაგრამ იტალიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **ანჯელინო ალფანო** (ამჟამად საგარეო საქმეთა მინისტრია) აყენებს წინადადებას, რომ ეს სახელმწიფოებრივი აქტი თებერვალში გადმოიტანონ. ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის ყოფილ მინისტრს — **გრაციანო დელრიონოს** კი მიაჩნია, რომ არჩევნები გაზაფხულზე უნდა გაიმართოს.

დემოკრატიული პარტიის ანონიმმა წყარომ განაცხადა, რომ პარტია უთუოდ მხარს დაუჭერს რიგგარეშე არჩევნებს, თუ ვერ მოახერხებენ ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბებას.

იტალიაში არჩევნების 2017 წლისთვის გადატანა ევროკავშირში გაურკვევლობასა და შეშფოთებას გამოიწვევს. დიდი ბრიტანეთის „ბრექსიტის“ პირობების მარტში გასამართი შეთანხმების ფონზე, ევროპა აღმოჩნდება უაღრესად მნიშვნელოვანი არჩევნების პირისპირ საფრანგეთსა და გერმანიაში, რომლებზეც მემარჯვენე ევროსკეპტიკოსებსა და პოპულისტებს შეეძლებათ წარმატების მოპოვება.

რეფერენდუმმა, რომლის შედეგად იტალიის პრემიერმინისტრი რენცი გადადგა, განამტკიცა პოპულისტური ევროსკეპტიკური პარტიების პოზიციები იტალიაში და შვა საშიშროება, რომ პარტიებმა შეიძლება გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა წინასაარჩევნო პერიოდში. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სადღეისო შედეგების მიხედვით, „მოძრაობა ხუთ ვარსკვლავს“ — ისტებლიშმენტის წინააღმდეგ მებრძოლ მემარჯვენე და მემარცხენე აქტივისტების ფართო კოალიციას — მხარს უჭერს მოსახლეობის 30 პროცენტი, რაც თითქმის დემოკრატიული პარტიის ამომრჩეველთა რაოდენობას უდრის.

იტალია ევროპული ბლოკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ევროსკეპტიკურად განწყობილი ქვეყანაა: წლევანდელი წლის დასაწყისში იტალიელების მხოლოდ 40-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ევროკავშირის წევრობა დადებითად აისახება მათ ქვეყანაზე.



**Rasmussen Reports:**

# შავი და თეთრი ამერიკა უწინდებურად გაყოფილია

**თეთრი და შავკანიანი ამერიკელები ბევრ შემთხვევაში მოვლენებს განსხვავებულად აფასებენ. მაგალითად, თეთრკანიანი ამერიკელების მხოლოდ 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამერიკის ეკონომიკა სამართლიანია ადამიანების მიმართ, შავკანიანი რესპონდენტების რაოდენობა ამ შემთხვევაში 56 პროცენტს აღწევს. მაგრამ მაშინ, როცა თეთრკანიანი ამომრჩევლების აზრით, ეროვნული ეკონომიკა სამართლიანია აფრო და ლათინოამერიკელების მიმართ, ამ პოზიციას იზიარებს შავკანიანი ამომრჩევლების მხოლოდ 36 პროცენტი.**

ამის მიუხედავად, აფროამერიკელები უფრო ოპტიმისტურად უყურებენ ეკონომიკის მომავალს, ვიდრე თეთრკანიანი ამერიკელები. ამ პრობლემაზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პრეზიდენტის არჩევამდე ჩატარდა. საინტერესოა, შეიცვალა მათი თვალსაზრისი **დონალდ ტრამპის** არჩევის შემდეგ?

აბსოლუტურად განსხვავებულია მათი აზრი აშშ-ის მართლმსაჯულებაზე. თეთრკანიანი ამომრჩევლები დარწმუნებულნი არიან, რომ მართლმსაჯულება სამართლიანია ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობის მიმართ, მაგრამ ამ მოსაზრებას იზიარებს შავკანიანთა მხოლოდ 19 პროცენტი. აფროამერიკელ ამომრჩეველთა მხოლოდ 26 პროცენტი მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების სისტემა სამართლიანია შავკანიანების მიმართ. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს თეთრკანიან ამერიკელთა 45 პროცენტი.

**თეთრი და შავკანიანი ამერიკელები ერთნაირად პესიმისტურად აღიქვამენ ამერიკაში რასებს შორის არსებულ დღევანდელ მდგომარეობას, მაგრამ აფროამერიკელების 76 პროცენტი დარწმუნებულია, რომ რასიზმის პრობლემა კიდევ უფრო ღრმადაა ფესვგადგმული ქვეყნის პოლიტიკასა და მთავრობის საქმიანობაში. თეთრკანიანი ამერიკელების მხოლოდ 46 პროცენტი ეთანხმება ამ მოსაზრებას. მათ არ მიაჩნია, რომ ამერიკელების უმრავლესობა რასისტები არ არიან. ამ აზრს შავკანიანი ამერიკელების 35 პროცენტი არ იზიარებს.**

**The christian Scierce Monitor:**

# ფარანჯის აკრძალვით მერკელმა აღიარა თავისი იმიგრაციული პოლიტიკის მარცხი



**თავისი პარტიისგან მეოთხედ არჩევის ნომინაცია რომ მიიღო, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც გააკრიტიკა ლტოლვილებისთვის თავშესაფრის მიცემის თავისი ლიბერალური პოლიტიკის კონსერვატორი მოწინააღმდეგენი, ამასთანავე, კატეგორიულად გაილაშქრა ფარანჯის ტარების წინააღმდეგ.**

„პირად ურთიერთობაში, რომელიც მთავარ როლს თამაშობს, ჩვენ ვაჩვენებთ სახეს, — განაცხადა მერკელმა, — ამიტომ ფარანჯა, რომელიც მთლიანად ფარავს სახეს, ჩვენს ქვეყანაში უადგილოა. იგი უნდა აიკრძალოს ყველგან, სადაც ამის გაკეთება იურიდიულად შესაძლებელია. მას ადგილი არ აქვს ჩვენს ქვეყანაში“...

გერმანელთა დიდი უმრავლესობა ფარანჯის აკრძალვას მხარს უჭერს. აგვისტოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, გერმანიის მოქალაქეთა 81 პროცენტი ემხრობა საზოგადოებრივ ადგილებში მისი ტარების აკრძალვას, 51 პროცენტს კი სურს ფარანჯის კანონგარეშედ გამოცხადება.

გაურკვეველია, რამდენად შორს წავა მერკელის მთავრობა ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ ამ ჟესტს მოწონებით შეხვდნენ გერმანელები ივლისში მომხდარი ორი ტერაქტის შემდეგ, რომელთა განხორციელებაში მონაწილეობდნენ გერმანიაში თავშესაფარმიღებული მიგრანტები. ეს კი უეჭველად უარყოფითად იმოქმედებს კანცლერის იმიგრაციულ პოლიტიკაზე.

**The American conservative:**

# ნატოს შემდგომი გაფართოება აბსოლუტური უაზრობაა



**გამოცემა გაოგნებულია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩერნოგორიის 29-ე წევრად მიღების გამო, რაც კოლექტიური უშიშროების პრინციპებს არ შეესაბამება. არადა, ასე დაადგინა აშშ-ის სენატის საერთაშორისო კომიტეტმა რამდენიმე დღის წინათ.**

საქართველოსა და უკრაინის ჩართულობის გეგმებისგან განსხვავებით, ჩერნოგორიის მოწვევას არ ახლავს რუსეთთან კონფლიქტის რისკი, მაგრამ თავისთავად სრულიად ზედმეტი ჩანს, რადგან არავითარი რეალური მიზანი არ აქვს.

არც აშშ, არც ნატო არ მიიღებს მეტ უსაფრთხოებას ამ ნაბიჯის გადადგმის შედეგად. ვაშინტონი უშიშროების კუთხით მასზე დამოკიდებულ ქვეყანას დაიმატებს, რაც სრულიად არ უპასუხებს მის ინტერესებს. ჩერნოგორია არ გახდება უფრო უსაფრთხო ქვეყანა ნატოში შესვლის შემდეგ, რადგან დღესაც არაფერი ემუქრება ისეთი, რომლისგანაც ალიანსმა უნდა დაიცვას. ნატოში ჩერნოგორიის ჩართვა უაზრობაა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქტუალური რჩება იდეა ალიანსის გაფართოების შესახებ.

ნატოში ჩერნოგორიის მიღება არის პრიზი, რომელიც მას გადაეცა „პროდასავლური“ ორიენტაციისთვის. პრაქტიკული თვალსაზრისით, კიდევ ერთი წევრის დამატება ალიანსს უფრო გაურთულებს კონსესუსის მიღების საშუალებას. **თავისთავად იგულისხმება, რომ ნატო უნდა შეჩერდეს მიღწეულზე და დაასრულოს გაფართოება არა მხოლოდ უახლოეს მომავალში, არამედ, უპრიანი იქნება, სამუდამოდ.**

**ამერიკამ ყველაზე თვალსაჩინო დამარცხება სირიაში იწვნია. აშშ-ის ოფიციალური პირები პირად საუბრებში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ობამას არ სურდა, უფრო მეტად ჩარეულიყო ადგილობრივ ომში, რომელსაც 500 000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მილიონობით ადამიანი კი უსახლკაროდ დარჩა, რასაც ლტოლვილების უძლიერესი კრიზისი კვალად მოჰყვა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



Reuters:

# ალეპოს აღება იქნება კრემლის გამარჯვება და თეთრი სახლის დამარცხება

**სირიელი ამბოხებულების დამარცხება ალეპოს აღმოსავლეთისთვის ბრძოლაში, რომელთა წინააღმდეგ იბრძვიან რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სირიის ჯარები, პრეზიდენტ ობამას ძალისხმევის ფიასკოს ნიშნავს, — ასკვნიან ამერიკელი მოხელეები, რომლებიც Reuters-ის ჟურნალისტებმა გამოკითხეს.**

მათი მოლოდინის ულიმლამო კონსტანტაცია ნიშანია იმისა, რომ **ბაშარ ასადის** წინააღმდეგ მებრძოლი შეიარაღებული ოპოზიციის მიერ დაკავებული უკანასკნელი მიჯნა მალე სირიის არმიის კონტროლს დაექვემდებარება. მას (სირიის არმიას) ეხმარება მოსკოვი, თეირანი, შიიტი მოხალისეები ერაყიდან, ლიბანიდან და სხვ.

„აღმოსავლეთ ალეპოს დაცემა აშკარად დაანახვებს აშშ-ს, რომ ზომიერი ოპოზიციის მხარდაჭერა მხოლოდ სირიის მომავალი მთავრობის ფორმირების იმედით „არავითარ იმედს არ იძლევა“, — განაცხადა ამერიკის სპეცსამსახურების ყოფილმა მაღალი თანამდებობის ანალიტიკოსმა **პოლ პილარმა.**

ასეთი დამარცხება შეამცირებს არჩეული პრეზიდენტის გავლენას სირიის სამოქალაქო ომზე, რომელმაც კოლოსალური გავლენა იქონია გლობალურ პოლიტიკაზე. კონფლიქტის ესკალაცია გაგრძელდება, ექსტრემიზმი გაძლიერდება, ლტოლვილთა ნაკადი იმატებს, რეგიონული დაპირისპირება გაფართოვდება, — აცხადებენ ამერიკელი ოფიციალური პირები.

ზომიერი ამბოხებულების დამარცხება ასადის უდიდესი გამარჯვება იქნება — იგი დაიბრუნებს ძირითად ქალაქებსა და ქვეყნის უდიდეს ნაწილზე კონტროლს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ჩათვლით.

პრეზიდენტ პუტინისთვის ეს იქნება დასაბუთება იმისა, რომ მას შესწევს უნარი, დაიცვას მოსკოვის დიდი ხნის მეგობარი სამხედრო ძალით. კრემლი კონფლიქტში 2015 წლის სექტემბერში ჩაერია, როცა ომში ჩართო ავიაცია, ფრთიანი რაკეტები და სირიის არმიაში სამხედრო მრჩევლები მიავლინა, აღმოუჩინა სხვა დახმარებაც.

„ვინ გაიმარჯვა? — პუტინმა, ირანელებმა და ასადმა.

ვინ დამარცხდა? — ჩვენ და იორდანია, სადაც ცსს ზომიერ ოპოზიციას წვრთნიდა და აიარაღებდა“, — განუცხადა „როიტერს“ ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ისურვა.

ობამა 20 იანვრისთვის თეთრი სახლის დასატოვებლად ემზადება. მისი მთავარი მისწრაფება ისლამის სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების მიმართულებით მარცხს განიცდის. ობამას იმედი, ებრაელებისა და პალესტინელების შერიგებისა, გაქრა. 2011 წლის ბოლოს მან ერაყიდან გაიწვია სამხედრო კონტინგენტი, მაგრამ იძულებული შეიქნა, ჯარისკაცების ნაწილი უკან დაებრუნებინა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად. ავღანეთში თალიბები თავიანთ კონტროლს უქვემდებარებენ ტერიტორიებს, რომლებიდანაც ისინი განდევნა ამერიკელების თაოსნობით შექმნილმა კოალიციამ. ლიბიაში, სადაც ობამას ადმინისტრაცია მხარს უჭერდა დიქტატორ **მუამარ კადაფის** დამხობას, გრძელდება ქაოსი.

მაგრამ **ამერიკამ ყველაზე თვალსაჩინო დამარცხება სირიაში იწვნია. აშშ-ის ოფიციალური პირები პირად საუბრებში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ობამას არ სურდა, უფრო მეტად ჩარეულიყო ადგილობრივ ომში, რომელსაც 500 000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მილიონობით ადამიანი კი უსახლკაროდ დარჩა, რომელსაც ლტოლვილების უძლიერესი კრიზისი კვალად მოჰყვა.**

ობამას ადმინისტრაცია ერთგვარად დაეხმარა ზომიერ სირიელ ამბოხებულებს, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა, რათა მიეღწიათ ვაშინგტონის მიერ განცხადებული მიზნისთვის — აეძულებინათ ასადი და მისი რუსი და ირანელი მოკავშირეები, დაეწყოთ მოლაპარაკება ეროვნული ერთობის მთავრობის შესაქმნელად, ამბობენ მოხელეები.

სირიაში „ზომიერების“ დამარცხება ასევე ხაზს გაუსვამდა მოსკოვისთვის 1991 წლის სსრ კავშირის დაშლის შედეგად დაკარგული რეგიონის მსხვილი მოთამაშის სტატუსის დაბრუნებას.

„ეს ბიჭები... პარტიზანულ სტილში იომებენ. ისინი შეუერთდებიან „ან-ნუსრას“. არაბები განაგრძობენ ოპოზიციის დაფინანსებას“, — თქვა ერთმა ამერიკელმა მოხელემ.

სხვა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გაგვაფრთხილეს, რომ კონფლიქტი შეიძლება გაძლიერდეს, რადგან ასადის მოწინააღმდეგეთათვის ამერიკელების დახმარების შემცირება აიძულებს საუდის არაბეთს, ყატარსა და თურქეთს გაზარდონ სირიელი ამბოხებულების მხარდაჭერა.

ერთი ამერიკელი ჩინოვნიკი მიიჩნევს, რომ საუდელებმა შეიძლება გაზარდონ იარაღის მიწოდება ამბოხებულებისთვის, რომლებიც საბოლოო ჯამში სამიზნედ დასავლეთის წარმომადგენლებს აირჩევენ.





USA Today:

# კლინტონებო, საკმარისად დაგვაზიანეთ, წაიღეთ თქვენი ფული და წაბრძანდით!

**პრეზიდენტმა ობამამ ერთი საინტერესო წინადადება წარმოთქვა, რომელიც მისი სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად იქცა: „არ უნდა აკეთოთ სისულელეები“. ჰილარი კლინტონმა ვერ შეისწავლა ეს მარტივი გაკვეთილი, დამარცხების მიუხედავად, ვერც 2008 წლის დემოკრატიული პრაიმერიზში, ვერც ობამას კაბინეტში ყოფნის პერიოდში მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.**

კლინტონები, ბევრი სხვა ადამიანისგან განსხვავებით, კარგად უნდა ყოფილიყვნენ გათვითცნობიერებული საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის პრობლემებში, მით უფრო, არ დაეშვათ მისი მიმდინარეობისას საოცრად ბევრი სულელური შეცდომა.

**ჰილარი კლინტონს** არ აღმოაჩნდა საღი აზროვნების ნატამალი, რათა თავიდან აეცილებინა მისი ელექტრონული ფოსტის პირად სერვერთან დაკავშირებული სკანდალი. თუ გსურთ, დაიცვათ თქვენი პირადი ცხოვრება, გირჩევთ, კენჭი არ იყაროთ სახელმწიფო თანამდებობაზე!

კლინტონის ფონდისთვის სახსრების მობილიზება უფრო დიდ სისულელედ შემოუბრუნდათ. საშუალო სკოლის ნებისმიერმა კურსდამთავრებულმა იცის, რომ ფონდისთვის შეწირულობების გაცემა მსოფლიოს წამყვანი კლეპტოკრატული და ავტორიტარული რეჟიმების მიერ (მით უფრო, კლინტონის სახელმწიფო მდივნად ყოფნის დროს), ადრე თუ გვიან, შეკითხვებს გააჩენდა.

2001-2015 წლებში კლინტონებმა გამოიმუშავეს 150 მილიონი დოლარი თავიანთი საჯარო გამოსვლებით (ჰილარი კლინტონმა ცალკე 20 მილიონი დოლარი 2013-2015 წლებში) მდიდრებისა და ოლიგარქების წინაშე, რაც კიდევ ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი იყო. ამავე პერიოდში ჰილარი კლინტონი უფასოდ რომ გამოსულიყო საკვანძო შტატების კოლეჯებსა და საშუალო სკოლებში, არჩევნების შედეგი სხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო.

ყოფილ პრეზიდენტს — **ბილ კლინტონს** ერთ დროს არკანზასის გენერალური პროკურორის თანამდებობა ეკავა და პირადად არაერთხელ ყოფილა გამოკვლევის ობიექტი. იგი კარგად იცნობს სამართლებრივ სისტემას. მისთვის აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ აშშ-ის გენერალურ პროკურორ **ლორეტა ლინჩთან** შეხვედრა იმ დროს, როდესაც იუსტიციის სამინისტრო იკვლევდა მისი ცოლის საქმეს, კრიტიკის ქარცეცხლს გამოიწვევდა.

ბევრ ამომრჩეველს, მათ შორის ობამას მომხრეებს, არ ეყო ძალა და გამბედაობა, ხმა მიეცა ჰილარი კლინტონისთვის, და ამიტომ დღეს ყველას გველოდება პრეზიდენტი-კატასტროფა **დონალდ ტრამპი.** ნება მოგვეცით, მივმართოთ ბილ და ჰილარი კლინტონებს: თქვენ უკვე საკმაოდ საკმარისად დაგვაზარალეთ, ამიტომ აკრიფეთ თქვენი ფული და დარჩით პოლიტიკის მიღმა!

Fox News:

# რუსეთი და ამერიკა ბოროტებას ერთობლივად უნდა ებრძოლონ

**„ფოქს ნიუსის“ ეთერში რესპუბლიკელმა დანა რორაბახერმა განაცხადა, რომ იგი იზიარებს აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის მოწოდებას, გაუმჯობესდეს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან „წამსვლელ ადმინისტრაციას, ჩანს, სურს, დაუბრუნდეს მოსკოვთან „ცივი ომის“ ეპოქას...“**

„ცივი ომის“ პერიოდში ჩვენ ვებრძოდით საბჭოთა კავშირს და არა რუსეთს. რუსები კარგი ადამიანები არიან და ჩვენ გვაქვს შანსი მათთან თანამშრომლობით, დავამარცხოთ ბოროტება, რომელიც ამჟამად პლანეტას ემუქრება“, — განაცხადა რესპუბლიკელმა, რომელიც კონგრესის ქვედა პალატაში კალიფორნიას წარმოადგენს. ბოროტებაში იგი რადიკალურ ისლამიზმს გულისხმობდა.

The Washington Examiner-ის ცნობით, რორაბახერს, დიპლომატ ჯონ ბოლტონთან ერთად, ტრამპი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის კანდიდატად განიხილავს.

**„მე და ბოლტონი მეგობრები ვართ. მართალია, ზოგ საკითხში ჩვენი პოზიციები განსხვავდება, მაგრამ ორივენი მზად ვართ, ვიმუშაოთ პრეზიდენტთან და ვფიქრობ, ბევრს მივაღწევთ“,** — განაცხადა კანონმდებელმა.

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, დიდი ალბათობით, გახდება ნავთობის კორპორაცია „ექსონ-მობილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **რექს თილერსონი,** რომელიც დაჯილდოებულია რუსეთის მეგობრობის ორდენით, — იუწყება „ევრონიუსი“.

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1990 წელს „გლადიოს“ სკანდალური მხილების შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ „გლადიატორებს“ ამზადებდნენ გერმანიაში სპეციალური დანიშნულების მე-10 ჯგუფის ბად-ტოლცის ბაზაზე და რომ ევროპის რამდენიმე ქვეყნის „გლადიატორებმა“ სპეციალური მომზადება გაიარეს ამერიკის „მწვანე ბერეტების“ ბაზაზე, სავარაუდოდ, აშშ-ის ფორტ-ბრეგში.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-45 (366-374)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

**ალენ დალესი**, რომელმაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის თანამდებობაზე სმიტი შეცვალა 1953 წელს, დარწმუნებული იყო, რომ საიდუმლო ოპერაციები შეიძლება იყოს მრისხანე იარაღი კომუნიზმის წინააღმდეგ, ფარულად ხელს უწყობდა აშშ-ის ინტერესების დამკვიდრებას საზღვარგარეთ. იგი თვალყურს ადევნებდა პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს დირექტორის — **ფრენკ ვიზნერისა** და მისი მოადგილის **ფრენკ ლინდსეის** საქმიანობას, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა დასავლეთ ევროპაში ცენტრალური სადაზვერვოს სამმართველოს ხელმძღვანელ **ჯერი მილერთან.** მილერი ცსს-ს სხვა მაღალი თანამდებობის ოფიცრებთან ერთად მუშაობდა დასავლეთ ევროპაში გასაგზავნი აგენტების გადაბირებაზე, რომლებსაც შემდგომ უნდა ემუშავათ საიდუმლო ქვედანაყოფების ქსელების გაფართოების საკითხებზე. რეკრუტებს შორის იყო **უილიამ კოლბიც**, რომელიც მომავალში ცსს-ს დირექტორი გახდა. იგი ისევე, როგორც საიდუმლო სამსახურის სხვა ჯარისკაცები, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მსახურობდა სტრატეგიული სამსახურის სამმართველოში, შეგზავნილი იყო ოკუპირებული საფრანგეთის ტერიტორიაზე წინააღმდეგობის მოძრაობასთან სამუშაოდ. ომის დროს მხოლოდ ერთხელ გაემგზავრა ქვეყნიდან: გადასვეს ნორვეგიაში სატრანსპორტო ხაზების ასაფეთქებლად. 1951 წლის აპრილში კოლბი მილერის წინაშე იჯდა. ორივე ერთმანეთს კარგად იცნობდა, რადგან მეორე მსოფლიო ომის წლებში მილერი კოლბის უფროსი იყო ნორვეგიაში. ორივე დარწმუნებული იყო, ომს დამთავრება არ ეწერა, და მილერმა კოლბი **ლუ შერერის** ნაწილში — დასავლეთ ევროპის სკანდინავიურ განყოფილებაში დანიშნა: „ყველაფერი რიგზეა, ბილ, გაემგზავრე, ნუღარ გადადებ!“, მილერმა უთხრა: „ეს საჭიროა სანდო დაზვერვისთვის და წინააღმდეგობის მოძრაობისთვის, რომლის იმედი უნდა გვქონდეს რუსების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემთხვევისთვის. ჩვენ გვაქვს პირველადი გეგმა, მაგრამ იგი უნდა დავხვეწოთ და გამოვიყენოთ. შენ იმუშავებ ლუ შერერთან ერთად, სანამ არ გავარკვევთ, კიდევ რა უნდა გავაკეთოთ“.

ცსს-მ კოლბის ჩაუტარა ინსტრუქტაჟი, რა უნდა გაეკეთებინა „გლადიოს“ სკანდინავიური ქსელის შესაქმნელი საქმიანობის მხარდასაჭერად. „ისე გამოვიდა, რომ პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა დაგეგმვა იმ შემთხვევისთვის, თუ საბჭოთა კავშირი დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე შეიჭრებოდა. მილერის თქმით, საბჭოთა ჯარების ევროპაში წარმატებული წინსვლის შემთხვევაში პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს სურს, უცებვე გაააქტიუროს კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული დივერსიული რაზმები დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად“, — იხსენებდა კოლბი თავის მემუარებში. „მილერმა განაცხადა, რომ ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა, მოვამზადოთ წინააღმდეგობის გასაწევად ოკუპაციამდე, შემოჭრამდეც კი. მზად ვართ, ახლავე მოვამზადოთ და ყველაფრით უზრუნველვყოთ არმიები, დრო ჯერ კიდევ არის და რისკიც მინიმალურია“, — ასე ახსნა კოლბიმ წარმატებით ჩატარებული ოპერაციის მისეული ხედვა. „პოლიტიკური კოორდინაციის ბიურომ ასე მიიღო ქსელების (რომლებსაც დაზვერვის ენაზე „უკან დატოვებულებს“ ეძახდნენ) აგების ძირითადი პროგრამა იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, რომლებიც, როგორც ჩანდა, საბჭოთა ჯარების შეტევის სამიზნე შეიქნებოდა. ეს იყო გაწვრთნილი პერსონალით დაკომპლექტებული და სათანადოდ აღჭურვილი საიდუმლო ინფრასტრუქტურა, რომელიც მზად იქნებოდა ნებისმიერი სადაზვერვო და სამხედრო საქმიანობის განსახორციელებლად (საბოტაჟისთვის, ჯაშუშობისთვის) როცა ამის დრო დადგებოდა“. ამ მიზნით გაგზავნა მილერმა ცსს-ს აგენტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: „ამოცანა, რომლის შესრულება მილერმა მე დამავალა, სკანდინავიაში ასეთი ქსელის დაგეგმვა და შექმნა იყო“.

**აშშ-ის საიდუმლო ოპერაციები ევროპაში „უმკაცრესად გასაიდუმლოებულ“ ვითარებაში მიმდინარეობდა — კოლბი ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზს უსვამდა. „ამიტომ იყო, რომ კოლბიმ დამავალა, ჩემი გეგმების შესახებ ინფორმაცია მიმეწოდებინა ყველაზე უფრო საიმედო ადამიანების წრისათვის ვაშინგტონში, ნატოსა და სკანდინავიაში“.**

ნატოს სამეთაურო ცენტრი პენტაგონში დეტალურად იყო ინფორმირებული „გლადიოს“ არმიების თაობაზე დასავლეთ ევროპაში. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც ყოველთვის აშშ-ის ოფიცრით იყო წარმოდგენილი, უშუალოდ აკონტროლებდა საიდუმლო არმიას და სამეთაურო ცენტრებს. ამას ადასტურებს პენტაგონის დოკუმენტი გრიფით „საიდუმლო“, რომელიც 1978 წელს გაასაჯაროეს...

**პენტაგონის მსგავსად, ამერიკის სპეციალური დანიშნულების ძალებიც უშუალოდ იყო ჩართული საიდუმლო ომში კომუნისტების წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში. ისინი სპეციალურ ავიასადესანტო სამსახურებთან ერთად წვრთნიდნენ საიდუმლო არმიების ქსელის მეომრებს“.** მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის სპეციალური დანიშნულების ძალები ხელმეორედ 1952 წელს იშვა ვირჯინიის შტატში, ფორტ-ბრეგის შტაბ-ბინაში. გენერალმა **მაკლურმა** შექმნა ფსიქოლოგიური ომების ცენტრი და 1952 წლის ზაფხულში სპეციალური დანიშნულების პირველმა ქვედანაყოფმა, ზოგჯერ სპეციალური დანიშნულების მეათე ჯგუფად რომ მოიხსენიებდნენ, დაიწყო სწავლება პოლკოვნიკ **აარონ ბენკის** მეთაურობით. ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა სტრატეგიული სამსახურების მიერ მეორე მსოფლიო ომში დაგროვებული გამოცდილების ბაზაზე.


ალენ დალესი

პოლკოვნიკმა ბენკმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ჯგუფის სწავლება ითვალისწინებდა „წინააღმდეგობის მოძრაობისა და ოპერაციების ორგანიზებას“, აგრეთვე, დივერსიულ საომარ მოქმედებას, რომელიც ითვალისწინებს... არა მხოლოდ ტაქტიკასა და ლოჯისტიკას, არამედ სპეციალიზებულ ძირგამომთხრელ სამუშაოებს, კოდებსა და რადიოკავშირს, გადარჩენის საშუალებას, ხელჩართული ბრძოლის ფერნბერნის მეთოდს, ინსტიქტურ სკოლას. **ბროშურებში ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც სურდათ აღნიშნულ ჯგუფში ჩარიცხვა, ეწერა, რომ რეკრუტები უნდა ლაპარაკობდნენ ევროპულ ენებზე, სულ ცოტა, 21 წლის უნდა იყვნენ, წოდებით სერჟანტი ან უფრო მაღალი წოდების, გავლილი უნდა ჰქონდეთ სადესანტო მომზადება, ან სურთ დაეუფლონ პარაშუტით გადმოხტომას, ჰქონდეთ ევროპაში მოგზაურობის გამოცდილება, საუკეთესო დახასიათება პირად საქმეში და ა.შ.** ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საპარაშუტო-სადესანტო ოპერაციებში და იმოქმედოს ფრონტის ხაზს მიღმა სპეციალურ ან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა.

**დამარცხებული გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელშიც განლაგდა ამერიკის ახალშექმნილი სპეციალური დანიშნულების ძალები. 1953 წლის ნოემბერში მე-10 ჯგუფმა სწორედ აქ შექმნა პირველი ბაზა საზღვარგარეთ, „ეს-ეს-ის“ ყოფილ შენობაში, რომელიც ჰიტლერის პერიოდში, 1937 წელს, ააგო ფლინტ კაზერნემ ბად-ტოლცში, ბავარიაში.**

მოგვიანებით პანამაში მოეწყო შტაბ-ბინა ამ ძალებისთვის ლათინურ ამერიკაში სამოქმედოდ, ხოლო ოპერაციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ტარდებოდა დამარცხებული იაპონიის ოკინავას შტაბ-ბინიდან.

**1990 წელს, „გლადიოს“ სკანდალური მხილების შემდეგ, ცხადი შეიქნა, რომ „გლადიატორებს“ ამზადებდნენ გერმანიაში სპეციალური დანიშნულების მე-10 ჯგუფის ბად-ტოლცის ბაზაზე და რომ ევროპის რამდენიმე ქვეყნის „გლადიატორებმა“ სპეციალური მომზადება გაიარეს ამერიკის „მწვანე ბერეტების“ ბაზაზე, სავარაუდოდ, აშშ-ის ფორტ-ბრეგში.**

იტალიური „გლადიოს“ მეთაური, გენერალი **სერავალე** იხსენებდა, როგორ მიიწვიეს „გლადიატორები“ „მწვანე ბერეტებმა“ ბად-ტოლცში: „სპეციალური დანიშნულების მე-10 ჯგუფს „ეს-ესელთა“ ყოფილ ყაზარმებში, ბად-ტოლცში, სულ ცოტა, ორჯერ მიმიწვიეს. მათი მეთაური იყო პოლკოვნიკი **ლუდვიგ ფასტენჰამერი**, ჭეშმარიტი რემბო“, — იხსენებდა „გლადიოს“ იტალიელი მეთაური. „სახელდახელო თათბირებზე გვიხსნიდნენ სხვადასხვა მისიის დანიშნულებას, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე მივუთითე (ამბოხებულთა წინააღმდეგ მოქმედება, წინააღმდეგობის ადგილობრივი ჯგუფებისთვის დახმარების გაწევა და ა.შ.). არაერთხელ შევეკითხე, არსებობდა თუ არა საომარი მოქმედებების გეგმა მათ ქვედანაყოფებსა და სხვა საიდუმლო არმიებს, განსაკუთრებით, „გლადიოს“ ნაწილებს შორის. სერავალე ჩაფიქრებული მსჯელობდა: „თქვენ სამხედრო კოლეჯის დამთავრება არ დაგჭირდებათ, რათა შეამჩნევთ: თუ X ნაწილები Y ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ომის პირობებში წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდასაჭერად, რომლებსაც Z საიდუმლო ნაწილები მართავს, მაშასადამე, თუნდაც ჩანასახურ დონეზე უნდა არსებობდეს დაგეგმვა X-სა და Y-ს შორის ჯერ კიდევ მშვიდობიანობის პირობებში“. აქედან გამომდინარე, ოპერატიული გეგმების არსებობა ამერიკის „მწვანე ბერეტებსა“ და ბრიტანეთის „გლადიოს“ შორის სავსებით მოსალოდნელია. „მაგრამ ხდება პირიქით, ეს გეგმები არ არსებობს“, — განაცხადა სერავალემ. „და ომის შემთხვევაში სპეციალური დანიშნულების ძალები ბად-ტოლციდან გაავსებენ ჩვენს ქვეყანას წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და ამბოხებების განსახორციელებლად. როგორ შეხვდებიან მათ ჩვენი „გლადიატორები“? — არტილერიის ცეცხლით, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ჩათვლიან, რომ ისინი წითელი არმიის სპეციალური დანიშნულების რაზმები ან ჯარები არიან. პარტიზანულმა მოძრაობამ გვასწავლა, რომ დაეჭვების შემთხვევაში თქვენ ჯერ გაისვრით და მხოლოდ შემდეგ წახვალთ იმის სანახავად, ვინ წევს მიწაზე“.

სპეციალური დანიშნულების ძალები ყველა დროში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ცსს-ის საიდუმლო ოპერაციების განყოფილებასთან. მას შემდეგ, რაც 1952 წელს ფორტ-ბრეგში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების ძალები, ცსს-ის საიდუმლო ოპერაციების განყოფილებას სახელწოდება შეეცვალა და პოლიტიკური კოორდინაციის ბიუროს ნაცვლად დაგეგმვის სამმართველო დაერქვა, ვიზნერი დაგეგმვის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. მან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ ალენ დალესთან ერთად გაზარდა ამერიკის საიდუმლო ოპერაციების რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით. **დალესმა ნება დართო ცსს-ს, მოეკლათ ფიდელ კასტრო და პატრის ლუმუმბა, მოიწონა ფსიქოტროპული პრეპარატების გამოყენებით ექსპერიმენტების ჩატარება ობიექტებზე, რომელთა შესახებ მათ (ობიექტებს) წარმოდგენაც არ ჰქონდათ და რომელთაგან ზოგი ცათამბჯენიდან გადმოხტა. ვიზნერთან ერთად მან მოაწყო ირანის პრეზიდენტ მოსადიკის დამხობა 1953 წელს და სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც შედეგად მოჰყვა გვატემალის სოციალისტი პრეზიდენტის დამხობა 1954 წელს, ხოლო 1956 წელს ინდონეზიის „მემარჯვენე“ პრეზიდენტ სუკარნოს „ჭკუაზე მოსაყვანად“ შორეული აღმოსავლეთის თავისი განყოფილების უფროსს უბრძანა: „დროა, კარგად მივაწვეთ სუკარნოს“.**

საიდუმლო ოპერაციების ენთუზიასტებს — ვიზნერსა და დალესს, ისე ჩანდა, ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ გლობალურ მასშტაბებში თავიანთი სამხედრო-ტერორისტული ოპერაციების მეშვეობით, მაგრამ, როცა 1961 წელს ჩაიშალა საიდუმლო ოპერაცია (ღორების ყურეში დესანტის გადასხმა) კუბის ლიდერის — ფიდელ კასტროს წინააღმდეგ, პრეზიდენტმა კენედიმ მოხსნა დალესი და ცსს-ს დირექტორად **ჯონ მაკონი** დანიშნა.

ალენ დალესი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორობისას საიდუმლო ანტიკომუნისტური არმიების ტვინი იყო. როცა 1990 წელს ევროპას „გლადიოს“ მხილების ტალღამ გადაუარა, დაზვერვის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა განმარტა, რომ „თუმცა „უკან დატოვებულთა“ ოპერაცია ოფიციალურად 1952 წელს დაიწყო, სინამდვილეში ეს პროექტი დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, ფაქტობრივად, იმ მომენტიდან, როცა ალენ დალესის თავში დაიბადა“.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ალენ დალესი ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თავისუფლების სანაცვლოდ ლუჩანო უზრუნველყოფდა აშშ-ის არმიას გავლენიანი სიცილიელი მაფიოზების სიით, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შეერთებულ შტატებს, როცა ამერიკის ჯარები სიცილიაში გადმოსხეს 1943 წელს. ომის შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ბედნიერი იყო სიცილიურ მაფიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით და იტალიასა და სიცილიაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით კუნძული სიცილია უწესო ბრბოს ხელთ ჩაუგდეს, რაც დღემდე გრძელდება“.**

◀ მიავლინეს ბერნში, შვეიცარიაში და იქიდან უწევდა კოორდინაციას საიდუმლო ოპერაციებს ნაცისტების წინააღმდეგ. ამასთანავე, კონტაქტი ჰქონდა დამყარებული, როგორც ამერიკის სტრატეგიული სამსახურების სამმართველოსთან, ასევე ბრიტანეთის სპეცსამსახურებთან. დასავლეთ ევროპაში საიდუმლო არმიების პროექტის ამოქმედება დალესის სამუშაო და გატაცება იყო. ანგარიშებში ხაზს უსვამდნენ, რომ „ალენ დალესი პროექტს („გლადიოს“) საბჭოთა კავშირის შეჭრის წინააღმდეგობის გაწევისგან დამოუკიდებელ პროექტად განიხილავდა; აღიქვამდა მას, როგორც იარაღს, რომლითაც შეიძლებოდა ამ ქვეყნების ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შეჩერება“.

ცსს-ს საიდუმლო ომები გრძელდებოდა და მას ვიზნერი ფსიქოლოგიურად განიცდიდა, ვერ მშვიდდებოდა სული მისი. ალენ დალესს მიაჩნდა, რომ „ვიზნერის უსიამოვნებები მისი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარეობდა“. იმის გამო, რომ ვიზნერს აღარ შეეძლო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „ბინძური საქმის“ კეთება ევროპაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში, 1958 წელს იგი თანამდებობიდან მოხსნეს. მისი ადგილი დაიკავა **რიჩარდ ბისელმა**, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში სათავეში ედგა (1962 წლამდე) საიდუმლო ოპერაციების განყოფილებას, ოპერატიული სამმართველოს დირექტორის მოადგილედ **რიჩარდ ჰელმსის** დანიშვნამდე. ამ პერიოდში „გლადიოს“ „არქიტექტორ“ ფრენკ ვიზნერის ფსიქოლოგიური მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა და 1965 წელს მან თავი მოიკლა. იმავე წელს რიჩარდ ჰელმსი დააწინაურეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად. ვიზნერის დაკრძალვის ცერემონიაზე ჰელმსმა მაღალი შეფასება მისცა მის მოღვაწეობას საიდუმლო ოპერაციების ასპარეზზე. თვით ჰელმსი არასასიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდა 1970 წელს, როცა მოუწია ჩვენების მიცემა ცსს-ს როლის შესახებ ჩილეს პრეზიდენტის **სალვადორე ალიენდეს** წინააღმდეგ მოწყობილ გადატრიალებაში. ცსს-ს მოქმედი დირექტორი აშკარად ცრუობდა სენატორების წინაშე, როცა უარყოფდა, რომ ცსს ცდილობდა, არ დაეშვა „მემარცხენე“ ალიენდეს არჩევა ჩილეს პრეზიდენტად: (ამ შემთხვევაში) „მე ხელი უნდა მომეწერა ყველა ამ პროექტისთვის. მე მეცოდინებოდა“. როცა ეს სიცრუე გამჟღავნდა, ჰელმსს მოუწია გადადგომა ცსს-ს დირექტორის თანამდებობიდან 1973 წლის თებერვალში. ამასთანავე, სენატმა იგი ფიცის დარღვევისთვის 2000 დოლარით დააჯარიმა.

უილიამ კოლბი ცსს-ს ყველაზე ცნობილი აგენტი იყო, რომელიც „გლადიოს“ ოპერაციაში მონაწილეობდა... მაგრამ მისი ბიოგრაფიაც ტრაგიკულად დამთავრდა. სკანდინავიაში „გლადიოს“ ქსელების შესაქმნელად გაწეული დახმარების შემდეგ, „ცივი ომის“ მომხრე მოღვაწე 1953 წელს გადაიყვანეს ცსს-ს რომის ბაზაზე იტალიაში კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და „გლადიოს“ საიდუმლო ქსელის გასაფართოებლად. „ცივი ომის“ ასპარეზზე ერთი თანამდებობიდან მეორეზე მიმავალი კოლბი 1959 წელს დაემშვიდობა იტალიას. იგი საიგონში წარგზავნეს და იქიდან აკონტროლებდა საიდუმლო ოპერაციებს ვიეტნამსა და ლაოსში. მათ შორის იყო ოპერაცია „ფენიქსი“ — ვიეტკონგის იატაკქვეშა ორგანიზაციის გასანადგურებლად და მისი წევრების ფიზიკური ლიკვიდაციისთვის გამიზნული. **1971 წელს კოლბიმ შეერთებული შტატების კონგრესმენების წინაშე აღიარა, რომ, სანამ ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, 20 000 ვიეტკონგოელი გამოასალმეს წუთისოფელს, მაგრამ უარი თქვა, კომენტარი გაეკეთებინა ფაქტისთვის, რომ ბევრი მათგანი წამებით დაიღუპა: „არ მინდა ვთქვა, რომ არავინ გვიწამებია ან მოვკალით პროგრამის განხორციელებისას. ვფიქრობ, შეიძლება ასეც მომხდარიყო. სამწუხაროდ“.**

1973 წელს ცსს-ს საიდუმლო ოპერაციების განყოფილება ცსს-ს ოპერატიულ სამმართველოდ გადაკეთდა და კოლბიმ ოპერატიული სამმართველოს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე **თომას კარამესინესი** შეცვალა. როცა ჰელმსი იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო, პრეზიდენტმა **ნიქსონმა** იმავე წელს კოლბი ცსს-ს ახალ დირექტორად დაამტკიცა, იმ პოზიციაზე, რომელსაც ინარჩუნებდა 1976 წლამდე, უოტერგეიტის სკანდალით გამოწვეულ ვადამდელ გადადგომამდე. 1996 წელს 76 წლის კოლბი მერილენდის შტატის ერთ-ერთ მდინარეში დაიხრჩო.

პრეზიდენტ ფორდის მმართველობის პერიოდში **ჯორჯ ბუშმა (უფროსმა)** შეცვალა კოლბი ცსს-ს დირექტორის თანამდებობაზე.

პრეზიდენტ **რონალდ რეიგანის** მმართველობის პერიოდში ჯორჯ ბუში ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს და იგი კვლავ განაგრძობდა საიდუმლო ომების მხარდაჭერას, კერძოდ, ნიკარაგუის კონტრასების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას.

1990 წელს, როცა იტალიის პრემიერმინისტრმა **ანდრეოტიმ** გაასაჯაროა ინფორმაცია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო არმიების შესახებ დასავლეთ ევროპაში, ჯორჯ ბუში აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი იყო. ამ თანამდებობაზე ყოფნისას იგი აქტიურად ზრუნავდა ერაყში **სადამ ჰუსეინის** წინააღმდეგ ომის მომზადებაზე. აშშ-ის მოსახლეობა გულგრილად მოეკიდა სპარსეთის ყურეში ომის გაჩაღებას და საჭირო შეიქნა ორიოდე ბინძური ილეთის ჩატარება სიძულვილისა და შურისძიების გასაღვივებლად. **15 წლის გოგონა ნაირამ, რომელსაც ცრემლი ღვარად სდიოდა, 1990 წლის 10 ოქტომბერს კონგრესში გამართულ ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე მოჰყვა, რომ ქუვეითის ჰოსპიტალში მოხალისე მედდად მუშაობისას მოწმე შეიქნა ერაყელი ჯარისკაცების დაუნდობლობის. ერაყელები ქვეყანაში შეჭრისთანავე მივიდნენ ჰოსპიტალში, ახალშობილები ინკუბატორებიდან გამოათრიეს, „დაყარეს სიცივეში და სასიკვდილოდ გაწირეს“. ამ ისტორიამ აღაშფოთა აშშ-ის მოსახლეობა, პრეზიდენტმა ბუშმა თავის უამრავ გამოსვლაში გოგონას სიტყვები გაიმეორა და აღნიშნა, რომ ერაყელთა სისასტიკის შედეგად იმ მომენტში 320 ბავშვი დაიღუპა. ბუში ისე დამაჯერებელი იყო, „საერთაშორისო ამნისტიამაც“ გაიმეორა ეს ისტორია. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ გოგონას არასოდეს უმუშავია ქუვეითში და რომ იგი აშშ-ში ქუვეითის ელჩის შვილი იყო, ეს იცოდნენ კონგრესში 10 ოქტომბერს მოწყობილი მოსმენის ორგანიზატორებმა.** „საერთაშორისო ამნისტიამ“ უკან წაიღო თავისი განცხადება, ხოლო „მიდლ ისტ უოტჩმა“ 1992 წლის თებერვალში გამოაქვეყნა განცხადება, რომ გოგონას მონათხრობი „ომისდროინდელი აშკარა პროპაგანდა იყო“.

ათი წლის შემდეგ **ჯორჯ ბუში-უმცროსი ასევე შეეცადა სიძულვილისა და შურისძიების გაღვივებას მოსახლეობისთვის ყალბი ინფორმაციის მიწოდების გზით, თითქოს ერაყში მუშაობენ ქიმიური, ბიოლოგიური და ატომური იარაღის შემუშავებაზე და რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი დაკავშირებული იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებთან.**

**1990 წლის დეკემბერში ბუში-უფროსი ვერ გაექცა ევროპარლამენტის მწვავე კრიტიკას. რეზოლუციაში, რომელიც გაუგზავნეს თეთრ სახლსა და ადმინისტრაციას, ევროკავშირი უმწვავესად გმობდა თეთრი სახლის მიერ საიდუმლო ომების ორგანიზებას და მოითხოვდა ამ იატაკქვეშა ორგანიზაციებისა და ცალკეული ჯგუფების საქმიანობის, ქვეყნების საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი უკანონო ჩარევის გამოძიებას, აგრეთვე, ევროპაში ტერორიზმის პრობლემისა და სახელმწიფოთა სპეცსამსახურების შესაძლო გარიგების შესწავლას.**


რიჩარდ ნიქსონი


რონალდ რეიგანი

**1990 წლის დეკემბერში ბუში-უფროსი ვერ გაექცა ევროპარლამენტის მწვავე კრიტიკას. რეზოლუციაში, რომელიც გაუგზავნეს თეთრ სახლსა და ადმინისტრაციას, ევროკავშირი უმწვავესად გმობდა თეთრი სახლის მიერ საიდუმლო ომების ორგანიზებას და მოითხოვდა ამ იატაკქვეშა ორგანიზაციებისა და ცალკეული ჯგუფების საქმიანობის, ქვეყნების საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი უკანონო ჩარევის გამოძიებას, აგრეთვე, ევროპაში ტერორიზმის პრობლემისა და სახელმწიფოთა სპეცსამსახურების შესაძლო გარიგების შესწავლას**

ამასთანავე, ევროკავშირი „უმძაფრეს პროტესტს გამოთქვამს იმის საწინააღმდეგოდ, რომ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბისა და ნატოს ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო თავს უფლებას აძლევს, წაახალისოს ევროპაში იატაკქვეშა ოპერატიული-სადაზვერვო ქსელის შექმნა“.

საიდუმლო ოპერაციების დარგში თავისი მდიდარი გამოცდილების წყალობით, ბუში-უფროსი უთუოდ კარგად იყო გაცნობიერებული იმ საიდუმლო ოპერაციებსა და ტერორისტულ საქმიანობაში, რომლებშიც ჩართული იყო საიდუმლო არმიები და ამიტომ კატეგორიული უარი განაცხადა თავისი დამოკიდებულების გამოხატვაზე. აშშ-ის კონგრესმა, რომელიც დარწმუნებული არ იყო, რა მასშტაბს შეიძენდა მოსალოდნელი სკანდალი, თავი შეიკავა შეკითხვების დასმისგან. უფრო მეტიც, მასმედიაც თავს არიდებდა სარისკო შეკითხვებს.

„ვაშინგტონ პოსტში“ ამ თემაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში სათაურით „ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დასავლეთ ევროპაში შექმნა საიდუმლო არმია. გასამხედროებული რაზმები საბჭოთა ოკუპაციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად“ ციტირებული იყო ერთ-ერთი დაუსახელებელი „სამთავრობო მოხელე, რომელიც იცნობდა ოპერაცია „გლადიოს“: „გლადიო“ ოპერაციაა მხოლოდ იტალიისთვის. ჩვენ მას ვერანაირად გავაკონტროლებთ. თუ ამტკიცებენ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ჩართული იყო ტერორისტულ საქმიანობაში იტალიაში, ეს აბსოლუტური მონაჩმახია“. როგორც შემდგომმა გამოძიებამ გვიჩვენა, ამ მოხელის ყოველი სიტყვა სიცრუე იყო“.

## საიდუმლო ომი იტალიაში

შეერთებულმა შტატებმა და მისმა ანტიკომუნიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა იტალიის პირველი რესპუბლიკის ისტორიაში (1945-1993 წწ.). მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებული იყო ბოლო ათწლეულში, გვარწმუნებს, რომ იტალიის სპეცსამსახურების საიდუმლო არმიები „გლადიო“ მემარჯვენე ტერორისტებთან კავშირში აქტიურად იყო ჩართული საიდუმლო, გამოუცხადებელ ომში. საბჭოთა კავშირის შეჭრა არ შედგა, ხოლო საიდუმლო ანტიკომუნისტური გასამხედროებული ნაწილები, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ იყო შექმნილი, ოპერაციებს ქვეყნის შიგნით განახორციელებდნენ და ჭკვიანურად ზემოქმედებდნენ პოლიტიკურ ლანდშაფტზე.

„გლადიოს“ საქმესა და „ცივი ომის“ შემდგომ რიგ საიდუმლო მკვლელობებზე იტალიის სენატის საპარლამენტო გამოძიებამ დაადგინა, რომ იტალიაში „ცსს მშვიდობიან პერიოდში მოქმედების სრული თავისუფლებით ტკბებოდა“, იმიტომ, რომ იტალია იმყოფებოდა რთულ და ზოგჯერ ტრაგიკულ „სასაზღვრო“ სიტუაციაში“. „ცივმა ომმა“ გამყოფი ხაზი გაავლო დაპირისპირებულ იდეოლოგიებს შორის. ამ საზღვრის მარცხენა მხარეს იდგა ფრიად პოპულარული და ძლიერი იტალიის კომუნისტური პარტია, რომელსაც საიდუმლო ფინანსური დახმარებებით მხარში ედგა საბჭოთა კავშირი და ძლიერი იტალიის სოციალისტური პარტია.

საზღვრის მარჯვენა მხარეს მოქმედებდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და იტალიის სამხედრო სპეცსამსახურები „გლადიოსა“ და მემარჯვენე რადიკალებთან ერთად, რომლებსაც მხარს უჭერდა კონსერვატიული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იტალია, რომელსაც სათავეში ედგა ფაშისტი დიქტატორი **ბენიტო მუსოლინი**, ჰიტლერის მხარეს იბრძოდა. „ღერძის“ სახელმწიფოების დამარცხების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა **ფრანკლინ დელანო რუზველტმა**, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა** და საბჭოთა კავშირის ლიდერმა **იოსებ სტალინმა** 1945 წლის თებერვალში გამართეს შეხვედრა საბჭოთა იალტაში, რათა განეხილათ ომის შემდგომი ევროპის მოწყობის პრობლემა და იტალიის ბედი, რომლის შედეგადაც ნახევარკუნძული აშშ-ის გავლენის სფეროში მოაქციეს. იტალიელი კომუნისტების ძალის შესაზღუდავად ცსს-მ მაფიისა და მემარჯვენე ექსტრემისტების მხარე დაიჭირა.

„მაფია, — განმარტავდა ცსს-ს აგენტი **ვიქტორ მარჩეტი**, — მისი ანტიკომუნისტური ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ელემენტია, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გამოიყენებს იტალიის სამართავად“. **ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომში ამერიკის სპეცსამსახურის ხელმძღვანელი იტალიაში, გრაფი ბრენანი ურჩევდა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს, შეემცირებინა 50-წლიანი სასჯელი მაფიის ბოსის — ჩარლზ ლუჩანოსთვის (მეტსახელად „ბედნიერი“) მასთან საიდუმლო გარიგების ჩასატარებლად: თავისუფლების სანაცვლოდ ლუჩანო უზრუნველყოფდა აშშ-ის არმიას გავლენიანი სიცილიელი მაფიოზების სიით, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შეერთებულ შტატებს, როცა ამერიკის ჯარები სიცილიაში გადმოსხეს 1943 წელს. ომის შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ბედნიერი იყო სიცილიურ მაფიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებით და იტალიასა და სიცილიაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით კუნძული სიცილია უწესო ბრბოს ხელთ ჩაუგდეს, რაც დღემდე გრძელდება“.**

**გაგრძელება იქნება**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდმოწამე ბარბარეს წმიდა ნაწილები ილიოპოლიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, სადაც საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა, ხოლო XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსის (1056—1118) ქალიშვილმა — ბარბარემ კიეველ თავად მიხეილ სვიატოპოლკთან ქორწინების შემდეგ ისინი კიევის რუსეთში გადაასვენა. ამჟამად წმიდა ნაწილები კიევშია, წმიდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში. წმიდა ბარბარეს ნაწილებს მრავალი სასწაული უკავშირდება.**

# წმინდა დიდმოწამე ბარბარე

**დიდმოწამე ბარბარე ღირსი იქმნა იესო ქრისტეს სასუფევლისა დეკემბრის მეოთხე დღეს, ახალი სტილით 17 დეკემბერს.**
**დიდმოწამე ბარბარეს წმიდა ნაწილები ამჟამად ქალაქ კიევშია, წმინდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში, ეკვდერის შუაში, შემაღლებულ ადგილას. ბარბარეს წმინდა ნაწილებთან მრავალი სასწაულია დაკავშირებული. წმიდა ბარბარეს განსაკუთრებით ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისთვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის.**



კეისარ **მაქსიმიანეს** (გაიუს იულიუს ვერუს მაქსიმინუსი (173—238), აგრეთვე, ცნობილი, როგორც მაქსიმინუს თრაკიელი, გახლდათ რომის პირველი ბარბაროსი იმპერატორი 235-238 წლებში) იმპერატორობის პერიოდში ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, წარჩინებული გვარისშვილი, სახელად **დიოსკორე.** იგი წარმართი იყო და თაყვანს სცემდა კერპებს. დიოსკორეს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი — **ბარბარე,** რომელსაც თავს ევლებოდა, ანებივრებდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა.

ბარბარეს დედა ადრე გარდაეცვალა. როცა გაიზარდა, ისე დამშვენდა, რომ ვერავინ შეედრებოდა სილამაზით. დიოსკორეს მიაჩნდა, რომ მდაბიო, უზნეო ადამიანები მისი ხილვის ღირსნი არ იყვნენ, ამიტომ მაღალი კოშკი ააგო და გოგონა შიგ გამოკეტა.

კოშკში დამწყვდეულს სულით და გულით ეწადა, გვერდით ჰყოლოდა ვინმე ჭეშმარიტი გზის მასწავლებელი, მაგრამ მის გარშემო ასეთი არავინ იყო და თვითონ ღმერთი, რომელიც „შორს როდია თვითოეული ჩვენგანისაგან“, გახდა მისი მოძღვარი და დამრიგებელი.

დიოსკორეს სურდა ქალიშვილის გათხოვება; ერთხელაც ამ საკითხზე ჩამოუგდო მას საუბარი, მაგრამ ბარბარესგან მტკიცე უარი მიიღო. მაშინ მამამ გადაწყვიტა, მისთვის შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა, იმ იმედით, რომ უცხო ადამიანების გაცნობის შემდეგ თვითონ მოინდომებდა გათხოვებას. დიოსკორემ ბრძანა, ბარბარესთვის მდიდრული აბანო აეშენებინათ, რომელსაც მზისა და მთვარის თაყვანისცემის ნიშნად ორი სარკმელი ექნებოდა.

ცოტა ხანში დიოსკორეს შორს გამგზავრება მოუხდა. ამასობაში თავისუფლად მყოფმა ბარბარემ გაიცნო ქრისტიანი ქალწულები, რომელთაგან გაიგო იესო ქრისტეს სახელი, მისი მოძღვრება, სასწაულები, ჯვარცმა და აღდგომა. ბარბარემ გულით მოიწადინა, ქრისტიანი გამხდარიყო და აი, ღვთის ნებით, ალექსანდრიიდან ილიოპოლისში ხუცესი ჩავიდა, რომელიც მან თავისთან მოიწვია, გულახდილად ესაუბრა, გულით აღიარა ქრისტიანული სწავლება და მოინათლა.

ამის შემდეგ ბარბარე მარხვასა და ლოცვაში იყო, მან სიწმიდისა და ქალწულობის აღთქმა დადო და ღმერთს შესწირა თავი.

ერთხელ ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც, მამამისის ბრძანებით, აბანოს აშენებდნენ. ბარბარე მივიდა, თითით გამოსახა ჯვარი მარმარილოზე და მოხდა სასწაული: **ამოხეთქა იქ წყალმა, რომელმაც შემდგომ მრავალი სნეული განკურნა, მრავალი სასწაული მოახდინა. ჯვარი მარმარილოში ამოკვეთილი დარჩა, ასევე დარჩა ბარბარეს ნატერფალიც.**

ბარბარემ დაინახა ორი სარკმელი და მშენებლებს მოსთხოვა, მესამეც გაეჭრათ, რათა ადამიანის ნახელავში ღმერთის სამგვამოვნება აღბეჭდილიყო.

რამდენიმე დღეში დიოსკორე მოგზაურობიდან დაბრუნდა. როდესაც აბანო მოინახულა, მშენებლებს გულისწყრომით ჰკითხა მიზეზი მესამე სარკმლის გაჭრისა. მათ შიშით მიუგეს, რომ ეს ბარბარეს დაჟინებული მოთხოვნით გააკეთეს.

დიოსკორეს გაუკვირდა და ქალიშვილს სთხოვა, აეხსნა, რას გულისხმობდა სამ სარკმელში. მანაც მიუგო: „მე მნებავს მოქცევაი შენი ჭეშმარიტებად; არა გიცნობიესა, რამეთუ იგი სამნი სარკუმელნი იგი არიან, რომელნი ჰნათობენ ყოველსა სოფელსა“, „ესე სამნი არიან მამაი, ძეი და სული წმიდაი“.

დიოსკორეს ფერი ეცვალა, განრისხდა, ეშმაკი შეუჩნდა, ხმალი იშიშვლა და უნდოდა, ქალიშვილისთვის თავი მოეკვეთა, მაგრამ ბარბარემ მოასწრო გაქცევა, ილიოპოლი დატოვა და ქალაქის მახლობლად გამოქვაბულს შეაფარა თავი. მამამისი ყველგან ეძებდა, ბოლოს იპოვა და თმით ჩამოათრია მთიდან, ჩაკეტა სახლში და მცველებიც მიუჩინა. თვითონ კი იმ ქვეყნის მმართველ **მარკიანესთან** მივიდა და გონებადაბინდულმა მოახსენა, რომ მისი ერთადერთი ასული ქრისტიანებმა გადაიბირეს.

მარკიანემ ბრძანა, მასთან მიეყვანათ ბარბარე. როდესაც ბარბარემ შეიტყო, რომ მმართველთან მიჰყავდათ, ღმერთს შესთხოვა შეწევნა.

ქალწულის სილამაზით გაკვირვებულმა მმართველმა სცადა ტკბილი სიტყვით მისი გადაბირება; ურჩია, მოენანიებინა ღმერთებისგან განდგომა და მორჩილების ნიშნად მსხვერპლი შეეწირა მათთვის, მაგრამ, ბარბარეს წინააღმდეგობას რომ წააწყდა, განრისხებულმა მარკიანემ ქალწულის ტყავის შოლტებით ცემა ბრძანა. დასისხლიანებული ბარბარე საპყრობილეში შეაგდეს და მცველები დაუყენეს.

შუაღამისას საკანი განათდა, ქრისტე ღმერთი ანგელოზებთან ერთად გამოეცხადა წმინდა ასულს, განკურნა მისი ნაგვემი სხეული, მოურჩინა წყლულები, უთხრა, რომ მის გვერდით იქნებოდა და დაიხსნიდა ყოველგვარი ბოროტებისგან.

სიხარულით აღივსო წმინდა ბარბარე, ჯანმრთელმა და უვნებელმა ილოცა და უფალს მადლობა შესწირა. დილით მარკიანემ ბრძანა ქალწულის საკაცით მოყვანა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბარბარე სიარულს ვერ შეძლებდა. მივიდნენ მსახურები მის წამოსაყვანად და რა ნახეს, რომ ფეხზე დგას, განცვიფრებულებმა ერთხმად შესძახეს: **„დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთაი და არა არს სხუაი ღმერთი უდიდეს მისა, რომელმან განაძლიერა ესე“.**

მარკიანეც ფრიად გაოცებული დარჩა, როდესაც იხილა თავისი ფეხით, სხვის დაუხმარებლად მისკენ მიმავალი ბარბარე. უსჯულო და უგუნურმა მმართველმა ეს სასწაული თავისი კერპების დიდ მოწყალებას მიაწერა.

ქალწულმა უთხრა: „ჰეი, უსჯულოო ბილწო ეშმაკისაო, აჰა, ხარ შენ ბრმა და ღმერთნი შენნი ბრმა არიან, ვითარცა შენ, რომელნი ვერ შემძლებელ არიან ხედვად, არცა შეწევნად მოსავთა მათთა. ვითარ შემძლებელ არიან შეწევნად ჩემდა, რომელნი თავთა თვისთა ვერშემძლებელ არიან შეწევნად, არამედ ქრისტე, რომელი ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, ვითარცა თქუეს წიგნთა და ჯუარითა მისითა ცხოველითა განმაძლიერა მე შენ ზედა“.

მსახურებმა, რომლებმაც ბარბარე სტანჯეს, ამ სიტყვების გაგონებისას ერთხმად შესძახეს: „ჩეუნცა გურწამს იესუ ქრისტე ნაზარეველი, რაითა არა არს სხუაი ღმერთი მისსა გარეშე“.

მარკიანეს ბრძანებით მათ თავები მოჰკვეთეს. შემდეგ მარკიანემ ბრძანა ქალწულის გაშიშვლება და ქალაქში ასე ტარება.

ღვთის შეწევნით წმ. ბარბარეს გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც სპეტაკი სამოსით დაფარა მისი სხეული. მთელი ქალაქი გამოეფინა შიშველი ქალწულის სანახავად, მაგრამ მისი სიშიშვლე ვერ იხილა.

**მარკიანე მიხვდა, რომ სატანჯველმა არაფერი ავნო ქალწულს, შეეშინდა, რომ ამის მნახველი მრავალი მოქალაქე მოიქცეოდა ქრისტეს სჯულზე და ამიტომ დიოსკორეს, ბარბარეს მამას, უბრძანა, გაეყვანა ქალიშვილი ქალაქგარეთ და თავი მოეკვეთა მისთვის.**

წაიყვანა დიოსკორემ თავისი ასული. როდესაც მიაღწიეს ადგილს, სადაც სიკვდილით უნდა დაესაჯა, წმინდა ქალწულმა სთხოვა მამას, უკანასკნელად გაეწია ანგარიში ერთადერთი ასულისთვის და მცირე ხნით ლოცვა-ვედრების საშუალება მიეცა. უსჯულო დიოსკორემ დაცინვით უთხრა, რატომ არ გეხმარება ახლა შენი ღმერთიო. მაშინ წმინდა ბარბარემ ზეცისაკენ აღაპყრო ხელები და ლოცვა აღავლინა. პასუხად ზეციდან ხმა გაისმა: „მოვედ, წმინდაო ბარბარე, დისა შენისა ივლიანეს თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა მათ თანა და ყოველი, რომელი ითხოვე, მიმიცემიეს შენდა და უფროისი ამისსა მიგცე შენ“.

ძლიერ გააკვირვა ამის გაგონებამ დიოსკორე და სხვებიც, ვინც იქ იყო, წმ. ბარბარე კი სიხარულით აღივსო, თავი მოუდრიკა მახვილს.

დიოსკორემ დასცა მახვილი და წარკვეთა წმინდა ბარბარეს პატიოსანი თავი. იმავე წამს დაატყდა მას საშინელი ცეცხლი ციდან და ერთიანად დასწვა, ამოვარდა ფიცხელი ქარი და გაფანტა ფერფლი.

ასევე დაისაჯა მარკიანეც — სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა.

წამებულის წმინდა სხეული ერთმა ღვთისმოსავმა მოქალაქემ, ვალენტიანემ, ჩამოასვენა ილიოპოლში, შესაფერისი პატივით დაკრძალა და შემდეგ იმ ადგილას ეკლესია ააგო.

დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილები შემდეგ ილიოპოლიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს, სადაც საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა, ხოლო XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორ **ალექსი I კომნენოსის** (1056—1118) ქალიშვილმა — ბარბარემ კიეველ თავად **მიხეილ სვიატოპოლკთან** ქორწინების შემდეგ ისინი კიევის რუსეთში გადაასვენა. ამჟამად წმინდა ნაწილები კიევშია, წმინდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში. წმ. ბარბარეს ნაწილებს მრავალი სასწაული უკავშირდება.

**წმინდა ბარბარეს განსაკუთრებით ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისთვის და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის**

# რატომ აცხობენ ბარბარობას ლობიანს?



**ბარბარობას, ტრადიციისამებრ, საქართველოში, თითქმის ყველა ოჯახში ლობიანებს აცხობენ, თუმცა, არც ისე ბევრმა იცის, რატომ.**

ქრისტიანობისთვის დღესასწაულებზე რიტუალურად რაიმე სახის საზრდოს მომზადება, შეწირვა უცხოა. იშვიათი გამონაკლისია და სიმბოლური დატვირთვით გვხვდება: პური, ღვინო, თევზი და წითელი კვერცხი.

საზრდოს შეწირვა წარმართული რელიგიებისთვის იყო დამახასიათებელი. ქართულ წარმართულ პანთეონში აქტიური ადგილი ეკავა მზის ღვთაებასა და მის დედას აისს — ბარბალეს. მათდამი პატივსაცემად დღესასწაულზე აცხობდნენ მზის დისკოს ფორმის ღვეზელებს. ღვთაების მდედრობითი სქესისა და სახელთა დიდი მსგავსების გამო, რიგითი მორწმუნეების გარკვეულ ნაწილში მოხდა ორი სუბიექტის გაიგივება-აღრევა. ამის გამო წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულზე აცხობდნენ ბარბალესადმი მიძღვნილ ღვეზელებს. ეს მხოლოდ საქართველოში მოხდა.

ვინაიდან ქალწულმოწამე ბარბარეს ხსენება აღინიშნება შობის მარხვაში, ღვეზელიც სამარხვო მზადდება. ასე რომ, ლობიანის გამოცხობა ყოველთვის შეიძლება და წმიდა ბარბარესთან მას არაფერი აკავშირებს.

მეცნიერებმა გამოიკვლიეს თაგვების თავის ტვინი. დადგინდა, რომ ცხოველების ჰიპოკამპში (ჰიპოკამპი – საფეთქლის წილის ფუძეში თავის ტვინის ნახევარსფეროს ხვეული. შედის ლიმბური სისტემის შემადგენლობაში; მონაწილეობს ემოციურ რეაქციებში და მეხსიერების მექანიზმებში) ახალი ნეირონები გაჩნდა. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომავალში გაახალგაზრდავების ამ მეთოდს ადამიანებზეც წარმატებით გამოიყენებენ.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ველოსიპედის ინოვაციური საბურავები

**კომპანია Nexo-მ (შტატი იუტა, აშშ) ველოსიპედებისთვის უკამერო საბურავები შექმნა. ასეთი საბურავები არ წარმოადგენს სიახლეს, მაგრამ ჩვეულებრივ საბურავებთან შედარებით ცუდი ამორტიზებისა და სიხისტის გამო ისინი ფართოდ არ გამოიყენებოდა.**

ამ ეტაპზე, კომპანიის წარმომადგენლების მტკიცებით, ნაპოვნია ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა. **Nexo-ს მიერ წარმოებული უკამერო საბურავი მზადდება პოლიმერის შენარევებისგან, რომელიც უზრუნველყოფს არამხოლოდ იდეალური ამორტიზაციის ბალანსსა და სირბილეს, არამედ საბურავების გამძლეობასაც. საბურავები იწარმოება ორი სხვადასხვა ფორმით: ერთი გათვლილია 3100 მილი მანძილის გავლაზე, ხოლო მეორე – 5000 მილის.**

გარდა ამისა, კომპანია Nexo საკუთარ პროდუქციას აწარმოებს ერთ-ერთი ისეთი მასალისგან, რომლის წყალობით საბურავების მეორადი გადამუშავება ძალიან მარტივია. იმის გათვალისწინებით, რომ ყოველწლიურად ველოსიპედის ასობით ტონა საბურავი და კამერა იყრება და გარემო ბინძურდება, ეს ტექნოლოგიური გამოგონება ნამდვილად წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ.

# მეცნიერებმა წყლის გასაოცარი თვისება აღმოაჩინეს



**წყალი, როგორც ჩანს, მრავალ გასაოცარ თვისებას მალავს. ერთ-ერთი ასეთი თვისება ახლახან აღმოაჩინეს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარებმა. საქმე ის არის, რომ ციცქნა ნანომილებში მოთავსებული წყალი შეიძლება მაღალ ტემპერატურაზე გაიყინოს.**

ეს აღმოჩენა ნამდვილი სიურპრიზი გამოდგა პროფესორ **მაიკლ სტრანოს** ქიმიკოს-ტექნოლოგთა გუნდისთვის, რომელიც ნანომილებში წყლით ელექტროდენის გატარების ექსპერიმენტს ატარებდა.

წყალი ნანომილებში 105 გრადუს ტემპერატურაზე გაიყინა, მაშინ, როცა წყლის დუღილის ტემპერატურა 100 გრადუსია. ამან ძალიან გააოცა მეცნიერები, მაგრამ გამოცანა ამით არ დამთავრებულა. მაგალითად, მეცნიერებმა ბოლომდე ვერ გაიგეს, როგორ გაიჟონება წყალი ნანომილებიდან. საქმე ის არის, რომ ნანომილებს აქვს წყლის რამდენიმე მოლეკულის სისქე და ამასთანავე, წყლის შემაკავებელი თვისება. მიუხედავად ამისა, წყლით მათი ავსება რთული სულაც არ აღმოჩნდა.

**„ხშირად წყალი თავისით გადიოდა ნანომილებში. პროცესი ასე თუ ისე ჰგავდა იმას, როგორ იჟღინთება წყლით ქაღალდი ან სხვა ფორებიანი საგანი, მაგრამ გაცილებით მცირე მასშტაბით. მართალია, ამ შემთხვევაში ნანომილებზე „საცობების" მოხსნა მოგვიწევს — თითოეულს ბოლოში აქვს ჩვეულებრივი ხუფები",** — ამბობს ერთ-ერთი მეცნიერი. შესაძლოა, მეცნიერთა ეს აღმოჩენა პრაქტიკულად იქნას გამოყენებული. **გამომდინარე იქიდან, რომ ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილების პირობებშიაც კი ეს წყლიანი ნანომილები მყარ მდგომარეობას ინარჩუნებს, მათი გამოყენება შეიძლება, მაგალითად, როგორც „ყინულის ხაზების", რომლებიც გამოდგება პროტონების გადასაცემად.** წყალი, როგორც ცნობილია, 10-ჯერ უკეთ ატარებს პროტონებს სხვა გამტარუნარიან ნივთიერებებსა და მასალასთან შედარებით.



# ველოსახლი სამოგზაუროდ

**ამერიკელმა პოლ ელკინსმა მოგზაურობა უჩვეულო თვითნაკეთი სატრანსპორტო საშუალებით გადაწყვიტა.**

27-კილოგრამიანი ველოსახლის ასაშენებლად მას დაახლოებით 150 დოლარი დაეხარჯა: ველოსიპედი სულ რაღაც 20 დოლარი დაუჯდა, აგრეთვე, ამ თანხით შეიძინა 4 პლასტიკატის სარეკლამო ბანერი, წებოვანი ლენტი, ჭანჭიკები და 6 ცალი ფიჭვის დაფა.

ამ პატარა საცხოვრებელში თითქმის ყველა საჭირო საშუალებაა: საწოლი, გამათბობელი, სათავსოები, პროდუქტებისთვის განკუთვნილი კარადა, დიოდური განათება, ლუქი, რომლითაც შესაძლებელია ღამით ვარსკვლავებიანი ცის ცქერით ტკბობა.





# ადამიანის სისხლის პლაზმის ინიექციებით თაგვები გაახალგაზრდავდნენ

**ვიზუალური გაახალგაზრდავება დღეს სხვადასხვა ინიექციითა და ოპერაცით მიიღწევა, მაგრამ ადამიანებმა უკვე შინაგან გაახალგაზრდავებაზეც დაიწყეს ზრუნვა.**



მეცნიერები ღეროვანი უჯრედების გამოყენებით ატარებენ ექსპერიმენტებს, მაგრამ კომპანია Alkahest -ი სხვა მიმართულებით წავიდა და ცდებს (ჯერჯერობით თაგვებზე) სისხლის პლაზმის გამოყენებით ახორციელებს.

2014 წელს ექიმმა **ტონი ვისს-კორეიმ** განაცხადა, რომ მან და მისმა გუნდმა მოახერხეს მღრნელების გაახალგაზრდავება. **საცდელ მღრნელებს მათზე ახალგაზრდა თაგვების სისხლის პლაზმა შეუყვანეს და შედეგიც მიიღეს. ახლახან კი განაცხადეს, რომ მოპოვებული წარმატება გაუმჯობესებულია ადამიანის სისხლის პლაზმის გამოყენებით. როგორც კვლევის ავტორები ირწმუნებიან, უკანასკნელი ექსპერიმენტის შედეგად მღრღნელებს გაუმჯობესდათ მეხსიერება და ფიზიკური აქტივობა.**

მეცნიერებმა აიღეს 18 წლის ახალგაზრდა ადამიანების სისხლის ნიმუშები და შეიყვანეს ერთი წლის თაგვების ორგანიზმში (მღრნელების ეს წლოვანება 50 წლის ადამიანისას შეესაბამება). ექსპერიმენტამდე საცდელ ცხოველებში დაწყებული იყო სიბერის ნიშნების გამოვლინება: გაუარესებული ჰქონდათ მეხსიერება, მოძრაობა — შენელებული. პლაზმის ინიექციების შეყვანა კვირაში 2-ჯერ ხდებოდა. სამი კვირის შემდეგ ჩატარდა ტესტირება. გაუმჯობესება ნამდვილად შესამჩნევი იყო: **თაგვები, რომლებსაც სისხლის პლაზმის ინიექციები გაუკეთეს, უფრო აქტიურები გახდნენ, მათი ქცევები უფრო ახალგაზრდა თაგვების ქცევებს შეესაბამებოდა. მეხსიერების ტესტირების შეფასებისას, მათ გაცილებით მაღალი შეფასება მიიღეს, ვიდრე მათმა თანატოლმა მღრნელებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ ინიექცია გაკეთებული.**

ამის შემდეგ მეცნიერებმა გამოიკვლიეს თაგვების თავის ტვინი. დადგინდა, რომ ცხოველების ჰიპოკამპში (ჰიპოკამპი — საფეთქლის წილის ფუძეში თავის ტვინის ნახევარსფეროს ხვეული. შედის ლიმბური სისტემის შემადგენლობაში; მონაწილეობს ემოციურ რეაქციებში და მეხსიერების მექანიზმებში) ახალი ნეირონები გაჩნდა. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომავალში გაახალგაზრდავების ამ მეთოდს ადამიანებზეც წარმატებით გამოიყენებენ.

# მელოტი ზღარბი ნელსონი

**სრულიად მელოტი ზღარბი, ნელსონი, ამჟამად დიდ ბრიტანეთში, გარეული ცხოველების თავშესაფარში ცხოვრობს.**



თავშესაფრის ზოგიერთი თანამშრომელი ფიქრობს, რომ ალოპეციის (ბუდობრივი თმის ცვენა) შედეგი გამოწვეულია სტრესით, რომელიც ნელსონმა რაიმე ტრავმის გადატანის შემდგომ მიიღო.

თანამშრომლები იმედოვნებდნენ, რომ მას ეკლიანი საფარველი კვლავ გაეზრდებოდა და ზრდის სტიმულირებისთვის ყოველდღიურად მასაჟებსაც კი უკეთებდნენ, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.



ეს უმწეო არსება, იმისათვის, რომ ცოცხალი გადარჩეს, ადამიანების დახმარებას საჭიროებს, ტადგან ეკლების გარეშე ზღარბი მარტივად მოსაპოვებელი ნადავლი შეიძლება გახდეს, ვინაიდან მისი ბუნებრივ პირობებში ცხოვრებისას თავდაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებას სწორედ ეკლები წარმოადგენს, რომლებიც მას არ აქვს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ელექტრომობილს 1 მეგავატი სიმძლავრის 4 ავტონომიური ძრავი აქვს, თითოეულ ძრავს კი — საკუთარი გადამცემი კოლოფი. ის 200 კმ/სთ სიჩქარეს 7,1 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 313 კმ/სთ-ია. აკუმულატორები ერთი დამუხტვით 430 კმ გავლის საშუალებას იძლევა, ხოლო მთლიანად დაცლილი ბატარეების დამუხტვას 45 წუთი სჭირდება.



# მსოფლიოში ყველაზე ჩქარი ელექტრომობილი

**კომპანია NextEV –ი ერთ-ერთი ავტომწარმოებელია, რომელიც მონაწილეობს “ფორმულა-E” კლასის ავტორბოლებში. ახლახან მან წარმოადგინა ელექტრული სუპერკარი NIO EP9, რომელმაც 4 ნოემბერს ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, გაიარა რა საფრანგეთის პოლ რიკარის ტრასა, რომლის სიგრძე 5, 810კმ-ია, 1 წუთსა 52,78 წამში, რითაც აქამდე არსებული რეკორდი 2 წამით გააუმჯობესა.**

მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ელექტრომობილს 1 მეგავატი სიმძლავრის 4 ავტონომიური ძრავი აქვს, თითოეულ ძრავს კი — საკუთარი გადამცემი კოლოფი. ის 200 კმ/სთ სიჩქარეს 7,1 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 313 კმ/სთ-ია. აკუმულატორები ერთი დამუხტვით 430 კმ გავლის საშუალებას იძლევა, ხოლო მთლიანად დაცლილი ბატარეების დამუხტვას 45 წუთი სჭირდება.

ავტომობილის ძარა პრაქტიკულად მთლიანად დამზადებულია ბოჭკოვანი ნახშირბადისგან, ხოლო კორპუსის ფორმა უზრუნველყოფს მიწოლის ძალას (ეს არის წნევა, რომელიც ავტომობილის აეროდინამიკური თვისებებიდან იქმნება და აუმჯობესებს ავტომობილის მართვას) 24 ათასი ნიუტონით. მიწოლის ძალის ნორმა „უფროსი ძმის“ — „ფორმულა 1“-ისთვის, „სულ“ 13 ათასი ნიუტონია.

კომპანია NextEV-ს დამფუძნებლის — **უილიამ ლის** სიტყვებით, **NIO EP9** იმისთვის შეიქმნა, რომ წინ წასწიოს



თანამედროვე ავტოწარმოება. ვიმედოვნებთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ელექტრონული ავტომობილების შესაძლებლობები დაეწევა და გაუსწრებს ჩვეულებრივი ავტომობილების შესაძლებლობებს, რომლის შემდეგ ადამიანთა უმეტესობა არჩევანს ელექტრომობილზე გააკეთებს“.

კომპანია NextEV ნამდვილად დიდ ფსონს ჩამოდის თავის ნამუშევარზე და გამოუშვა კიდეც საკმაოდ დამაჯერებელი სადემონსტრაციო ვიდეო, რომელშიც NIO EP9 კიდევ ერთ რეკორდს ამყარებს მსოფლიოში ცნობილ ნიურბურგრინგის ტრეკზე.

# დგება მინიატურული «მიკროფაბრიკების» ეპოქა

**რამდენი მობილური ტელეფონი გამოიცვალეთ? თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანები საშუალოდ ყოველ 11 თვეში აახლებენ სმარტფონებს, ბევრი ჩვენგანი ამ კითხვას ვერ უპასუხებს.**



მეცნიერი **ვინა სახაჯვალა** (სამხრეთ უელსის უნივერსიტეტთან არსებული კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი) აპირებს, შექმნას მინიატურული ღუმელი, რომლის გამოყენებით ის ძველი სმარტფონებიდან გამოადნობს სხვადასხვა ძვირფას ლითონს, რომლებსაც ეს ელექტროხელსაწყოები შეიცავს. „როგორ მივაღწიოთ იმას, რომ თითოეულმა ქალაქმა შეაგროვოს ელექტრონული ხელსაწყოები და გადააქციოს ისინი ძვირფას მასალად? — სვამს კითხვას სახაჯვალა. — თუკი ამას ყველა გააკეთებს, ჩვენ დაგვჭირდება დეცენტრალიზებული და განაწილებული წარმოება, რომლის ყველა რესურსი ჩვენს ხელთ იქნება“.

იმის ნაცვლად, რომ ავაგოთ თანამედროვე გიგანტური ობიექტები, სახაჯვალა გვთავაზობს მიკროფაბრიკების შექმნის იდეას: რეცირკულაციისა და უტილიზაციის სისტემებს, რომლებიც ეფექტურიც იქნება და იმხელა მოცულობის, რომ უპრობლემოდ განთავსდება ისინი ქალაქის ნებისმიერ რაიონში. **მიკროქარხნები არა მხოლოდ გადაამუშავებს ძველი სმარტფონების ელექტრონულ ნარჩენებს, არამედ შექმნის ახალსაც მიღებული რესურსიდან. ელექტრონული ნარჩენები შეიცავს ოქროს, რკინას, ვერცხლს, პლატინას, პოლადიუმს, სპილენძს და ასევე, იშვიათ მიწა ელემენტებს, როგორიცაა უტრიუმი, ტერბიუმი, გადოლინიუმი, პრაზეოდიუმი. აღარაფერს ვამბობთ პლასტმასსა და მინაზე.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ელემენტები ტელეფონში მცირე რაოდენობითაა (მაგ., ოქრო — 0,034გრ), მათი რაოდენობა სწრაფად მოიმატებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 2014 წელს 42 მილიონი ტონა ელექტრონული ნარჩენი დაგროვდა და ეს რიცხვი ყოველწლიურად 3-5%-ით გაიზრდება.

ამჟამად ამ ნარჩენების დიდი ნაწილი გადააქვთ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში, რომელიც დედამიწაზე ყველაზე დაჭუჭყიანებულ ადგილად ითვლება, რადგან ინდუსტრიულმა მსოფლიომ ჯერ ვერ მოიფიქრა, ეფექტიანად და მიზნობრივად როგორ გამოიყენოს ის პაწაწინა ნაწილები, რომლებისგანაც შედგება ელექტრონიკა.

სახაჯვალას მიკროფაბრიკამ ეს უნდა შეცვალოს. „მიკროგადამუშავება — ეს ახალი მეცნიერული პარადიგმაა, — ამბობს ის, — ტრადიციული გადამუშავება მუშაობს მაკრო დონეზე, მაგრამ ჩვენ მოგვიწევს, გადავიდეთ მიკროზე. როცა, მაგალითად, საქმე გვაქვს სპილენძის, ნიკელისა და ცინკის ნაერთთან“.

სახაჯვალას აზრით, წინასწარ დაპროგრამებული ავტომატური დრონები დამტვრეული ელექტრონული ნარჩენებიდან ამოარჩევს საჭიროს. შემდეგ მათ მოათავსებენ პატარა ღუმელში, რომელიც გამოიყენებს შესაბამის ტემპერატურას ძვირფასი ნადნობის გამოსაყოფად. ამგვარი მიდგომით შეიძლება იშვიათმიწა ელემენტების გამოყოფის ამოცანის გადაჭრაც. ელექტრონულ ნარჩენებში, ძირითადად, დისკოებში, იშვიათი ელემენტები ხშირად შერეულია რკინასთან, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულად გადაულახავ პრობლემას უტილიზაციისთვის. აი, სახაჯვალას მიკროღუმელს კი შეუძლია იშვიათმიწა ოქსიდების გამოცალკევება. სახაჯვალას ასევე უნდა, მაქსიმალურად ეფექტიანი გახადოს ენერგეტიკული დანახარჯები ღუმელის ფუნქციობაზე. „თუკი შევძლებდით ენერგიის განახლების წყაროებისა და მზის ენერგიის შეთავსებას ამ მასალებთან, მაშინ ჩვენ ნამდვილად ვიქნებით დამოუკიდებელნი“, — ამბობს ის.

მიკროფაბრიკები არამხოლოდ ახალი მცირე საწარმოების შექმნის საშუალებას იძლევა მიკროფაბრიკებიდან მიღებული რესურსების გამოყენებით, არამედ მცირე საწარმოებს მისცემს საშუალებას, თავისთვის შექმნას ახალი ნიშა. „მცირე და საშუალო საწარმოებს, როგორც წესი, სჭირდებათ ინოვაციური გადაწყვეტილებები, ჩვენ კი წარმოების სფეროში სხვადასხვა ჯგუფისგან დადებითი გამოხმაურებები მივიღეთ“. **ელექტრონულ ნარჩენებში, როგორც აღნიშნავენ, 52 მილიარდი დოლარის რესურსია მიკროელემენტებისა, რომელთა უმრავლესობის მიწიდან მოპოვება უფრო რთულია, ვიდრე ელექტრონული ნარჩენებიდან.** ჩვენ უზარმაზარ ენერგიასა და სახსრებს ვკარგავთ მოპოვების ადგილებიდან რესურსის მიღებასა და დამუშავებაში, მაშინ, როცა ისინი ხელის გულზე გვიდევს.



# პოლონეთში მანათობელი ველობილიკი შექმნეს

**ველოსიპედი ტრანსპორტის ერთ-ერთი ეკოლოგიურად სუფთა საშუალებაა. ამ მანათობელი გზის წყალობით კი გადაადგილება გაცილებით მიმზიდველია. ასეთი მანათობელი ველობილიკი ჩრდილოეთ პოლონეთის ქალაქ ლიძბარკ-ვარმინსკში გამოჩნდა.**

ველოსიპედის სავალი ნაწილი დამზადებულია სინთეტიკური მასალისგან, რომელიც დაახლოებით 10 საათის განმავლობაში ანათებს. დაგებულ გზაში შემავალი მანათობელი ელემენტები საჭირო ენერგიას ნათელი დღის განმავლობაში იღებს.

უნდა ითქვას, რომ მანათობელი ველობილიკის შექმნის იდეა თავდაპირველად 2014 წელს ჰოლანდიაში გაჩნდა, მაგრამ პოლონური გზის ტექნოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდება ჰოლანდიურისგან, ვინაიდან ჰოლანდიურ ვარიანტში მანათობელი დიოდები გამოიყენეს, პოლონური კი მთლიანად დამოკიდებულია მზის ენერგიაზე.

ამჟამად პროექტის ტესტირება მიმდინარეობს, იმედია, აღნიშნული გამოგონება აღიარებას მოიპოვებს და სხვადასხვა ქვეყანა მალე დაინტერესდება ამ ინოვაციური პროდუქტით.

# თავშესაფარი 30 მლნ დოლარად — აპოკალიფსისთვის მზადება ტეხასურად

**პერსონალური ბუნკერების მშენებლობა აშშ-ში (და არა მხოლოდ) საკმაოდ მოდურია. ბევრი ადამიანი ცდილობს, ზოგჯერ მეტისმეტად დაიზღვიოს თავი და ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის მაღაზიიდან იმარაგებს წიწიბურას, კონსერვებსა და ნავთს, ზოგი კი იშენებს ნამდვილ ბუნკერს, რომელსაც, რომ რამე მოხდეს, თავს უშიშრად შეაფარებენ. როგორც წესი, ასეთი ბუნკერები გათვლილია ერთ ან ორ ოჯახზე, მაგრამ ასე ხომ მოსაწყენი იქნება. აჯობებს, აშენდეს მიწისქვეშა დასახლება, რომელშიც ყველაფერი იქნება, მათ შორის დიდი კომპანია, რომელშიც რამდენიმე ათასი კაცი იმუშავებს.**



ტეხასში მსგავსი იდეის რეალიზებაზე სერიოზულად ფიქრობენ. პროექტს ეწოდება **Trident Lakes.**

მის აშენებას გეგმავენ დალასთან ახლოს და დაახლოებით 300 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდება. ბუნკერში 400 ძვირად ღირებული ბინა იქნება. თუ გინდა, მშვიდად იყო და გადაურჩე წყალბადის ბომბსა და ათას ეპიდემიას, არ უნდა იძუნწო. ხუმრობა იქით იყოს და, ხომ შეიძლება, ყველაფერი მოხდეს?! აჯობებს, მზად იყო ამისთვის და ამიტომ მოწყობილობები მიწის ქვეშ უნდა განთავსდეს, მის ტავზე კი ან ტბა იქნება, ან გოლფის დიდი მოედანი, ან პარკი, ან რანჩო...

სუფთა ჰაერით სუნთქვა და ელექტროენერგიის გამოყენება მიწისქვეშაც შეიძლება. იქ იქნება სასმელი წყლის საკუტარი წყარო, წყლისა და ჰაერის გამწმენდი სისტემები, ელექტროსადგურები და სხვ. სხვათა შორის ააშენებენ ყველა იქ მცხოვრების დნმ-ის შემნახველ ბანკს.

ჯერჯერობით მშენებლობის დეტალებზე არ საუბრობენ, არც ობიექტის ჩაბარების დროსა და ფასებზე. დაველოდოთ და ვნახავთ.

**მარაოს, პირველადი და ძირითადი დანიშნულების (გაგრილება-დანიავების) გარდა, სხვა დატვირთვაც ჰქონდა: სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ხალხის კულტურაში ძალაუფლების ნიშანს წარმოადგენდა და მისი ქონის უფლება მხოლოდ და მხოლოდ დიდგვაროვნებს ჰქონდათ... ყველაზე ძველი მარაოები და მათი გამოსახულება ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნეს განეკუთვნება.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა...

**დაბერებას ახლავს უსიამოვნო ცვლილებები ჩვენს ორგანიზმში — უარესდება მხედველობა, იწყება სახსრებისა და ძვლების ტკივილი, აღარც გონებაა ისეთი მახვილი, როგორც უწინ, ახალგაზრდობაში... დაბერების პროცესის თავიდან არიდება შეუძლებელია, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს ხშირ შემთხვევაში ჩვენი დაუდევრობა და უყურადღებობაც განაპირობებს.**

**ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის მრავალი წლით შესანარჩუნებლად აუცილებელია სწორი კვება და ფიზიკური ვარჯიში.**

**გთავაზობთ პროდუქტებს, რომლებიც ხელს უწყობს მხედველობისა და მეხსიერების გაუმჯობესებას.**



## ნიგოზი

ნიგოზი ომეგა 3-ის ცხიმოვანი მჟავებით მდიდარი პროდუქტია, ის ტვინის სისხლძარღვების გამაგრებაში მონაწილეობს. მისი დახმარებით ტვინს ჟანგბადი უკეთ მიეწოდება, რის ხარჯზეც მეხსიერება საგრძნობლად უმჯობესდება.

## პომიდორი

პომიდორი ლიკოპინით მდიდარი ბოსტნეულია. ეს ნივთიერება იცავს ტვინის უჯრედებს დაზიანებისგან და გვეხმარება სიცოცხლის ბოლომდე კარგი მეხსიერების შენარჩუნებაში.





## ვაშლი

ვაშლი მდიდარია პექტინითა და უჯრედისით, რის გამოც ვაშლი არაჩვეულებრივი საშუალებაა ტვინისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციობის გასაუმჯობესებლად.

## როზმარინი

ინჰალაცია წყალში როზმარინის ეთერზეთის რამდენიმე წვეთის ჩამატებით სავსებით საკმარისია მეხსიერებისა და მხედველობის გასაუმჯობესებლად.





## ჭარხალი

ეს ბოსტნეული არეგულირებს სისხლის მიმოქცევას, რაც სასარგებლოდ აისახება არა მხოლოდ მეხსიერებასა და მხედველობაზე, არამედ ორგანიზმის საერთო ჯანმრთელობაზეც.



## ავოკადო

ეს პროდუქტი აუმჯობესებს სისხლის მიწოდებას თავის ტვინისთვის, შედეგად ტვინის უჯრედები უკეთ იკვებება და საგრძნობლად უმჯობესდება მათი ფუნქციობა.

**მექსიკელი ექიმი გვთავაზობს სპეციალურ სიროფს, რომელიც მხედველობისა და მეხსიერების 80%-ით გაუმჯობესებაში გვეხმარება. მეტიც, მისი დახმარებით ზედმეტი კილოგრამების მოშორებაც შეიძლება.**

**ინგრედიენტები:**
*** ჯანჯაფილის ფესვი (3-4 სმ);**
*** 2 სუფრის კოვზი დარიჩინი;**
*** 3 სუფრის კოვზი თაფლი;**
*** 4 ლიმონი;**
*** 125 გრამი პირშუშხა.**

შეურიეთ ერთმანეთს პირშუშხა და ჯანჯაფილის გახეხილი ფესვი. მიღებულ ნარევში ჩაწურეთ 4 ლიმონი და მოამზადეთ ერთგვაროვანი მასა ბლენდერის გამოყენებით. შემდეგ ჩაამატეთ დარიჩინი, თაფლი და შეინახეთ მინის ქილაში.

მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში ორჯერ, ჭამამდე ან ვარჯიშამდე 30 წუთით ადრე.

სულ რაღაც 3 კვირაში თქვენ იგრძნობთ, როგორ გაგიუმჯობესდათ მხედველობა და მეხსიერება. ბონუსად კი ზედმეტი კილოგრამების მოშორებას მიიღებთ.

# მარაო სხვადასხვა ხალხის კულტურაში

**ისტორიკოსებმა მარაოს წარმოშობის ზუსტი თარიღი არ იციან, მის „ავტორობას“ ერთდროულად იჩემებენ ჩინელებიც, იაპონელებიც და ინდოელებიც.**

მარაოს, პირველადი და ძირითადი დანიშნულების (გაგრილება-დანიავების) გარდა, სხვა დატვირთვაც ჰქონდა: სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ხალხის კულტურაში ძალაუფლების ნიშანს წარმოადგენდა და მისი ქონის უფლება მხოლოდ და მხოლოდ დიდგვაროვნებს ჰქონდათ.

თავდაპირველად მარაოს (ხის ტოტს, ფოთოლს თუ ბუმბულის შეკვრას) მხოლოდ სანიავებლის ფუნქცია ჰქონდა. ყველაზე ძველი მარაოები და მათი გამოსახულება ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნეს განეკუთვნება.

უძველესი პრიმიტიული მარაო მცენარის ფოთოლს წარმოადგენდა, შემდეგ ის ერთიანი ფირფიტისგან ან ქაღალდისგან გამოჭრილი საგანი გახდა, მერე კი დასაკეცი მარაო გამოიგონეს. მიუხედავად იმისა, რომ დასაკეცი მარაოს გამომგონებლად ქალი ითვლება, ძველ აღმოსავლეთში ასეთი მარაოს გამოყენების უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ.

იაპონურ კულტურაში, სადაც თითოეულ ნივთს თავისი სიმბოლო აქვს, ის სხვადასხვა ცერემონიისას გამოიყენებოდა (საბრძოლო მარაოდან დაწყებული, ჩაის სმისას გამოსაყენებელი მარაოთი დამთავრებული), ჩინელი იმპერატორები კი წყალობის ნიშნად, სანდალოზის ხისგან, ბამბუკისა თუ ძვლისგან გამოჭრილი და ოქროთი მოვარაყებული მარაოებით დამსახურებულ მოხელეებსა და მხევლებს ასაჩუქრებდნენ. სხვათა შორის, **ჩინეთში მარაო დღესაც დამცავ და სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ძლიერ თილისმად ითვლება.**

**ასირიელებითვის, სპარსელებისთვის, ინდოელებისა და ძველი ეგვიპტელებისთვის მარაო ძალაუფლების, სიმშვიდისა და ნეტარების სიმბოლოა.** ეგვიპტეში მარაო ფარაონის ატრიბუტი იყო, რომლის ფლობის უფლება მხოლოდ მისი ოჯახის წევრებს ჰქონდათ (მათ „მარცხენა მხრიდან დამნიავებლების“ ტიტული ენიჭებოდათ).

**ბერძნულ მითოსში მარაო ქალურობის სიმბოლო და სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს ატრიბუტია.** ანტიკურ რომში კი მარაოს გამოყენებამ



ახალი ხელობა შექმნა — მონებს („ფლაბელეფერებს“) სპეციალურად წრთვნიდნენ და მათ მარაოს ქნევა ევალებოდათ.

**ბიზანტიაში ტარიანი მარაოები საზეიმო ღვთისმსახურების დროს გამოიყენებოდა** (თავიდან შემოწირულობისგან ბუზების განსადევნად, შემდეგ კი — სარიტუალო დანიშნულებისამებრ). ბიზანტიიდან მარაომ ევროპაში გადმოინაცვლა და მოგვიანებით დამატებითი ფუნქციებიც შეიძინა. ევროპაში მასალად, პერგამენტის გარდა, გამოიყენებოდა აბრეშუმი ან თხელი შალის ქსოვილი, მოგვიანებით — სირაქლემისა და ფარშევანგის ბუმბული. XVII საუკუნეში ჩნდება მაქმანისა და ტყავის მოხატული მარაოები, სპილოს ძვლის, კუს ჯავშნის, ებანოზის ხის ან სადაფის კარკასით და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ტარით, რომლებსაც ხშირად ოქროს ჯაჭვი ან სარკე ამშვენებდა.

ბაროკოს პერიოდში მარაოს გამოყენების მკაცრი წესები არსებობდა. მაგალითად, იმდროინდელ საფრანგეთში ამ ნივთით სარგებლობის უფლება მხოლოდ დიდგვაროვნებს ჰქონდათ, ხოლო მეფის კარზე მარაოს გაშლა ქალებს მხოლოდ დედოფლის თანდასწრებით შეეძლოთ. თანდათანობით იცვლება მისი იერიც: თუ ბაროკოს დროინდელი მარაოს მოხატულობა „თავშეკავებულია“ (ორნამენტები, ყვავილები და მითოლოგიური ან ბიბლიური სიუჟეტები), როკოკოს პერიოდის მარაოები გაცილებით მრავალფეროვანი და ჭრელია (მოხატულია პასტორალური და ხშირად ფრივოლური ხასიათის სცენებით).

**1673 წელს პარიზში დაარსდა მარაოს ოსტატების გილდია, დაახლოებით ამ პერიოდში მარაოს კიდევ ერთი ფუნქცია გაუჩნდა — ის გადაიქცა ე.წ. მარაოს ენის, ანუ ფლირტის ინსტრუმენტად** (სადაც თითოეულ ჟესტს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელსაც იმდროინდელი ბანოვნები წარმატებით იყენებდნენ). მეტიც, ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარაოს ფერსაც (თითოეულ ფერს კი — თავისი ახსნა).

ხშირად მარაოებზე ისტორიულ სიუჟეტებსაც გამოსახავდნენ; მაგალითად, XVIII საუკუნის იტალიურ მარაოებზე ყველაზე გავრცელებული ნახატი ვულკანი ვეზუვის ამოფრქვევა იყო, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ მარაოებზე რევოლუციის მოღვაწეების — მირაბოს, რობესპიერის, მარატის პორტრეტები და რევოლუციის დევიზი იყო გამოსახული.

XIX საუკუნეში მარაო ე.წ. სარეკლამო დატვირთვასაც ითავსებს; მაგალითად, ინგლისელებმა შემოიღეს მარაოებზე სხვადასხვა საქონლის რეკლამების, ბანქოს თამაშების წესების, თეატრალური პროგრამების, წარმოდგენებზე მოსაწვევების ასახვა.

# კივი — უნიკალური თვისებების მქონე ხილი «ბავშვებისთვის»



**კივი ერთ-ერთი სასარგებლო ხილია ზამთარში, ის ვიტამინებით სავსეა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. მისი სახელწოდება სათავეს ახალი ზელანდიიდან იღებს.**

კივი საუკეთესო ხილია ბავშვებისათვის, რადგან მდიდარია რკინით, აუმჯობესებს მხედველობას და ძლიერს ხდის იმუნურ სისტემას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების ყოველდღიურ რაციონში მისი შეტანა, მას ხშირად ბავშვთა საკვებსაც კი უწოდებენ.

ჩვენ ყველა ვიცით, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო ხილია, მაგრამ ცოტამ თუ ვიცით მისი უდიდესი შესაძლებლობების შესახებ.

კივის სასარგებლო თვისებები:

1) აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და კურნავს მასთან დაკავშირებულ დაავადებებს;

2) აძლიერებს იმუნურ სისტემას;

3) კარგია მათთვის, ვისაც წონის დაკლება სურს;

4) აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;

5) იცავს დნმ-ს დაზიანებისგან, განსაკუთრებით კარგია ორსულებისა და ბავშვებისთვის;

6) საუკეთესოა ორგანიზმიდან ტოქსინების გამოსადევნად;

7) იცავს გულს დაავადებებისგან;

8) საუკეთესო ხილია დიაბეტით დაავადებულთათვის.

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მისი მიზანი იყო საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა და ახალ მიღწევათა გაცნობა ტექნიკის სხვადასხვა დარგში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე იყო ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა. ამ საქმეშიც არანაკლები წვლილი შეიტანა ალ. დიდებულიძემ.**



# უნივერსიტეტის პირველი პროფესორები

# ალექსანდრე დიდებულიძე

დასასრული. დასაწყისი იხ. №45 (374)

ალ. დიდებულიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ცნობილი გახდა, როგორც თავისი ქვეყნის გულშემატკივარი, ხალხის კეთილდღეობისათვის აქტიური მებრძოლი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის პიონერი. აი, რას წერდა იგი იმდროინდელი საქართველოს შესახებ: **„არა მარტო ჩვენს სოფლებში, ქალაქებშიაც არ არის რიგიანად გაყვანილი ქუჩები, არ არის საღი წყალსადენი, არ არის გამოსადეგი საცხოვრებელი სახლები. მალარია და ტუბერკულოზი მუსრს ავლებს ჩვენს ხალხს. დასახლებულ ადგილებს შორის მიმოსვლისათვის არა გვაქვს შესაფერისი გზები, რკინიგზებით ხომ სრულიად ღარიბნი ვართ, არ გვაქვს სარწყავი არხები და სხვა. არავისთვის საიდუმლო არაა, თუ რამდენი ბუნებრივი სიმდიდრეა ჩამარხული ჩვენს მიწაში. საჭიროა ამ სიმდიდრის გამოკვლევა, შემდეგ იგი გამოყენებულ უნდა იქნას ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. ყოველივე ამისათვის საჭირონი არიან ცოდნით აღჭურვილი ადამიანები, რომლებსაც გამოუშვებს პოლიტექნიკური ფაკულტეტი“.**

1922 წლის 16 იანვარს უნივერსიტეტთან ოფიციალურად გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. ფაკულტეტის პირველი სხდომა, რომელიც ამ დღეს შედგა, გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც მიესალმა ახალგახსნილ ფაკულტეტს და აღნიშნა მისი მნიშვნელობა მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობისათვის. ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფ. ალ. დიდებულიძე, ხოლო მდივნად დოც. ივანე თულაშვილი. პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი განყოფილებისაგან შედგებოდა: 1) მექანიკური, 2) საამშენებლო და 3) სამთო-ქიმიურისაგან.

დეკანის მოვალეობა ალ. დიდებულიძეს უკარნახებდა, მაღალ დონეზე აეყვანა პოლიტექნიკური ფაკულტეტის მუშაობა. ამ ფაკულტეტს რომ პირნათლად შეესრულებინა თავისი დანიშნულება, საჭირო იყო, აუდიტორიებში მიღებული თეორიული ცოდნა გაშუქებული ყოფილიყო პრაქტიკულად ლაბორატორიებსა და სახელოსნოებში. ამ მხრივ თავისი არსებობის დასაწყისში პოლიტექნიკური ფაკულტეტი უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამიტომ ალ. დიდებულიძემ დახმარებისათვის თხოვნით მიმართა ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის საექსპორტო საზოგადოებას („ჩემო“-ს). ამ მიმართვას იგი ასე ამთავრებდა: „პოლიტექნიკური ფაკულტეტის ხელის გამართვა და გაჭირვებაში დახმარება ისეთი დიდებული საქმეა, რომ მას ქართველი ხალხი არ დაივიწყებს და ღირსეულად დააფასებს“.

პოლიტექნიკური ფაკულტეტის სხდომაზე მიღებული გამოცდილებისა და ახალ გარემოებათა შესაბამისად, 1924 წლის გაზაფხულზე დაისვა საკითხი დარგებისა და სასწავლო გეგმის გადასინჯვისა და მათში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ. თავდაპირველად ფაკულტეტზე ნავარაუდევი იყო საკმაოდ ფართო სპეციალიზაცია. ასეთი სპეციალიზაცია გულისხმობდა სათანადო სამეუნიერო-პედაგოგიური ძალების მოწვევას უნივერსიტეტში სამუშაოდ, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა, რის გამოც დადგა საკითხი, ფართო სპეციალური განათლების ნაცვლად, შედარებით ვიწრო პოლიტექნიკური განათლების ორგანიზაციისა. ამ მიზნით გადაისინჯა ფაკულტეტთან არსებული დარგები და, ნაცვლად ცხრა დარგისა, დაარსდა ექვსი, არსებული სამი განყოფილების დატოვებით, ფაკულტეტზე სწავლება ხუთწლიანი იყო. მეხუთე კურსი დანიშნული იყო ზოგიერთი დამატებითი საგნის მოსასმენად და სადიპლომო პროექტის შესადგენად და დასაცავად. სტუდენტთა რაოდენობა ფაკულტეტზე წლიდან წლამდე იზრდებოდა. სწავლება მიმდინარეობდა როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში (სალექციო და პრაქტიკული მუშაობა), ისე მის გარეთაც (საწარმოო პრაქტიკის სახით).

**პოლიტექნიკური ფაკულტეტის განვითარების შემდეგი ეტაპებიდან უნდა აღინიშნოს პროფ. დიდებულიძის მიერ 1923-24 წწ.-ში ორგანიზებული სამი ლაბორატორია: ელექტრომეტრიული, ელექტრული მანქანების საცდელი და საშენ მასალათა საცდელი.** სტუდენტთა და მექანიკოსთა დახმარებით შედარებით მოკლე ხანში მოხერხდა ამ ლაბორატორიების მოწყობა უნივერსიტეტის შენობაში და მათში მუშაობის დაწყება.

1924 წლიდან ფაკულტეტის სტუდენტთა მოწინავე ნაწილის ინიციატივითა და დიდებულიძის ხელმძღვანელობით დაარსდა სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური წრე. მისი მიზანი იყო საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა და ახალ მიღწევათა გაცნობა ტექნიკის სხვადასხვა დარგში. სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკურმა წრემ მოაწყო ტექნიკურ სახელმძღვანელოთა ბიბლიოთეკა და ხელმძღვანელობდა მათ გამოცემას. ამ წრის მიერ გამოცემული იქნა სასწავლო სახელმძღვანელოები, სასწავლო გეგმები და პროგრამები. **ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე იყო ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა. ამ საქმეშიც არანაკლები წვლილი შეიტანა ალ. დიდებულიძემ.** იგი საკმარისად კარგად ახერხებდა ლათინური და ბერძნული ენების გამოყენებას სატერმინოლოგიო საკითხებისათვის და ხშირად იყენებდა ამ ენებზე არსებულ ლექსიკონებს. ა. დიდებულიძეს ამ საქმეში ეხმარებოდნენ ფიზიკის კათედრის ასისტენტები: მიხეილ ნოდია, ვასილ ყიფშიძე და ერეკლე ლუკაშვილი. ისინი 4-5 წლის განმავლობაში დაძაბულად მუშაობდნენ ტერმინების შედგენაზე. მოსამზადებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ ეს ტერმინები წარედგინა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, რომელმაც გადაწყვიტა სადავო საკითხები ამ მიმართულებით. 1925 წელს ჟურნალში — „ჩვენი მეცნიერება“ №3-4 დაიბეჭდა პროფ. დიდებულიძისა და ასისტ. ყიფშიძის მიერ შედგენილი ზოგადი ფიზიკისა და ელექტროტექნიკის ტერმინოლოგია. ამან დიდად შეუწყო ხელი ფიზიკისა და ელექტროტექნიკის საქმის განხილვას.

**1923 წლის 20 იანვარს დიდებულიძე დაინიშნა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად.** იგი ამ მოვალეობას ასრულებდა 1924 წლის 24 სექტემბრამდე. ობსერვატორია მას მეტად მოუწესრიგებელ მდგომარეობაში დახვდა. ხელსაწყოების უმრავლესობა უმოქმედოდ იყო, ობსერვატორიის გამომცემლობას რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერი გამოეცა, მეცნიერული შრომები ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოში იშვიათად შემოდიოდა. ქარსანის მაგნიტურ ობსერვატონიაში მუშაობა თითქმის შეჩერებული იყო და სხვ. მაგრამ დიდებულიძის მზრუნველმა ხელმა ჩქარა გამოასწორა მდგომარეობა. ან აამუშავა ქარსანის მაგნიტური ობსერვატორია, განსაზღვრა ხელსაწყოების ყველა მუდმივები და მოახდინა მათი რეგულირება. საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელი აიყვანა მაღალ დონეზე და აღადგინა ობსერვატორიის ბიულეტენების გამოცემა. გარდა ამისა, მოამზადა სათანადო პირნი ქარსანის ობსერვატორიის მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის და გაამდიდრა თბილისის ობსერვატორია მრავალი საზომი იარაღითა და ხელსაწყოებით. პროფ. ნოდია თავის მოგონებაში დიდებულიძის შესახებ აღნიშნავს: „ალ. დიდებულიძე გეოფიზიკური ობსერვატორიის ყველა დარგში იჩენდა შესაფერის ღრმა ერუდიციასა და ინტერესს, რამაც ხელი შეუწყო ობსერვატორიის სწრაფად აღდგენას და გაფართოებას. ის იყო სავსებით კომპეტენტური დირექტორი გეოფიზიკური ობსერვატორიისა, როგორც მეცნიერული, ისე მეცნიერულ-ორგანიზაციული მხრით. ეს გარემოება მან სავსებით დაამტკიცა არა მარტო ობსერვატორიის დირექტორად ყოფნის დროს, არამედ შემდეგშიც. ის ხშირად ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა კომისიაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ობსერვატორიის სამუშაოთა სათანადო მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებასა და გაფართოებას. მაგალითად, ალ. დიდებულიძე წლების განმავლობაში მონაწილეობდა მაგნიტური კომისიის მუშაობაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქარხნის მაგნიტური ობსერვატორიის გადატანის საკითხის შესწავლა და განხორციელება. ის ხშირად გამოდიოდა ობსერვატორიაში მიმდინარე მეცნიერულ კონფერენციებზე სათანადო მოხსენებებთია და პრაქტიკული წინადადებებით“.



ალექსანდრე დიდებულიძე და ოლღა ჰაუზენი, 1908 წ.

**დიდებულიძემ განათლების სახალხო კომისარიატს წარუდგინა გეოფიზიკური ექსპედიციის მყინვარწვერზე ასვლის პროექტი. კომისარიატის მხარდაჭერითა და საჭირო თანხების გაცემით შესაძლებელი შეიქნა ექსპედიციის მოწყობა. ეს ექსპედიცია ითვლება მყინვარწვერის პირველ გეოფიზიკურ ექსპედიციად, რომელმაც მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა კავკასიონის მთავარი ქედის გეოფიზიკურ კვლევა-ძიებას**

**ობსერვატორიის მეცნიერული მოღვაწეობის გაფართოების მიზნით 1923 წლის ზაფხულში დიდებულიძემ განათლების სახალხო კომისარიატს წარუდგინა გეოფიზიკური ექსპედიციის მყინვარწვერზე ასვლის პროექტი. კომისარიატის მხარდაჭერითა და საჭირო თანხების გაცემით შესაძლებელი შეიქნა ექსპედიციის მოწყობა. ეს ექსპედიცია ითვლება მყინვარწვერის პირველ გეოფიზიკურ ექსპედიციად, რომელმაც მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა კავკასიონის მთავარი ქედის გეოფიზიკურ კვლევა-ძიებას, ხოლო მასიურობის მხრივ პირველი საბჭოთა ასვლა მყინვარწვერზე მოეწყო შესანიშნავი ქართველი ალპინისტის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 1923 წლის 28 აგვისტოს. ეს დღე საბჭოთა ალპინიზმის დასაწყისადაა მიჩნეული.**

როცა გიორგი ნიკოლაძის ექსპედიცია მწვერვალიდან ეშვებოდა, მას შეხვდა მწვერვალზე ამავალი მეორე ქართული ექსპედიცია პროფ. ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით. როგორც ამუნდსენმა სკოტს სამხრეთ პოლუსზე, ისე ნიკოლაძის ექსპედიციამ მხოლოდ რამდენიმე დღით დაასწრო მწვერვალზე ასვლა დიდებულიძის ექსპედიციას. გ. ნიკოლაძის ექსპედიცია 18 მონაწილესაგან შედგებოდა. მათ შორის ხუთი ქალი იყო.

ექსპედიციის მონაწილენი თბილისიდან გავიდნენ 1923 წლის 26 აგვისტოს 16 საათსა და 25 წუთზე. თან წაიღეს მრავალი იარაღი გაზომვების საწარმოებლად. მთელი ექსპედიციის განმავლობაში განუწყვეტლივ, ყოველ საათს წარმოებდა დაკვირვება სოფ. კობში და სტეფანწმინდაში. ზომავდნენ: ატმოსფეროს ტემპერატურას, წნევას, სიმაღლეს, სინოტივეს. მარშრუტი ასეთი იყო: ფასანაური — ჯვრის გადასავალი — სოფ. სტეფანწმინდა — გვილეთის ქოხი — „დიდებულიძის ნაბინავარი“ — „კლდე-ჭოხის მთა“ — ფირნის ველი. 3 სექტემბერს თოთხმეტმა მონაწილემ მიაღწია მწვერვალს 14 საათსა და 45 წუთზე თბილისის დროით. აქ ტემპერატურა -42 გრადუსს აღწევდა, ხოლო ქარის სიჩქარე ნულს უდრიდა. დევდორაკის მყინვარის ბოლოსთან მისვლამდე მდებარეობს ქოხი. ამ ქოხსა და „შევარდნის“ ბუდედ წოდებულ ქოხს შორის იყო ხელსაყრელი ექსპედიციისათვის კარვების დადგმა, ე.ი. ყოფილ ყაზარმასთან, რომლისაგანაც დარჩენილია მხოლოდ ნანგრევები (ექსპედიციის ▶

---

მსოფლიო



## The Eaw Story: ტრამპის არჩევის შემდეგ კუ-კლუქს-კლანი იზრდება და ფართოვდება

**ერთი კვირის წინათ ჩრდილოეთ კაროლინაში გაიმართა კუ-კლუკს-კლანის მიერ ორგანიზებული ტრამპის მხარდამჭერი გამოსვლები. თეთრი რასისტების ამ ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მზად არის, დაიცვას აშშ-ში კანონი და წესრიგი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კკკ იქცევა ისე, რომ თითქოს თეთრ სახლში თავისი მოკავშირე ჰყავს.**

„ჩვენი რიგები ყოველდღიურად იზრდება, — განაცხადა ინტერვიუში კკკ-ის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჰერი მუნკერმა**, — ტრამპის გამარჯვება იმის ნიშანი გახდა, რომ ადამიანებმა გამოიღვიძეს, რადგან დაინახეს, რად გარდაიქმნა ამერიკა“.





**მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დიდებულიძე პრაქტიკულ საინჟინერო-ტექნიკურ მუშაობასაც ეწეოდა. ამ დარგში მან მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა; ჯერ კიდევ რიგაში ყოფნის დროს შეადგინა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობის განათების ქსელის პროექტი და პრაქტიკულად თვითონვვე განახორციელა იგი.**

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მიერ „დიდებულიძის ნაბინავრად" წოდებული). ექსპედიციამ აქ გაშალა კარვები და აწარმოებდა დაკვირვებებს ორი დღე-ღამის განმავლობაში.

უკან დაბრუნებისას ა. დიდებულიძის ექსპედიციამ იპოვნა გ. ნიკოლაძის მონაწილეთა მიერ დაკარგული ფოტოაპარატი. თბილისში ჩამოსვლის უმალ ეს ორი შესანიშნავი პიროვნება ერთმანეთს შეხვდა და შთაბეჭდილებები გაუზიარეს. ბოლოს ალექსანდრემ ხუმრობით მიმართა გიორგის: მე მყინვარწვერიდან ნადავლით დავბრუნდი, ფოტოაპარატი ვიპოვე, რომელსაც არ მოგცემ, შევინახავ და, როდესაც შენ უნივერსიტეტში ან სადმე სხვაგან მოხსენებას გააკეთებ და „ტრაბახს" დაიწყებ, მე ჩემი ნადავლით გამოვალ და შეგარცხვენო. ეს ხუმრობა გიორგის სრულიადაც არა სწყენია. რამდენიმე წლის შემდეგ ალექსანდრემ გიორგის დაუბრუნა ფოტოაპარატის მხოლოდ ლინზა, ბუდე კი სახსოვრად თვითონ დაიტოვა.

როგორც აღნიშნული იყო, **ა. დიდებულიძის ექსპედიციას ღრმა მეცნიერული მიზნები ჰქონდა დასახული. მართლაც, მან დიდად წასწია წინ ობსერვატორიის მეცნიერული მუშაობა. ობსერვატორიის თანამშრომლების მიერ მოკლე ხნის განმავლობაში წარმოდგენილი იქნა მრავალი სამეცნიერო შრომა. ამ ექსპედიციამ შეადგინა ყაზბეგის მთის ზუსტი რუკა დევდორაკის მყინვარის მხრიდან.**

1925 წ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა მეორე ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა ახალი გზა ყაზბეგის მთისაკენ, გერგეთის მყინვარის მხრიდან. ამ გზით ადიოდნენ უმეტეს შემთხვევაში შემდგომ ყაზბეგის მწვერვალზე.

**ამ ორი ექსპედიციის ჩატარებისათვის 1936 წ. დიდებულიძე დაჯილდოვდა სიგელით და სსრ კავშირის I თანრიგოსანი ალპინისტის ნიშნით.**

გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად ყოფნის დროს დიდებულიძემ ყურადღება გაამახვილა, აგრეთვე, მთელ რიგ საკითხებზე. აღადგინა და გააფართოვა მეტეოროლოგიური სადგურის ქსელი, გამოცოცხლებული იქნა მუშაობა სეისმიურ განყოფილებაში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სინოპტიკური განყოფილების ამუშავება, რომელიც მანამდე სრულიად უმოქმედოდ იყო. შედგენილი იქნა სინოპტიკური რუკები, წარმოებდა ამინდის წინასწარმეტყველება, ზუსტი დროის დადგენა, რითაც სატელეგრაფო სადგურებს საშუალება ეძლეოდათ, შეემოწმებინათ თავიანთი საათები.

ალ. დიდებულიძე კარგად გრძნობდა, რომ იგი ინჟინერი იყო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვა ფიზიკაში მას არ შეეძლო. ამიტომ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შორის იგი ყოველთვის ეძებდა ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც ზემოხსენებული ხარვეზის შევსებას შეძლებდნენ.

ალექსანდრეს თაოსნობით იქნენ დატოვებულნი უნივერსიტეტში და გაგზავნილი სსრ კავშირის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში: **მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, ილია ქვარცხავა, დიმიტრი ღოღობერიძე** და სხვები, რომლებმაც ბრწყინვალედ გაამართლეს უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისა და კერძოდ, ალ. დიდებულიძის იმედები.

1930 წლის მარტიდან ალ. დიდებულიძე დაინიშნა მეცნიერულ ხელმძღვანელად ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ზონალურ სადგურში.

**1931 წ. 1 იანვრიდან 5 წლის განმავლობაში, ინსტიტუტის დახურვამდე, დიდებულიძე მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალს.** 1932 წ. სექტემბერში მას ირჩევენ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის პრეზიდიუმის წევრად.

1932 წლიდან 1938 წლამდე ალ. დიდებულიძე ხელმძღვანელობდა ელექტროტექნიკის კათედრას ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ინჟინერთა ინსტიტუტში. ხელმძღვანელობდა აგრეთვე ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1936 წლიდან 1939 წლამდე იყო ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის წვიმის სექციის მეცნიერული ხელმძღვანელი. 1936 წლიდან 1945 წლამდე განაგებდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის კათედრას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1938 წ. ალ. დიდებულიძეს ირჩევენ საქართველოს შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად, ხოლო 1939 წლის იანვრიდან იგი ითვლებოდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ფილიალის სამეცნიერო საბჭოს წევრად. **1940 წ. 30 დეკემბერს დიდებულიძემ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.**

მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დიდებულიძე პრაქტიკულ საინჟინერო-ტექნიკურ მუშაობასაც ეწეოდა. ამ დარგში მან მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა; ჯერ კიდევ რიგაში ყოფნის დროს შეადგინა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობის განათების ქსელის პროექტი და პრაქტიკულად თვითონვვე განახორციელა იგი. მონაწილეობას ღებულობდა ქ. რიგის არა ერთ საქარხნო ელექტრული სადგურის გაშვებისა და მიღების ტექნიკურად შემმოწმებელ კომისიებში. ქ. რიგაში ითვლებოდა სატურბინო ქარხნის კონსტრუქტორ-კონსულტანტად.

**დიდებულიძე დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, კინოთეატრების ხმოვან კინოებად გადაკეთების საქმეს. 1928-39 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს კინომრეწველობის კონსულტანტად. იგი ითვლებოდა ელექტრიკოსთა ყრილობების მუდმივი კომიტეტის წევრად. შეადგინა აკუსტიკური გაანგარიშება და პროექტი საქ. სახკინმრეწვის ხმოვანი ატელიესი. მანვე შეადგინა ამავე ატელიეს ელექტრული განათების პროექტი. 1928 წელს ქ. თბილისის საბჭოს დავალებით გამოიკვლია თბილისის რადიო-სატრანსლაციო ქსელის ხელისშემშლელი მიზეზები და დასახა მასთან ბრძოლის ღონისძიებანი.**

**მანვე შეადგინა 1940 წ. საქ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის აკუსტიკური პროექტი.**

ალ. დიდებულიძე ეწეოდა აგრეთვე უდიდეს საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ მუშაობას. ჯერ კიდევ სტუდენტმა, 1900 წ. რიგაში ჩამოაყალიბა სტუდენტთა ტექნიკური საზოგადოება, რომლის პირველი თავმჯდომარე თვითონ იყო.

1908 წ. იყო ჟურნალ „Фотографические новосты" რედაქტორი ქ. რიგაში.

1908 წლიდან 1915 წლის ბოლომდე ითვლებოდა რიგის ტექნიკური საზოგადოების წევრად.

1915 წლის ბოლოს და 1916 წ. დასაწყისში მოსკოვში ჩამოაყალიბა სახელოსნო სასწავლებელი.

1919 წლიდან დიდებულიძე დანიშნულ იქნა საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან არსებული ტექნიკური კომიტეტის წევრად.

1921 წლიდან იგი ირიცხებოდა საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ტექნიკური კომიტეტის წევრად, სადაც ჩამოაყალიბა გამომგონებლობათა განყოფილება და იყო მისი პირველი გამგე.

საქ. სსრ სახალხო კომისარიატის დავალებით, ალ. დიდებულიძემ ჩამოაყალიბა ფიზიკის კათედრა და ფიზიკური ლაბორატორია ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, სადაც ერთი წლის განმავლობაში იყო კათედრის გამგედ.

1922 წ. არჩეულ იქნა სოციალისტური მშენებლობის მეცნიერ მუშაკთა საკავშირო ასოციაციის წევრად, ხოლო 1933 წ. კი ამ ასოციაციის სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარედ.

1923 წ. 15 ნოემბრიდან 1930 წ. ბოლომდე ალ. დიდებულიძე ითვლებოდა თბილისის აღმასკომის ელექტროქსელის მთავარ ინჟინრად.

საქკინმრეწვის ინჟენერ-კონსულტანტად ყოფნის დროს ა. დიდებულიძემ შეადგინა საქკინმრეწვის ელექტროქსელისა და 3000-კილოვატიანი უმფორმერული სადგურის პროექტი. ეს პროექტი გამოყენებული იყო, აგრეთვე, მოსკოვის კინოფაბრიკის მშენებლობაში. აღნიშნული პროექტისათვის ა. დიდებულიძემ პრემია მიიღო.

1935 წ. პროფ. ა. დიდებულიძეს გადაუხადეს მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობისათვის ა. დიდებულიძეს მიეცა ფულადი ჯილდო, ხოლო საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო მისი მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი, ა. დიდებულიძეს მიერ და მთელი რიგი მეცნიერული და ტექნიკური დაწესებულებების ჯილდოებით. აუწერელი იყო იუბილარის სიხარული. მას მხურვალედ ულოცავდნენ და შემდგომ წარმატებებს უსურვებდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, თანამშრომლები.

**1937 წ. გამომგონებლობითი მუშაობის წარმატებისათვის ალ. დიდებულიძე დაჯილდოებულ იქნა საუკეთესო გამომგონებლის ნიშნითა და სიგელით.**

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს 1941 წ. 24/II ბრძანებულებით საქ. სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ა. დიდებულიძეს მიენიჭა **მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.**

**1944 წ. 4 ნოემბერს სახალხო-მეურნეობისა და კულტურულ მშენებლობისათვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ა. დიდებულიძე დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1945 წ. 1/IV ენერგომშენებლობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის შრომის წითელი დროშის მეორე ორდენი მიიღო.**

დიდი სამამულო ომის პერიოდში თავდადებული მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1944 წ. დიდებულიძე დაჯილდოებული იქნა **მედლით „კავკასიის დაცვისათვის"**, 1945 წ. 6 ივნისს კი მედლით „კავკასიის დაცვისათვის", 1945 წ. 6 ივნისს კი მედლით **„1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში შრომისა და მამაცობისათვის".**

1947 წლის 26 იანვარს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან კიროვის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ იგი დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — **ლენინის ორდენით.**

სიცოცხლის ბოლომდე იგი შეუსვენებლივ მუშაობდა და მზად იყო ასევე განეგრძო. მაგრამ 1951 წ. 18 აპრილს იგი სამუდამოდ მოშორდა თავის საყვარელ საქმეს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 1952-55 წლებში საქ. მეცნიერებათა აკადემიამ და საქ. პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გამოსცეს ა.ი. დიდებულიძის შრომათა სრული კრებული; კიროვის სახ. საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ელექტრომექანიკურ ფაკულტეტზე დაარსდა დიდებულიძის სახელობის ორი სტიპენდია, ხოლო საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემის ენერგეტიკის ინსტიტუტში ასპირანტებისათვის — ერთი სტიპენდია; საქ. სსრ მეც. აკადემიამ 1952 წელს დიდებულიძის საფლავზე (ვაკეში) ბიუსტი დადგა.

**ვახტანგ პარკაძე, 1955 წ.**

**„ისტორიული მემკვიდრეობა", №11, 2016 წ.**



1923 წლის პირველი ექსპედიციის წევრები. სხედან: ევგენი ლიპინსკი, ანდრია თოფაძე, სოსო ასლანიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი ქავთარაძე, სერგი ცხაკაია, შალვა ხუჭუა. დგანან: არჩილ ბენაშვილი, კონსტანტინე პაპინაშვილი, ვალენტინ თელაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გიორგი ერიქაშვილი, არნოლდ ვეისი, ტარასი ზაგაშვილი, ვიქტორ კოჩერგინი, დიმიტრი გურგენიძე, ნიკო ინწკირველი

**1925 წ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით ჩატარდა მეორე ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა ახალი გზა ყაზბეგის მთისაკენ, გერგეთის მყინვარის მხრიდან. ამ გზით ადიოდნენ უმეტეს შემთხვევაში შემდგომ ყაზბეგის მწვერვალზე**

---

მსოფლიო



## დევიდ კემერონი: არ ვიცი, ევრო კიდევ რამდენს გაუძლებს

**დიდი ბრიტანეთის ექსპრემიერმინისტრი დევიდ კემერონი ვარაუდობს, რომ ევროპის ერთიანი ვალუტა ჩამოიშლება. ამის თაობაზე კემერონმა De Pauw University-ის სტუდენტებთან შეხვედრისას ისაუბრა.**

**კემერონის** აზრით, ევროზონას სამომავლოდ ძალიან ბევრი პრობლემა ელოდება. ბრიტანელმა პოლიტიკოსმა ისიც განაცხადა, რომ „ევრო არ მუშაობს ისე, როგორც ეს თავდაპირველად იყო დაგეგმილი", — ციტირებს კემერონის სიტყვებს ბრიტანული ტაბლოიდი The Daily Mail-ი. „ზოგ ქვეყანას, წლებია, არ უნახავს ის ზრდა, რომელიც მათ, შესაძლოა, ჰქონოდათ. ევროზონას აქვს ერთიანი ვალუტა, თუმცა ერთიანი ფინანსური და საგადასახადო სისტემა — არ გააჩნია. ეს კი დიდ პრობლემებს ქმნის", — განაცხადა დიდი ბრიტანეთის ექსპრემიერმინისტრმა.



ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კაკალი ეკონომიკურად მეტად მომგებიანი კულტურაა. 1 კგ ნებისმიერი რაოდენობის გაუტეხავი კაკალი (ნიგვზის გამოსავალი 50%) 4-6 აშშ დოლარი ღირს, რაც ინტენსიური ტიპის ბაღების მოსავლიანობაზე (6,8-8,0 ტ/ჰა-ზე) გაანგარიშებით 18 000-27 000 აშშ ამერიკული დოლარია.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

# კაკლის ბაღის გაშენება და მოვლა

**კაკალი დედამიწის ტერიტორიის მხოლოდ 7%-ზე ხარობს და, საბედნიეროდ, საქართველოც შედის ჩვენი პლანეტის ამ ნაწილში, რომელზეც ხელსაყრელი ნიადაგური და კლიმატური პირობები (როგორც ბარში, ისე მთაში) კაკლის კულტურის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას იძლევა. საქართველო კაკლის კულტურის წარმოშობის ერთ-ერთ კერაა.**

საქართველოს მთიან ზონაში, 1000-1300 მეტრის სიმაღლეზე, კაკლის ნარგავების გაშენება მთის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და იქ მოსახლეობის დამაგრების ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალებაა.

მთაში შესაძლებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიღება, რომელთა ფასებიც მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მაღალია. მთაში მოყვანილი კაკალი გემოთი საუკეთესოა.

კაკლის გაშენება შესაძლებელია ხევებისა გზების პირებზე; მთის წინა ადგლებში; სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთით დაქანებულ ფერდობებზე, როგორც ეროზიის საწინააღმდეგო საშუალება.

**კაკალი ეკონომიკურად მეტად მომგებიანი კულტურაა. 1 კგ ნებისმიერი რაოდენობის გაუტეხავი კაკალი (ნიგვზის გამოსავალი 50%) 4-6 აშშ დოლარი ღირს, რაც ინტენსიური ტიპის ბაღების მოსავლიანობაზე (6,8-8,0 ტ/ჰა-ზე) გაანგარიშებით 18 000-27 000 აშშ ამერიკული დოლარია.**

ყოველწლიურად სტაბილურად იზრდება მოთხოვნა კაკლის პროდუქციაზე და შენარჩუნებულია მაღალი ფასებიც. საკმაოდ მაღალია კაკლის ფასი საქართველოშიც.

ჩვენთან მცირე და უხარისხო მოსავლის გამო დეფიციტის შევსება ძვირად ღირებული იმპორტული პროდუქტით ხდება, რაც მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის მოსახლეობას, რომელიც კაკლის ნაყოფის ტრადიციული მომხმარებელია.

შევნიშნავთ, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია ყოველდღიურად 30 გრ ნიგვზის (კაკლის 7 გულის ან 14 ნახევრის) მიღება, ანუ წლიური ნორმა 10,8 კგ-ს შეადგენს.

2015-1016 წლის მონაცემებით, საქართველოში კაკლის მოსავალი 7,5 ათას ტონას შეადგენდა, მოთხოვნა კი 25-30 ათას ტონას აჭარბებს.

საქართველოში ყველა პირობა არსებობს ხარისხიანი და კარგი გემოს მქონე პროდუქციის რაოდენობის მოსამატებლად, რასაც, ექსპორტის შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი შემოსავალი მოუტანოს მოსახლეობას.

**პრობლემის დაძლევის მიმართულებები:**

**პირველი** — კაკლის წარმოების ინტენსიფიკაცია. იგი ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას ისეთი ჯიშების გასაშენებლად, რომლებიც ნაყოფებს წინა წლის ნაზარდებზე წარმოქმნილი ყველა კვირტიდან განვითარებულ ყლორტზე იძლევა.

**მეორე** — მცირეკონტურიანი, ინტენსიური ტიპის ბაღების გაშენება და ფართობის ერთეულზე მცენარეთა რაოდენობის გაზრდა. ბაღები უნდა გაშენდეს 7X5, 8X6, ან 7X6 მ კვების არეზე. შესაბამისად, ერთ ჰა-ზე განთავსება 285, 208, 238 მცენარე.

ამ ტიპის ბაღებში აგროტექნოლოგიური სამუშაოების (გასხვლა, ნიადაგის დამუშავება, მორწყვა, სასუქების შეტანა, მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.) განხორციელებით უზრუნველყოფილია ფართობის ერთეულზე მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღება, რაც არსებულ ნარგავებში პრაქტიკულად მიუღწეველია.

**მესამე** — სელექციური მუშაობა უნდა გაგრძელდეს გვიანი ვეგეტაციის დამწყები მსხვილნაყოფა ლატერალური ჯიშების მიღების მიმართულებით.

**ლატერალური ჯიშების მსხმოიარობის თავისებურებები:**

ლატერალური ჯიშები ჩვეულებრივ ჯიშებთან შედარებით მსხმოიარობის მეტად განსხვავებული თვისებებით ხასიათდება. ისინი მსხმოიარობას მეორე-მესამე წლიდან იწყებენ. მცენარის ზრდა და ვარჯის ჩამოყალიბება მსხმოიარობის პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. წლის ყველა ნაზარდი მსხმოიარეა. მათზე 2-8 ნაყოფია განვითარებული.

ლატერალური ჯიშის 6 წლის ხის სიმაღლე — 2,5-3.5 მეტრია, ვარჯის დიამეტრი — 1,2-2,5 მეტრი, ხოლო შტამბის (ხის ტანის) გარშემოწერილობა — 0,2-0,3 მეტრი. წლიური ნაზარდის სიგრძე 12,5-15 სმ-ს არ აღემატება. ვარჯის პროექცია — 1,13-4,0 მ2, მოცულობა კი 0,75-4,90 მ3-ია. მოსავალი პროექციის ერთეულზე — 1,38-5,68, ვარჯის მოცულობის ერთეულზე კი 1,15-4,29 კგ-ს შეადგენს. ე.ი. ლატერალური ჯიშები სუსტი ზრდითა და მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა.

მოსავლიანობა სტაბილურად იზრდება მსხმოაირობის დაწყებიდან 4-5 წლის განმავლობაში. მეექვსე წელს კი შეინიშნება მოსავლის შემცირება, რაც სანაყოფე ტოტების გახმობით არის გამოწვეული. ტოტების გახმობის გამო ვარჯი გაშიშვლდება და მსხმოიარობა პერიფერიებისკენ გაინაცვლებს. მოსავალი ვარჯზე განლაგებული მძინარე კვირტებიდან მიიღება. ამ შემთხვევაში მოსავლის შენარჩუნება მხოლოდ გასხვლით არის შესაძლებელი.

გასხვლის შემდეგ წარმოიქმნება ახალი ნაზარდები, რომლებზეც ლატერალური კვირტები ჩამოყალიბდება.


კაკლის 4-წლიანი ინტენსიური ბაღი

**ნერგის გადარგვა უნდა მოხდეს წინასწარ შესწავლილ, დაპლანტაჟებულ, დასარგავად კარგად მომზადებულ და დაგეგმილ ნაკვეთზე წინასწარ ამოღებულ ორმოებში. ორმოს ზომებია 50X50X50 სმ. ორმოში უნდა ჩაიყაროს ორგანული ნივთიერებებით განოყიერებული მიწა და კარგად მოირწყოს, მასში მოთავსდეს ნამყენი, ფრთხილად შემოეჭრას პოლიეთილენის ტოპრაკი, მიეყაროს ფხვიერი მიწა და კვლავ მოირწყოს. დარგვის შემდეგ ნერგი ჭიგოზე მიეკვრება. ნერგის გახარების ალბათობა 97-98%-ია**

**ვეგეტაციის მეორე წელს ტოტებზე განლაგებული ყველა ლატერალური კვირტიდან დაიწყება 10-15 სმ სიგრძის ერთწლიანი ნაზარდების წარმოქმნა. მათზე 2-3, ზოგჯერ 6-8 ნაყოფი ვითარდება. ე.ი. ერთწლიან ტოტებზე — 40-60, ზოგჯერ კი 80-90 ცალი ნაყოფი წარმოიქმნება და მწიფდება.**



## კაკლის ბაღის გაშენება

კაკალს ძლიერი ფესვთა სისტემა აქვს — ნიადაგის ფენებში ღრმად ვრცელდება. გადასარგავად საჭირო ნერგის სანერგიდან ამოღება ფესვთა სისტემის დაუზიანებლად შეუძლებელია და რეგენერაციის დაბალი უნარის გამო გახარების კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია. დაზიანებული ადგილები ძნელად ან საერთოდ არ ხორცდება. მასში ადვილად აღწევენ ნიადაგის პათოგენები, რომლებიც გადარგული მცენარის გახმობას იწვევს.

**პრობლემის გადაწყვეტის გზები:**

**პირველი** — ნერგის წარმოება დახურული ფესვთა სისტემით.

**მეორე** — ბაღების გაშენება მწვანე ნერგით ან კონტეინერებით, დაუზიანებელი ფესვთა სიტემით.

მრავალწლოვანი კულტურების ნერგის გამოყვანას დახურული ფესვთა სისტემით, კონტეინერებში, და მწვანე ნერგით ბაღის გაშენებას დიდი მნიშვნელობა და, ამასთანავე, დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს. მას წარმატებით იყენებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სანერგეებში თითქმის ყველა კულტურის ნერგის წარმოებაში.

**დახურული ფესვთა სისტემით ნერგის გამოყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კაკლის კულტურისათვის.**

ნერგის გამოსაყვანად გამოიყენება მცირე ზომის, 3-4 ლიტრი მოცულობის პოლიეთილენის ტოპრაკები, სპეციალური ქოთნები. მოსახერხებელი და იაფია ტოპრაკები ზომით 35X20 სმ.

საძირის მისაღებად კაკლის თესლი ტოპრაკებში (კონტეინერებში) სათითაოდ უნდა დაითესოს გვიან შემოდგომაზე (არასტრატიფიცირებული) ან ადრე გაზაფხულზე (სტრატიფიცირებული).

*** საძირის მოვლა მთელი ვეგეტაციის პერიოდში ჩვეულებრივია — მორწყვა, მავნებლებთან ბრძოლა, გამოკვება და ა.შ. კონტეინერებში მოხდება მყნობა, ნამყენის აღზრდა და შემდეგ მუდმივ ადგილზე დარგვა.**

* დახურული ფესვთა სისტემით ნერგის გადარგვა მუდმივ ადგილზე შესაძლებელია წლის ნებისმიერ პერიოდში. მწვანე ნერგი გადაირგვება ივნისის ბოლოდან.

*** თუ ნერგი გადაირგვება ღია ფესვთა სისტემით, მკაცრად უნდა გაკონტროლდეს მისი ფესვთა სისტემა. იგი უნდა იყოს დაუზიანებელი, ჯანსაღი და კარგად განვითარებული.**

* ნერგის გადარგვა უნდა მოხდეს წინასწარ შესწავლილ, დაპლანტაჟებულ, დასარგავად კარგად მომზადებულ და დაგეგმილ ნაკვეთზე წინასწარ ამოღებულ ორმოებში. ორმოს ზომებია 50X50X50 სმ. ორმოში უნდა ჩაიყაროს ორგანული ნივთიერებებით განოყიერებული მიწა და კარგად მოირწყოს, მასში მოთავსდეს ნამყენი, ფრთხილად შემოეჭრას პოლიეთილენის ტოპრაკი, მიეყაროს ფხვიერი მიწა და კვლავ მოირწყოს. დარგვის შემდეგ ნერგი ჭიგოზე მიეკვრება. ნერგის გახარების ალბათობა 97-98%-ია.

ბაღის შემდგომი მოვლა გულისხმობს რიგთაშორისების კულტივაციას, სარეველებთან, მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლას, მორწყვას, სასუქების შეტანას, ამონაყარის შეცლას, მცენარის ფორმირებას და სხვ. ამ ღონისძიებების განხორციელება მოსავლიანობისა და წარმოების ეფექტიანობის გაზრდის აუცილებელი პირობაა.

**ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად რეკომენდებულია ყოველდღიურად 30 გრ ნიგვზის (კაკლის 7 გულის ან 14 ნახევრის) მიღება, ანუ წლიური ნორმა 10,8 კგ-ს შეადგენს**

**ნუგზარ შენგელია,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

14 დეკემბერს სავსემთვარეობაა. დიდია ავარიებისა და კატასტროფების ალბათობა. თავი შეიკავეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობისგან. სასიკეთო პერიოდია ქალწულისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

14-20 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი – 20 აპრილი

წარმატებას მიაღწევთ პროფესიულ სფეროში. რამდენიმე პროექტის განხორციელებაში კოლეგები დაგეხმარებიან.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

ვერძებმა, რომლებსაც პრობლემები შეექმნათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, უთანხმოება კომპრომისის გზით უნდა მოაგვარონ.

დიდია ტრავმირების ალბათობა, გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 15 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 დეკემბერი.**

## კურო 21 აპრილი – 21 მაისი

კარგი პერიოდია ახალი საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად. თქვენ მიმართ ნდობა დიდი იქნება და არ გაგიჭირდებათ მოლაპარაკებების დასრულება სასურველი შედეგით.

მარტოხელა კუროების ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან შეიძლება მგზნებარე რომანში გადაიზარდოს, დაქორწინებულებმა კი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ შვილების მიმართ.

დიდია კანის ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 14 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 დეკემბერი.**

## ტყუპი 22 მაისი–21 ივნისი

ბევრი საქმე დაგიგროვდებათ, მაგრამ, თუ მუხლჩაუხრელად იშრომებთ, ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებთ.

კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში პრობლემა შეგექმნებათ, ნუ აჰყვებით ემოციებს და ნუ მოიჭრით უკანდასახევ გზას. სჯობს, ვითარება კარგად გააანალიზოთ და ცივი გონებით მიიღოთ გადაწყვეტილება.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 დეკემბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი–22 ივლისი

ნუ შეეცდებით ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთებას. გახსოვდეთ: ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერს. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ და კომერციულ გარიგებაში მონაწილეობას.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა, არტისტიზმი და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ და, თუ მოისურვებთ, ერთ-ერთთან ურთიერთობის გაღრმავებას თავისუფლად შეძლებთ.

სიცივემ შეიძლება სახსრების დაავადების პროვოცირება გამოიწვიოს, ამიტომ თავი აარიდეთ ცივ გარემოში დიდხანს ყოფნას.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## ლომი 23 ივლისი –22 აგვისტო

დაძაბული პერიოდია. მოგეძალებათ ბევრი საქმე, რომელთა შესრულებაც ბევრ დროს წაგართმევთ და ქანცს გაგაცლით.

თუ ხვდებით, რომ საქმის დასრულებას ვერ ასწრებთ, დახმარებისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

იმპულსური რეაქციების შეკავების უნარი თავიდან აგაცილებთ უთანხმოებას საყვარელ ადამიანთან.

დაძაბულმა მუშაობამ და სტრესულმა სიტუაციებმა შეიძლება ჯანმრთელობა შეგირყიოთ, ამიტომ მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას. არ არის გამორიცხული, თავი შეგახსენოთ ძველმა ტრავმამ.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## ქალწული 23 აგვ. –23 სექტემბ.

საკმაოდ შედეგიანი პერიოდია — შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. იურიდიულ დოკუმენტზე ხელის მოწერამდე კარგად გაეცანით მის შინაარსს.

მარტოხელა ქალწულებმა შეიძლება სამსახურებრივი რომანი გააჩაღონ, რაც მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდება.

დიდია შარდ-სასქესო სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 დეკემბერი.**

## სასწორი 24 სექტ. – 23 ოქტ.

მოგიწევთ რამდენიმე საქმის ერთდროულად შესრულება, თანაც გაგიჭირდებათ არჩევა, მათგან რომელია უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფოდ შესასრულებელი. გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევისთვის გამოცდილ კოლეგებს მიმართეთ.

დაქორწინებული სასწორების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ულრუბლოდ წარიმართება, თუ თავს შეიკავებთ ეჭვიანობისგან.

დიდია ტრავმირების ალბათობა. ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 20 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 დეკემბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

შეძლებთ დაწყებული პროექტების წარმატებით დასრულებას. თქვენი მონდომება და შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და, არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახსა და მეზობლებთან, დაუყოვნებლივ გადაწყვიტეთ. დაქორწინებულმა მორიელებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

მორიელებმა, რომლებსაც აწუხებთ ოსტეოქონდროზი, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

**დადებითი დღე: 18 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 დეკემბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. – 21 დეკ.

შესაძლოა, ჩაერთოთ საინტერესო პროექტში, რომლის განხორციელებაც დიდ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ. სამუშაოს წარმატებით შესრულება საკუთარი შესაძლებლობის რწმენას შეგმატებთ და კოლეგები, რომლებსაც ოპონენტებად თვლით, თქვენი თანამოაზრეები გახდებიან.

შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ საყვარელ ადამიანთან, ამ პერიოდში მას თქვენი მხარდაჭერა დასჭირდება.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ დროს სწორად გაანაწილებთ სამუშაოსა და დასვენებას შორის.

**დადებითი დღე: 17 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. – 20 იან.

გაგიჩნდებათ კარიერაში წინსვლის კარგი პერსპექტივა — შესაძლოა, ახალი სამსახურის დაწყების შემოთავაზება მიიღოთ გავლენიანი ადამიანისგან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დაწყებული პროექტები დაასრულოთ. არ ღირს მათი გადატანა მომავალ წელში.

სიჯიუტისა და უკომპრომისობის გამოვლენის გამო, შესაძლოა, პრობლემა შეგექმნათ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, უთანხმოება დიპლომატიური გზით მოაგვაროთ.

დიდია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან.

**დადებითი დღე: 19 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 17 დეკემბერი.**

## მერწყული 21 იან. – 19 თებ.

შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობები კოლეგებთან — პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევას მათი დახმარებით შეძლებთ.

თავი აარიდეთ აზარტულ თამაშებს და ფული ეკონომიურად ხარჯეთ, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგები.

მარტოხელა მერწყულებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან. დაქორწინებულებს კი შვილები სასიამოვნო სიურპრიზს მოუწყობენ.

მერწყულები, რომლებსაც ენდოკრინული სისტემის პრობლემები აწუხებთ, აუცილებლად უნდა გაესინჯონ ექიმს.

**დადებითი დღე: 16 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 19 დეკემბერი.**

## თევზები 20 თებ. – 20 მარტი

საქმე თავზე საყრელად გექნებათ, მაგრამ გულმოდგინე მუშაობითა და ახლობელი ადამიანების დახმარებით ყველა პრობლემას მოაგვარებთ, მაგრამ ბევრი რამ თქვენს პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული.

თავი შეიკავეთ იმპულსური მოქმედებებისგან, თქვენმა წინდაუხედავმა საქციელმა შეიძლება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ბზარი გააჩინოს.

დაიცავით კვების რეჟიმი. შეეცადეთ, იმუნიტეტი ვიტამინებით მდიდარი საკვებით გაიმყაროთ.

**დადებითი დღე: 18 დეკემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 დეკემბერი.**

მოამზადა ნიკა კორინთელმა



## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასაოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 14-20 დეკემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**14 დეკემბერი** — სავსემთვარეობის დადგომამდე (4 სთ და 07 წთ.) 6 საათით ადრე და მას შემდეგ 6 საათის განმავლობაში რეკომენდებული არ არის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. დაისვენეთ!

**15 დეკემბერი** — რეკომენდებულია ოთახის მცენარეების მორწყვა.

**16 დეკემბერი** — კარგი დღეა მიწის გასაფხვიერებლად, სანიტარული აკაფვისთვის და მავნებლებთან საბრძოლველად.

**17 დეკემბერი** — რეკომენდებულია თესლების, სტიმულატორების, მინერალური სასუქებისა და ბაღ-ბოსტანში სამუშაო ინვენტარის შეძენა.

**18 დეკემბერი** — კარგი დღეა ბოლქვიანი მცენარეების დასათესად, ლერწმის დასამზადებლად საგაზაფხულო მყნობისთვის.

**19 დეკემბერი** — კარგი დღეა სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად და შესანახავად.

**20 დეკემბერი** — რეკომენდებული არ არის ბოსტნეულის დათესვა. მოსავალი კარგი არ იქნება.

# საქართველოს ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!

„ჩვენი უბედურება ეგაა — სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს“.
**კონსტანტინე გამსახურდია**

**პატივცემულო მკითხველო, „საქართველო და მსოფლიოს“ ერთ-ერთ ნომერში მოგახსენეთ, რომ არსებულმა ხელისუფლებამ ჩვენი სათაყვანებელი გენიალური პოეტის, დიდი შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, სამწუხაროდ ჩვენდა, არანაირი ღონისძიება არ ჩაატარა, ანუ უგულებელყო უდიდესი პიროვნება. იმავე წერილში იმასაც მოგახსენებდით, როგორ ჩატარდა ამ მსოფლიო დონის ადამიანის საიუბილეო ღონისძიებები იუნესკოს ეგიდით, როგორც საქართველოში, ასევე „საზიზღარ“ საბჭოთა კავშირსა და სრულიად მსოფლიოში. დიდი მგოსნის მასშტაბური საიუბილეო ღონისძიებები პირველად სტალინის დავალებითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1936 წელს გაიმართა.**

ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ „ჩვენი“ ხელისუფლება ვერ სწვდება დიდი შოთას ნააზრევს. არადა, რუსთაველი ხომ მსოფლიო კორიფეთა ავანგარდშია. აი რას ამბობს დიდი რუსი პოეტი **კონსტანტინე ბალმონტი**: „როგორც ჰომეროსი არის ელადა, დანტე — იტალია, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, რუსთაველი — საქართველოა. ყოველი მათგანი არა მხოლოდ სამარადისო დიდებით აღზევებული პოეტია, არამედ სხივმოსილი გაცხადება სულისა. წარმოჩენა მთელი ერის საგანძურისა, ამ სულით, რომ გამობრწყინებულა და ამ სულშივე დიდებულ და განუმეორებელ ყვავილად აღმოცენებულა“.

აქვე მინდა, კიდევ ერთი მსოფლიო დონის მეცნიერის, **მარი ფელისიტე-ქსავიე ბროსეს** ნააზრევი წარმოგიდგინოთ: „ეს ქმნილება („ვეფხისტყაოსანი“) მსოფლიო მნიშვნელობის შედევრია... იგი თვითმყოფადი ქართული ნაწარმოებია“.

ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, დიდ შოთა რუსთაველზე ამდენს რომ ვლაპარაკობ. ეს ყოველივე (ჩემი აზრით), ალბათ, განაპირობა ამჟამინდელი ხელისუფლების მხრიდან საკითხში ჩაუწვდომლობამ.

**1980 წლის მონაცემებით, „ვეფხისტყაოსანი“ ნათარგმნია მსოფლიოს 40-ზე მეტ ენაზე. სულ გამოცემულია 215-ჯერ: ქართულად — 61-ჯერ, რუსულად — 41-ჯერ, სსრკ-ის ხალხთა ენებზე (რუსულის გარდა) — 51-ჯერ, უცხო ენებზე — 62-ჯერ!** (წყარო — ვასილ ილარიონის ძე ჩაჩანიძე, „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს ხალხთა ენებზე“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1980 წ.).

მიუხედავად ხელისუფლების ინდიფერენტულობისა, ამ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ქართული ერთობის დარბაზში. როგორც დარბაზის მიერ გამოცემულ გაზეთში არის აღნიშნული, 2016 წელი გამოცხადებული იყო შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო წელიწადად. 2016 წელს, აგრეთვე, უნდა ჩატარებულიყო ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამ გენიალურმა პოეტმა და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მსოფლიოში მიმოხნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები, რათა მსოფლიოს კიდევ ერთხელ გავახსენოთ, რა წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო საგანძურში რუსთაველის იდეოლოგიაზე აღზრდილ ერს. ასე რომ, **თუ წელს ვერ მოაბა თავი ამ საშვილიშვილო საქმეს, მომავალ წელს მაინც გამოიბერტყოს ხელისუფლებამ ყური და გააკეთოს ის საქმე, რომელიც ევალება. რაღაცაში მაინც გამოჩნდეს, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობენ და ღირსნი არიან, ამ ქვეყნის ჰაერით ისუნთქონ.**

ჩემი წერილების უმეტესობა, როგორც ყოველთვის, მიძღვნილია ბატონი ბიძინასადმი, ვინაიდან აქ (ჟარგონს თუ ვიხმარ) „სტოსი“ მას მიჰყავს და ახლაც მას მივმართავ:

ბატონო ბიძინა, დღეს ჭეშმარიტი ქართველებისთვის სამშობლოც და, შესაბამისად, თავისუფლებაც დაკარგულია. ანექსირებული და ოკუპირებულია საქართველო. იქნებ დაავიწყდა მავანს, როგორ აღადგინა ამ რჯულგაყიდულმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და როგორ დასვა ვინმე სანაკოევი პრეზიდენტად, თანაც როგორ მიუერთა ამ „რესპუბლიკას“ ახალგორი, ანდა როგორ გადააქცია კოდორის ხეობა ზემო აფხაზეთად... მაგრამ **რატომ არაფერს არ ლაპარაკობთ თქვენ და თქვენი ხელისუფლება ოკუპირებულ ტაო-კლარჯეთზე? თუ ის „მეგობარს“ აქვს ოკუპირებული? სად მდებარეობს ისტორიული ჰერეთი და ლორე? ის მიწა-წყალი, რომელიც მორწყულია უამრავი ქართველის სისხლით, დღეს საქართველოს არ ეკუთვნის და ოკუპირებულია. თქვენი რჩეული ე.წ. უმცირესობის, ნაცების, მიერ თბილისში საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი რომ გაიხსნა, სხვა ოკუპანტებმა რა დააშავეს? თუ ასე აძლევდათ ხელს, რადგან ასე დაავალეს პატრონებმა?**

ბატონო ბიძინა, სანამ აჭარას დიდი **მემედ აბაშიძის** შთამომავალი **ასლან აბაშიძე** მართავდა, იქ ცხოვრება ჩქეფდა ქართულად, მართლმადიდებლურად. „მხედრიონიც“ კი ვერ შევიდა აჭარაში, როდესაც ამ ავადსახსენებელმა ე.წ. ორგანიზაციამ სამეგრელო ხუთჯერ მოიბალახა სიმღერით — „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“! ალბათ, გაგონილი გექნებათ, როგორ მოჰკვეთეს მხატვარ **ნოდიას** მკლავი **ზვიად გამსახურდიას** დახატვის გამო, იმ გამსახურდიასი, რომლის მკვლელობის საქმის გამოძიებას არ იქნა და არ დაადგა საშველი. ბატონო ბიძინა, რატომ არ გინდათ ამ საქმის გამოძიება?..

ზემოთ აჭარაზე მოგახსენებდით. ბატონი ასლანის მმართველობის პერიოდში იქ უცხოტომელს თავისი სახელი ერქვა და კანონსაწინააღმდეგოს ვერაფერს გაბედავდა. ახლა კი რა ხდება აჭარაში? საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს სახელად ჰქვია საქართველოს ტერიტორია, თორემ სახრავად თანამედროვე ოსმალეთისაა, იმ ოსმალეთის, რომელიც დღე და ღამ იმაზე ფიქრობს, ოფიციალურად როგორ გაიფორმოს უკვე მიტაცებული. თუ გსურთ, აჭარაში ისევ დაისადგუროს ქართულმა, მართლმადიდებლურმა სულმა, სასწრაფოდ დააბრუნეთ ბატონი ასლან აბაშიძე აჭარაში. მიკერძოებაში რომ არ ჩამეთვალოს, ბატონ ასლან აბაშიძეზე კარგი ქართველი კაცის, ბატონ თამაზ წივწივაძის ნააზრევს მოგახსენებთ, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1 ივლისი, 2016 წ. №25) დაიბეჭდა. გთავაზობთ ამ წერილიდან მცირე ამონარიდს: „...სხვათა შორის, ეს ის პერიოდია, როცა ამ კაცისავე ძალისხმევით ეს მხარე მთელი საქართველოს მთავარ კულტურულ ცენტრად იქცა! ერთი სიტყვით, იქ, ბათუმში, იმ დროისთვის სახელოვნებო საქმიანობის ბუმი იდგა!“

რეალობას გავუსწოროთ თვალი და საგნებს თავისი სახელები დავაქვათ! სავალალო ვითარებაა თბილისშიც. **გაიარეთ ღამით მარჯანიშვილის ქუჩაზე, აღმაშენებლისა და რუსთაველის გამზირებზე და ნახავთ, რაც ხდება. წალეკა ქვეყანა არაბულმა, სპარსულმა, ოსმალურმა, ჩინურმა თუ სხვა ქვეყნების ეგრეთ წოდებულმა რესტორნებმა, სინამდვილეში კი არაოფიციალურმა ბორდელებმა, რომლებშიც შეუფერხებლად ასაღებენ ნარკოტიკებს. სად არიან პოლიცია და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური? რატომ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ამ სავალალო ვითარებას? რაო, ამერიკის ელჩი გიკრძალავთ ქვეყანაში წესრიგის აღდგენას?** სად არიან ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლებული ასოები? ეს მართლაც ასოები რატომ არ იღებენ ხმას? როდესაც ამ უმსგავსობის წინააღმდეგ ხმის ამოღება სცადეს (მგონი, „ქართულმა ძალამ“) ახალგაზრდებმა, თქვენმა პოლიციამ უდანაშაულოები დააპატიმრა, ხოლო დამნაშავეებს თავზე ხელი გადაუსვა. **როდესაც ხელისუფლება ვერ ახერხებს ქვეყანაში წესრიგის დამყარებას, მაშინ ასპარეზზე გამოდის ხალხი და იგი ყველას მიუჩენს საკადრის ადგილს. ასე რომ, ნუ ჩააყენებთ ხალხს ჟანდარმის როლში, თორემ არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე, ბატონო ხელისუფალნო!**

დასასრულ — ბატონო ბიძინა, ერთხელ და სამუდამოდ გაწმინდეთ მთავრობის შემადგენლობა და პრემიერიც მიაყოლეთ! განსაკუთრებით საგანგაშოა განათლების სისტემაში შექმნილი ვითარება. „პატივცემულ“ მინისტრს, თურმე ქართული ხალხური ზღაპრების რევიზია დაუწყია. სხვა ყველაფერი მოაწესრიგა სისტემაში და ახლა ზღაპრებიღა დარჩენია მოსაგვარებელი. სასწრაფოდ მოაცილეთ ეს კაცი განათლებას და მასვე მიაყოლეთ მისი დამნიშნავი, „უდიდესი“ სელექციონერი პრემიერმინისტრი, რომელიც აღზრდილია „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ახალი მემარჯვენეების“ აკვანში. რატომ ნიშნავთ ყველა გზააბნეულს მინისტრად? რა უნდა მინისტრად **ჯეჯელავას ან გიორგაძეს, აგულაშვილს ან კალაძეს?** საქართველო არ არის საცდელი პოლიგონ-ლაბორატორია, თუმცა თქვენმა (მხოლოდ თქვენმა) მეგობარმა ამერიკამ ხომ აგიშენათ „ლუგარის“ ლაბორატორია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყანას. დროა, გაითვალისწინოთ დიდი კონსტანტინეს გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები და ერთხელ და სამუდამოდ თავი დაანებოთ სხვის დუდუკზე როკვას. შეიგნეთ, რომ თქვენ საქართველოს მოსახლეობის მიერ ხართ დაქირავებული და არა აშშ-ის ელჩის მიერ! გეყოთ!

ეჰ, როგორ მინდა, საქართველოში მომრავლდნენ მხოლოდ ქართულად და მართლმადიდებლურად მოფიქრალი ადამიანები!

**ანზორ დანელია,**
**საქართველოს მოქალაქე,**
**მართლმადიდებელი ქართველი**



**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894